ნათელა მაღლაკელიძე, ნინო ჯაში, ნინო თოდუა

ქართული ენა და ლიტერატურა

7

მასწავლებლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2012

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები

VII კლასი

მასწავლებლის წიგნი

ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე, ნინო ჯაში, ნინო თოდუა

რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი

დიზაინერი დავით კუტუბიძე

ISBN 978-9941-10-536-4

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47. ☎ 239-15-22, 214 77 11
E-mail: meridiani777@gmail.com

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012
© ნ. მაღლაკელიძე, ნ. ჯაში, ნ. თოდუა

N. Maglakelidze, N. Jashi, N. Todua
„Georgian Language and Literature“, the Book of the Teacher 7, in Georgian
„Meridiani“ Publishing, Tbilisi – 2012

მეთოდური მითითებანი მასწავლებლებისათვის:

სასწავლო კომპლექსი შედგება ორი კომპონენტისაგან:
ა) მოსწავლის წიგნი,
ბ) მასწავლებლის წიგნი.

„მოსწავლის წიგნი – ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასი“ შედგენილია განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ცდილობს, დაიცვას ის მოთხოვნები, რაც გათვალისწინებულია ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. საკითხავი მასალის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა:

1. *ი. აბაშიძე, „ხმა კატამონთან“;*
2. *ი. გოგებაშვილი, „ბურჯი ეროვნებისა“ (მითითებული ნაწყვეტი);*
3. *მ. ჯავახიშვილი, „მიწის ყივილი“;*
4. *გალაკტიონი, „შინდისის ჭადრები“;*
5. *ილია, „ბაზალეთის ტბა“;*
6. *აკაკი, „განთიადი“;*
7. *ვაჟა, „დამსეტყვე, ცაო“;*
8. *შ. ნიშნიანიძე, „ცოტნე დადიანი“;*
9. *მ. ლებანიძე, „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“;*
10. *ი. გოგებაშვილი, „შინაური მიმოხილვა“ (მითითებული ნაწყვეტი);*
11. *კოლაუ ნადირაძე, „25 თებერვალი“;*
12. *მ. გელოვანი, „ნუ მწერ“;*
13. *ნ. შატაიძე, „მოგზაურობა აფრიკაში“;*
14. *რ. ინანიშვილი, „ჩიტების გამომზამთრებელი“;*
15. *დავით გურამიშვილი, „დინარი“;*
16. *სულხან-საბა ორბელიანი, იგავები: „მოცინარი და მოტირალი“, „კაცი და გველი“, „კეისრის მაგისტროსი“;*
17. *ნ. დუმბაძე, „კორიდა“.*

საკითხავი მასალის ნაწილი შერჩეულია ჩვენ მიერ. ეს არის:

1. *„ცრემლნარევი ინტერვიუ“ (პუბლიკაცია);*
2. *ნ. დუმბაძე, „ჰელადოს“;*
3. *ნ. დუმბაძე, „სამშობლო“;*
4. *ს. კლდიაშვილი, „ერისთავი ცოტნე“;*
5. *დაუმარცხებელი ასეული (საგაზეთო პუბლიკაცია, გაზ. „24 საათი“);*
6. *გ. დოჩანაშვილი, „იქ, მთის გადაღმა“;*
7. *ჩესტერფილდი, „წერილები ვაჟიშვილს“;*
8. *გი დე მოპასანი, „მინდვრებში“;*
9. *ოტია იოსელიანი, „ეპიტაფია“;*
10. *ს. კლდიაშვილი, „ძველისძველი ამბავი“;*
11. *გ. ჩოხელი, „წერტილი და მძიმე“;*
12. *ნ. დუმბაძე, „ჩემი რუსთაველი“;*
13. *შოთა რუსთაველი, „შაირობა“;*
14. *„ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ (ხალხ.);*
15. *„შემომეყარა ყივჩაღი“ (ხალხ.);*
16. *ჯეკ ლონდონი, „მაწანწალა და ფერია“;*
17. *რ. ინანიშვილი, „კედელი“;*
18. *მ. მაჭავარიანი, „შენ, სისხლო ჩემო...“*

ტექსტები დალაგებულია თემატურ-ბუდობრივი პრინციპის მიხედვით. ეს ბუდეებია:

I. **„ფესვები“**
II. **„ვის ჰქვია პატრიოტი?“**
III. **„ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი..“**
IV. **„მამები და შვილები“**
V. **„აქეთ კი მარტო სახელი გვრჩება...“**
VI. **„წინაპართა შეგონებანი“**
VII. **„პური მთხოვა და ვაჭმიე...“**

საკითხავი მასალის დამუშავება გათვალისწინებულია ინტერაქტიური მეთოდების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, კითხვის სტრატეგიების დაუფლებას, მეორე მხრივ კი – მოსწავლეთა შემოქმედებით აქტივიზაციას. ამ მიზნით მეთოდურ აპარატში ტექსტის კითხვა-დამუშავებასთან დაკავშირებული კითხვები დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: **გავიგოთ** (ფაქტობრივ მასალაზე ორიენტირებული), **გავიაზროთ** (ანალიზზე ორიენტირებული), **შევაფასოთ** (შეფასებასა და სინთეზზე ორიენტირებული).

ვეცადეთ, ლიტერატურულ მასალასთან მჭიდრო კავშირში წარმოგვედგინა ენობრივი მასალაც. აქ ყურადღება გამახვილებულია როგორც ტექსტის ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებზე (იხ. რუბრიკა „ენობრივ მხარეზე დაკვირვება“), ისე – პრაქტიკული სტილისტიკის, ლექსიკოლოგიის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის საკითხებზე (იხ. რუბრიკა „მშობლიური ენის სამყაროში“). ენობრივ მასალაზე მუშაობისას ვიყენებთ ე. წ. „ენაზე დაკვირვების“ მეთოდს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში და ამავე დროს, აიოლებს თეორიული დეფინიციების მიწოდებას იქ, სადაც ეს აუცილებელია. ვეცადეთ, რომ თეორიული მასალის მიწოდება მაქსიმალურად შეგვეზღუდა და წინა პლანზე წამოგვეწია ცალკეული გრამატიკული კატეგორიების ფუნქციური ასპექტები. ამ თვალსაზრისით არის განხილული წიგნში მეტყველების ნაწილები. მათი გაცნობისას წინა პლანზე დგება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და არა სათანადო წესებისა და განსაზღვრებების მექანიკური დაზეპირება (რაც არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევა ჩვენს სკოლებში გრამატიკული მასალის სწავლების ძირითად ნაკლად). ამ მიზნით ამავე რუბრიკაში წარმოდგენილი გახლავთ ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, ლექსიკოლოგიურ-სტილისტური სავარჯიშოები, რომელთა ნაწილი მასწავლებლის მითითებით სრულდება კლასში, ნაწილი კი შინ შესასრულებლად არის გათვალისწინებული.

საკითხავ ტექსტებს ახლავს საწერი დავალებები. ვეცადეთ, რომ ეს დავალებები საკმაოდ მრავალფეროვანი და მოსწავლეთათვის საინტერესო ყოფილიყო. ჩვენი აზრით, აქ წარმოდგენილი საწერი დავალებები ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წერის სტრატეგიების დაუფლებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ფუნქციური წერის ელემენტებზე. თუ მასწავლებელი არასაკმარისად ჩათვლის ამ სავარჯიშოებს, რა თქმა უნდა, მას შეუძლია მათი შეცვლა და გამრავალფეროვნება საკუთარი შეხედულებისამებრ.

„მასწავლებლის წიგნი“ წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს მასწავლებლისათვის. მასში მოცემულია მხოლოდ რამდენიმე სანიმუშო გაკვეთილის სცენარი. სცენარებში ჩავრთეთ ის უახლესი მეთოდები, რომელთა დიდი ნაწილი ახლა იკიდებს ფეხს და შესაძლოა, ამ კუთხით საინტერესო აღმოჩნდეს მასწავლებლისათვის. თითოეული სცენარის ბოლოს მითითებულია „მოსალოდნელი შედეგები“, რაც სათანადო კოდით არის აღნიშნული (ამ კოდით აღნიშნული შედეგი მასწავლებელს შეუძლია იხილოს VII კლასის „საგნობრივ სტანდარტში“). რა თქმა უნდა, აქ წარმოდგენილი „სცენარები“ მხოლოდ **საორიენტაციოა და არა სავალდებულო**. პედაგოგს შეუძლია შეცვალოს თავისი შეხედულებისამებრ მეთოდი, საათებისა და საორიენტაციო დროის განაწილება, აქტივობები... აქვე ჩავურთეთ ის საინფორმაციო მასალაც, რომელიც შესაძლოა, მასწავლებელს დასჭირდეს ამა თუ იმ ტექსტის დამუშავებისას. შევნიშნავთ, რომ ეს „დამატებითი ინფორმაციები“ მხოლოდ მასწავლებლისათვის არის განკუთვნილი. პედაგოგის გადასაწყვეტია, რა სახით გამოიყენებს მას გაკვეთილზე.

გაკვეთილის მასალა: **სასწავლო წლის დასაწყისი, ირ. აბაშიძის „ხმა კატამონთან“; ენის რაობა, ენის ფუნქციები (2 სთ)**

მიზნები:

- გაბმული მეტყველების განვითარება;
- მხატვრული ტექსტის გააზრება;
- პოეტური ტექსტის აღქმა და მხატვრულ სახეებზე დაკვირვება;
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება;
- მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის გაზიარება;
- კონტექსტის შესაბამისად მოსწავლეთა სამეტყველო ქცევის წარმართვა;
- კითხვის სტრატეგიების მიზნობრივად გამოყენება;
- ჯგუფთან (პარტნიორთან) მუშაობა;
- ენის ფუნქციებზე დაკვირვება, დედაენის რაობა.

I–II გაკვეთილი[1]

აქტივობა 1. კლასის მობილიზება: გაკვეთილი რამდენადმე არატრადიციულად იწყება – ეს არის სასწავლო წლის დასაწყისი და ბუნებრივია, საგაკვეთილო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი კლასის მობილიზებას დაეთმობა.

აქტივობა 2. ზაფხულის შთაბეჭდილებები: დასრულდა კიდევ ერთი საზაფხულო არდადეგები. ეცადეთ და თქვენს პარტნიორთან ერთად ააგეთ ტექსტი, პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს (დავალება სრულდება წყვილებში):

– რა განწყობით ბრუნდებით სკოლაში?

– რა სიახლეები დაგხვდათ?

– როგორ აფასებთ ამ სიახლეებს?.. (შეგიძლიათ კითხვები თავადაც დაამატოთ, ტექსტს სათაურიც თავად შეურჩიეთ)

მოსწავლეებს ამ დავალების შესრულებამდე ურიგდებათ ე. წ. **„სამახსოვრო“** (ეს **„სამახსოვრო“** შეიძლება კლასშიც გაიკრას თვალსაჩინო ადგილას):

მოიფიქრეთ სათაური
წინასწარ შეადგინეთ გეგმა
გააკეთეთ შავი ჩანაწერი
წაიკითხეთ და ჩაასწორეთ
წაუკითხეთ თქვენს ამხანაგებს
მოისმინეთ მათი შეფასება...

აქტივობა 3. კითხვისათვის მზადება: მასწავლებელი კლასს უჩვენებს პალესტინაში ჯვრის მონასტრის კედელზე გამოსახული შოთა რუსთაველის ცნობილი ფრესკის ფოტოასლს *(ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ პროექტორი).*

სვამს შეკითხვას: რა სმენიათ ამ სურათის შესახებ.

მასწავლებლისათვის:

ამ სურათზე რუსთაველი გამოსახულია ორ წმინდანს: მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელს – შორის. ***მაქსიმე აღმსარებელი:*** *580–662 წწ. ბიზანტიელი მოაზროვნე და ღვთისმეტყველი, სასულიერო პირი, 653 წ. შეიპყრეს, 662 წ. სახელმწიფო ღალატი დასწამეს და ენა და მარჯვენა ხელი მოჰკვეთეს.*

იოანე დამასკელი *ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 675–753 წწ. ბიზანტიელი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მწერალი, 732 წ. აღიკვეცა ბერად იერუსალიმში, სადაც გააჩაღა სალიტ. მოღვაწეობა. გარდაცვალების შემდეგ, 754 წ. იგი საეკლესიო კრებამ შეაჩვენა ხატთაყვანისცემისათ–*

---

1. რადგან ეს პირველი გაკვეთილებია ახალ სასწავლო წელს, ამიტომ საჭიროდ არ ვცანით აქტივობების გამოყოფა ზუსტი საგაკვეთილო დროის მითითებით.

ვის. ლიტერატურის ისტორიაში იგი შევიდა როგორც მრავალი საეკლესიო საგალობლის ავტორი.

ეს სურათი ბოლო წლებში სასტიკად დააზიანეს და შემდეგ აღადგინეს.

დაისმის კითხვები:

– თქვენი აზრით, რაზე მიგვითითებს პალესტინაში ჯვრის მონასტერში გამოსახული რუსთაველის ფრესკა?

– რა გსმენიათ შოთა რუსთაველის ცხოვრების შესახებ?

ტექსტის კითხვამდე აიხსნება სიტყვა „კატამონთან“ (***კატამონი*** *– ადგილის სახელწოდებაა პალესტინაში, ჯვრის მონასტრის მახლობლად, სადაც, გადმოცემის მიხედვით, სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა და აღესრულა შოთა რუსთაველი).*

აქ მასწავლებელი აკეთებს მოკლე ექსკურსს იმის შესახებ, რომ, ხალხური გადმოცემის მიხედვით, რუსთაველი თავისი სიცოცხლის მიწურულს ბერად აღიკვეცა და ცხოვრების ბოლო წლები პალესტინაში, ქართველთა მონასტერში გაატარა; ამაზე მეტყველებს ეს სურათიც. სამშობლოდან მოცილებული პოეტის განცდებია გამოხატული სწორედ ირაკლი აბაშიძის ლექსში „ხმა კატამონთან“.

აქტივობა 4. ტექსტის კითხვა და მის გამომსახველობით მხარეზე დაკვირვება:

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს გამომეტყველებით, თუ საშუალება აქვს, მოასმენინებს გურამ საღარაძისეულ ვარიანტსაც, შემდეგ მოსწავლეებს აკითხებს მას რამდენჯერმე, საგანგებო ყურადღება ექცევა გამომეტყველებითი კითხვას. ყურადღება მახვილდება: ა) ინტონაციაზე, ბ) ფსიქოლოგიურ მახვილებზე (მახვილი კეთდება სიტყვებზე: „ენავ ჩემო“, „შენ ჩემო ნიჭო“...), ლოგიკურსა და გრამატიკულ პაუზებზე (რომლებიც აქ ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა)...

– რატომ ჰქვია ამ ლექსს „ხმა კატამონთან“? *(ხალხური გადმოცემის მიხედვით, რუსთაველი სიკვდილის წინ იქ იმყოფებოდა, აქ აღიკვეცა ბერად და აქვე აღესრულა).*

– ვისი განცდებია ამ ლექსში გადმოცემული? *(აქ კლასს ვაწვდით ლირიკული გმირის ცნებას: ამ ლექსის ლირიკული გმირი შოთა რუსთაველია, სწორედ მისი განცდებია ლექსში გამოხატული).*

– ბოლომდე რა შერჩა *„სამარის პირთან“* მდგარ პოეტს? *(დედაენა).*

– რა სიტყვებით მოიხსენიებს პოეტი ქართულ ენას? მოძებნეთ და წაიკითხეთ ლექსში სათანადო სტრიქონები (*„შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ“... „შენ კირო ჩვენო ქვათა და კირთა“...*).

–„შენ კირო ჩვენო ქვათა და კირთა“, – ამ სტრიქონში რასთან არის შედარებული მშობლიური ენა? როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს ამ შედარებას პოეტი? *(დედაენა, პოეტის აზრით, კირივით მტკიცეა და გამძლე).*

– *„შენ აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის“*, – წერია ლექსში. თქვენი აზრით, რა იგულისხმება *„აკვნის ჰიმნში“? „სამარის ცრემლში“?(იავნანა, დატირება – როგორც წესი, ორივე მშობლიურ ენაზე სრულდება).*

– ლექსში გამოხატულია სამშობლოსაგან მოცილებული პოეტის განცდები. სად, რომელ სტრიქონებში, ჩანს ეს ყველაზე უკეთ? (*„ნათესავს ათასს, მეგობარს ათასს... მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა“...).*

– ლექსის მიხედვით, მშობლიური ენა მარადიული ღირებულებაა. მოძებნეთ და წაიკითხეთ სათანადო სტრიქონები (*„მხოლოდ შენ შემრჩი სამარის პირად“... „მხოლოდ შენ უკვდავს, მხოლოდ შენ მარადს, შენ – ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის კარად“).*

– გაიხსენეთ, რას ეწოდება რითმა. მოძებნეთ ლექსში რითმის ნიმუშები (*ენავ–ფრენავ, მალამო–მალამო...*).

– ლექსში პოეტი ხშირად იყენებს ანტონიმებს. მოძებნეთ და წაიკითხეთ ეს ადგილები (*„მრუდსა და მართალს, მტერთა და ძმათა“... „შენ, მწარე ლხინო, ტკბილო სევდაო“...).*

– როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართავს პოეტი ამ ხერხს? *(ფაქტების, მოვლენების დასაპირისპირებლად, მეტი სიცხადისათვის, სათქმელის უფრო ნათელსაყოფად).*

აქტივობა 5. ენობრივ მასალაზე დაკვირვება: ენის რაობა, ენის ფუნქციები, დედაენის რაობა .

– ლექსის მიხედვით, მშობლიური ენა მარადიული ღირებულებაა. მოძებნეთ და წაიკითხეთ სათანადო სტრიქონები *(„შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან“, „მხოლოდ შენ უკვდავს, მხოლოდ შენ მარადს, შენ – ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის კარად“...).*

– რომელ ენას მიიჩნევს შოთა რუსთაველი თავის დედაენად? *(„იბერის ენა, ენა თამარის“...).*

– როგორ ფიქრობთ, რომელ ენას უწოდებენ დედაენას? (*მოსწავლეებს ეძლევათ აზრის თავისუფლად გამოთქმისა და დასაბუთების შესაძლებლობა).*

– რა ჰქვია დედაენას რუსულად? ინგლისურად? გერმანულად? გაიხსენეთ, რა შესატყვისები აქვთ ამ ენებს **დედაენის** გამოსახატავად ? („mother tongue", „native language" – ინგლ., „muttersprache"– გერმ., „родной язык"– რუს.).

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

მეცნიერები ძირითადად ენის ორ ფუნქციას: აზრის გამოხატვისა და საკომუნიკაციოს – გამოყოფენ; თუმცა ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი ენის ***საშემეცნებო*** *ფუნქციასაც გამოყოფს. ამ შეხედულების წარმომადგენელნი თვლიან, რომ ყოველ ენაში მოცემულია სამყაროს აღქმისა და შემეცნების გარკვეული მოდელი, რომელიც თითოეულ ენაში თავისებურია და არ ემთხვევა არც ერთ სხვა მოდელს (ენა მსოფლხატია). ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ იმით, რომ სხვადასხვა ბგერადობის სიტყვებით აღნიშნავენ ერთსა და იმავე ცნებას, არამედ იმითაც, რომ ამ ენაზე მოლაპარაკეთათვის თვით ეს ცნებებია განსხვავებული და სხვადასხვა მიმართება აქვთ მომიჯნავე ცნებებთან. საილუსტრაციოდ კმარა თვით სიტყვა „დედაენაც", რომელიც „მშობლიური ენის" აღსანიშნავად მოეპოვება ქართულს – განსხვავებით სხვა ენებისაგან, სადაც იგივე ცნება გამოიხატება ფრაზებით: „პირველი ენა", „საბაზისო ენა", „მშობლიური ენა" (გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ., 2000 წ. გვ, 12–13).*

საინტერესოა დედაენის ფენომენის შესახებ მეცნიერთა შეხედულებანი. აქ ძირითადად შეიძლება გამოვყოთ ორი რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება: ა) ახლად დაბადებული ბავშვი ენობრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ***„სუფთა დაფას";*** *მას აქვს უნარი, შეითვისოს ნებისმიერი ენა, რომელიც მას დაბადებიდანვე ესმის, რომელ ენობრივ კოლექტივშიაც ის იზრდება. მისთვის ნებისმიერი ენა შეიძლება გახდეს მშობლიური. ბ) ენა გარკვეული თვალსაზრისით* ***გენეტიკური მოვლენაა*** *და ახლად დაბადებული ბავშვი წინასწარ არის „დაპროგრამებული" საიმისოდ, რომ ამა თუ იმ ენაზე ამეტყველდეს (დ. სლობინი, ნ. ნათაძე, გ. ნებიერიძე...). საინტერესოა ამ საკითხზე პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებანი. კ. უშინსკის აზრით, დედაენა ორგანულ კავშირშია ბავშვის სულიერ განვითარებასთან; დედაენის შესწავლით ბავშვი შეიმეცნებს სამყაროს ისეთად, როგორადაც ის ამ ენაზე მოსაუბრე ხალხს აქვს შემეცნებული. ასეთივე შეხედულების გახლდათ დედაენის რაობაზე ი. გოგებაშვილიც, რომლის აზრითაც, დედაენა არ არის ტანსაცმელი, რომლის გამოცვლა და ახლებურად გამოჭრაც შეიძლება, „დედაენას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში" (ი. გოგებაშვილი, რჩეული პედ. თხზულებანი, 1977, გვ. 141).*

აქტივობა 6. საშინაო დავალება: ლექსი ზეპირად, ყურადღება მიაქციონ გამომეტყველებით კითხვას. წერითი დავალება მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს თავისი შეხედულებისამებრ.

შედეგები:
VII-2, VII-3, VII-6, VII-7, VII-9, VII-10.

მასწავლებლისათვის: *გთავაზობთ დამატებით ინფორმაციას ი. გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილისათვის „ბურჯი ეროვნებისა".*

„ბურჯი ეროვნებისა" – ასე უწოდა ი. გოგებაშვილმა დედაენას, რომელსაც ეძღვნება მისი ფუძემდებლური მნიშვნელობის მქონე შრომა. იგი სათაურით „ძირითადი უკუღმართობა" დაიბეჭდა ჯერ გაზეთ „მწყემსში" (1890 წ. №12, 17, 19, 20), შემდეგ – გაზეთ „ივერიაში" (1890 წ. №100-104) იაკობ სვიმონიძის ფსევდონიმით. იმავე სათაურით ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1892 წ., ხოლო შეცვლილი სათაურით – „ბურჯი ეროვნებისა" – 1903 წ.

სტატია ეხება იმ დროისათვის მეტად აქტუალურსა და მტკივნეულ საკითხს – მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის.

1878 წ. კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსად დაინიშნა კ. პ. იანოვსკი. აქედან დაიწყო ქართულ ენაზე შეტევისა და დიდი რეპრესიების ხანა. თავდაპირველად მის დანიშვნას ქართველი ინტელიგენცია დიდი იმედი შეხვდა, ფიქრობდნენ, რომ იგი თავის წინამორბედზე – ნეველოვზე – უკეთესი იქნებოდა და „ერთმანეთში არ აურევდა განათლებასა და პოლიტიკას". მაგრამ იანოვსკის

მმართველობის პერიოდში ქართული ენა მთლიანად გაძევებულ იქნა სკოლიდან, უფრო მეტიც – მოსწავლეებს აუკრძალეს ქართული წიგნების კითხვა. სასწავლო ოლქი ყოველწლიურად ადგენდა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიას და ამ ჩამონათვალში ქართული წიგნების შეტანა კატეგორიულად აიკრძალა. ბუნებრივია, ამ ფაქტმა მოწინავე ქართული საზოგადოების დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. ქართულ პრესაში იბეჭდებოდა ი. ჭავჭავაძის, ს. მესხის, ალ. მირიანაშვილის, ლ. ბოცვაძის... მამხილებელი სტატიები. ბუნებრივია, ამ საკითხს გვერდს ვერ აუვლიდა ი. გოგებაშვილი, რომლის მთელი მოღვაწეობაც სწორედ მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების უპირატესობას ემყარებოდა.

ეს სტატია საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ აქ დიდი პედაგოგი განიხილავს არა მხოლოდ მშობლიური ენის, არამედ უცხო ენების სწავლების მნიშვნელობასაც, ეხება ორი ან მეტი უცხო ენის ერთდროულად სწავლების მავნებლობას; მიიჩნევს, რომ უცხო ენის (მეორე ენის) შესწავლა უნდა დავიწყოთ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დავრწმუნდებით, რომ „დედაენამ ღრმად გაიდგა ფესვები ბავშვის სულიერ ბუნებაში“.

გაკვეთილის მასალა: **გალაკტიონ ტაბიძის „შინდისის ჭადრები," ჯვარედინი რითმა, მიმართვა, ბოლოსართებით სიტყვათა წარმოება**

მიზნები:

- პოეტური ტექსტის აღქმა;
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის გამომუშავება, ინტონაციის საშუალებით ნაწარმოებში ასახული განწყობის გადმოცემა;
- დისკუსიის ხელოვნების თანდათანობით დაუფლება, სამეტყველო ქცევის წარმართვა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად;
- წაკითხულის შეფასება და დასკვნების გამოტანა;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- ტექსტის ენობრივ მხარეზე დაკვირვება;
- წერის სტრატეგიების დაუფლება;
- ბოლოსართებით ახალი სიტყვების შედგენაზე დაკვირვება და სათანადო დასკვნების გამოტანა.

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5 წთ).

აქტივობა 2. კითხვისთვის მზადება - გამოწვევა (5-7 წთ). შესწავლილი ნაწარმოებების მიხედვით ვსაუბრობთ უცხოეთში გადახვეწილ ქართველთა სევდაზე, მონატრებაზე. მოსწავლეები აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს.

მასწავლებელი მოკლედ მიმოიხილავს გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისთვის: ნოდარ დუმბაძის მოგონება – „ჩემი გალაკტიონი": გალაკტიონი ის პოეტია, რომელიც ვერ შემაძულა სასკოლო ქრესტომათიამ და რომლის ხელახლა შეყვარება არ დამჭირვებია ათწლედის დამთავრების შემდეგ. იგი მუდამ ჩემთან იყო. მას ხატივით თავისი კუთხე ჰქონდა მიჩენილი ჩვენს სახლში და ჩემთვის უზომოდ დიდი ბედნიერება იყო მისივე ხატთან, მაგიდაზე გაშლილ მისივე წიგნში ლოცვასავით სუფთა და წმინდა ლექსების კითხვა.

... დანაშაული, რომელზეც ახლა მოგახსენებთ, ხანდაზმულია და ამიტომ ვბედავ გამხელას: 1945 წელს პლეხანოვზე ბუკინისტს თვალსა და ხელს შუა ავაცალე გალაკტიონის ყდაგაცრეცილი რჩეული, რომელიც 100 მანეთი ღირდა და სახლში მისულმა უსინდისოდ დავაწერე – „ჩემი გალაკტიონი".

ამავე წელს მეღირსა გალაკტიონთან შეხვედრა. შემდეგ ეს შეხვედრა ოდნავ შეცვლილი სახით, რომან „მზიან ღამეში" აღვწერე. კიდევ ერთი შეხვედრა მქონდა გალაკტიონთან ჩემთვის ფრიად ღირსშესანიშნავი.

ვერაზე წიგნების მაღაზიაში ლერმონტოვს ვკითხულობდი.

– გამარჯობა, ძამიკო, – მომესალმა ზურგსუკან ვიღაც. მოვიხედე, გალაკტიონი იყო (ამ დროისათვის უკვე მცნობდა ბატონი გალაკტიონი).

– გამარჯობა, ბატონო გალაკტიონ! ლერმონტოვი გამოსულა ქართულად, უნდა ვიყიდო, თქვენც ხომ არ გნებავთ? – ვკითხე და ჯიბეზე გავიკარი ხელი.

– წამოდი, ძამიკო, ჩემთან! – გალაკტიონმა მკლავში გამიყარა ხელი და ვერის ბაზრის გვერდით ლუდხანაში შემიყვანა.

იმ წიგნის საყიდელ ფულსაც და ზოგ სხვასაც წირვა გამოვუყვანეთ, გალაკტიონმა ლოყაზე ხელი მომითათუნა და ღიმილით მითხრა:

– ლერმონტოვი, პუშკინი და ტოლსტოი რუსულად უნდა იკითხო, ძამიკო, გალაკტიონი კი ქართულად, მხოლოდ ქართულად.

და მართლაც, რა უზენაესი ბედნიერებაა, როდესაც გალაკტიონს ქართულად კითხულობ. და რა უბედურებაა, როდესაც პუშკინს ვერ კითხულობ რუსულად.

მე თუ მკითხავენ, ვიტყვი: გალაკტიონის დაბადების დღიდან დედამიწის ზურგზე მისი სიმაღლის პოეტს არ გაუვლია და, რომ გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა – გააზრება (10-15 წთ). ამ დროს მასწავლებლის ნიმუში ძალიან მნიშვნელოვანია.

გააზრება:

– რა გრძნობა ეუფლება უცხოეთში გადახვეწილ ქართველს შინდისის ჭადრების გახსენებისას? *(ამ ლექსის ლირიკული გმირი დაღონებულია. ენატრება შინდისში ნანახი წყვილი ჭადარი, რომელიც თითქოს სამშობლოს სიმბოლოს წარმოადგენს მისთვის შორეულ უცხოეთში).*

– რა განცდას იწვევს მასში სამშობლოს მოგონება? *(იგი სიყრმის წლებში ბრუნდება და ენატრება ყველაფერი, რაც მაშინ იყო).*

– როგორ ხატავს იგი სამშობლოში გატარებულ სიყრმის წლებს? ვავალებთ მოსწავლეებს ამოიკითხონ ეს ადგილები ტექსტიდან *(„თქვენთან რბიოდნენ…...).*

– რატომ ჩაესმის ლირიკულ გმირს ამ ჭადრების შრიალი „როგორც ტირილი და საყვედური? (*შორს მყოფ პოეტს აქვს ერთგვარი დანაშაულის განცდა იმის გამო, რომ თავის ქვეყანაში არ არის, ამიტომ მის წარმოსახვაში ჭადრები მამულის სათქმელს გამოხატავენ, თითქოს საყვედურობენ მიტოვების გამო).*

– რას უწოდებს იგი თავის თავს? *(„უთვისტომო და გარეწარი“).*

– თქვენი აზრით, რატომ მოიხსენიებს იგი საკუთარ თავს ასე? (*ამ ეპითეტებით ავტორი თავს მოიხსენიებს იმიტომ, რომ თავისი ქვეყანა დატოვა, რომ მის ჭირსა თუ სიხარულს ვერ იზიარებს).*

– მისი რა განცდა ჩანს ამ სიტყვებში? *(სინანული).* ამ განცდის საფუძველი რა არის? *(უცხოობაში ყოფნა, სამშობლოდან სიშორე).*

*აქვე შეიძლება მივცეთ ახალი ცნება – **ნოსტალგია:** სევდა, გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობით (ბერძნ. **nostos** – შინ დაბრუნება, **algos**– ტანჯვა, ტკივილი).*

– როგორ ფიქრობთ, რა შეფასებას აძლევს ამ სიტყვებით იგი უცხოეთში გატარებულ წლებს? *(აღიქვამს, როგორც ფუჭად, ამაოდ გატარებულ დროს).*

მოსწავლეებს ვაძლევთ აზრის დამოუკიდებლად გამოთქმის საშუალებას.

აქტივობა 4. მინიდისკუსია (5-7 წთ). გაიმართება დისკუსია მოსწავლეებს შორის, **არის თუ არა მსგავსება ამ ლექსის ლირიკულ გმირსა და ანდრო კაიშაურს (ნიკოლოზ ბესტავაშვილს) შორის ?** მოსწავლეები აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს და მათ ამყარებენ არგუმენტებით.

აქტივობა 5. ენობრივ მასალაზე დაკვირვება (7-10 წთ).

ა) მოსწავლეებს ვაკვირვებთ ტექსტზე, ვავალებთ მოძებნონ ლექსში ეპითეტი, მეტაფორა და ის სტრიქონები, რომლებიც ერთმანეთს ერითმება.

ამის შემდეგ ვაძლევთ განმარტებას ჯვარედინი რითმის შესახებ.

მოსწავლეები იხსენებენ რა არის მიმართვა, რომელ ბრუნვაში დგას იგი, მეტყველების რა ნაწილით გადმოიცემა... კლასს ვაძლევთ მიმართვის განმარტებას *(წოდებით ბრუნვაში დასმულ სახელს მიმართვა ეწოდება).*

გ) კლასს ვაკვირვებთ სიტყვათა წარმოქმნაზე: **ბადრი** (როგორი?) და ბადრ**ება**(რა?)

ვარკვევთ მეტყველების რა ნაწილებია?*(ზედსართავი, არსებითი).* ვასკვნით, რომ ბოლოსართით ერთი სიტყვიდან მეორე მიიღება. აქვე ვასრულებთ სახელმძღვანელოში მოთავსებულ სავარჯიშოს: – **-ება, -ობა** ბოლოსართებით ვაწარმოოთ ახალი სიტყვები.

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ).

შესწავლილი ტექსტების („მიწის ყივილი," „ცრემლნარევი ინტერვიუ" და „შინდისის ჭადრები") მიხედვით დაწერონ **„სამშობლოდან გადახვეწილთა სევდა".**

შედეგები:

VII. 2. მოსწავლეს შეუძლია სხვათა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით.

VII. 3. მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევის შეცვლა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

VII. 4. მოსწავლეს შეუძლია საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

VII. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

VII. 9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

VII. 12. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

VII. 13. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ორგანიზაციის წესებისა და ენობრივი ნორმების დაცვა.

გაკვეთილის მასალა: **ი. ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“, არსებითი სახელი (2 სთ).**

მიზნები:

- პოეტური ტექსტის აღქმა;
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის გამომუშავება;
- წაკითხულის შეფასება და დასკვნების გამოტანა;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- ტექსტის ენობრივ მხარეზე დაკვირვება;
- პარალელების გავლება შესწავლილ ლიტ. ნაწარმოებებთან ჟანრის, თემისა და პრობლემატიკის მიხედვით;
- წერის სტრატეგიების დაუფლება;
- ფუძეკუმშვად და ფუძეუკუმშველ არსებით სახელზე დაკვირვება და სათანადო დასკვნების გამოტანა.

I გაკვეთილი

აქტივობა1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5-7 წთ.).

აქტივობა 2. კითხვისთვის მზადება – გამოწვევა (7-10 წთ). განწყობის შესაქმნელად შესაძლებელია მასწავლებელმა კლასს უჩვენოს ბაზალეთის ტბის სურათი.

–ხომ არ შეგიძლიათ ამოიცნოთ ამ სურათებით რომელი ტბაა ეს? რა იცით ამ ტბის შესახებ? სად მდებარეობს?..

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

ბაზალეთის ტბა მდებარეობს ქ. დუშეთის სამხრეთით 5 კმ-ზე. ზღვის დონიდან 879 მ. ზედაპირის ფართობი 1,22 კმ², მაქსიმალური სიღრმე 7 მ, წყლის მოცულობა დაახლოებით 4 მლნ. მ³. ტბის ქვაბული წარმოიშვა ბაზალეთის ვაკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის მულდისებრი გაღუნვის შედეგად.

საზრდოობს ატმოსფერული ნალექებითა და დროებითი ნაკადებით. მაქსიმალური დონე – ივნისში, მინიმალური – ოქტომბერში. იანვარსა და თებერვალში ტბა დაფარულია ყინულით, რომლის სისქე ზამთარში 0,5 მ-მდე აღწევს. ივლისში წყლის ტემპერატურა 25 °C-მდეა. წყალი მომწვანო-მურა ფერისაა. ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში იზრდება ლელქაში და სხვა წყლის მცენარეულობა; 5-6 მ სიღრმემდე დუმფარა. ტბაში ბინადრობს ქაშაყი და ნაფოტა.

მოშენებულია ხრამული, წვერა და კობრი. ტბა სპორტული და სამომხმარებლო თევზჭერის ობიექტია. ტბის ჩრდილო-დასავლეთი ნაპირიდან გაყვანილია მცირე სარწყავი არხი.

ვაკეთებთ მოკლე მიმოხილვას ილია ჭავჭავაძის შესახებ და ზოგადად მის შემოქმედებაზე.

აქტივობა 3. გააზრება – ტექსტის კითხვა (10-15 წთ).

ტექსტის კითხვა ხდება მოსწავლეთა მიერ, საგანგებო ყურადღება ექცევა გამომეტყველებით კითხვას, ამისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის ნიმუში.

ტექსტის გაგებისა და გააზრებისთვის ვიყენებთ შემდეგ კითხვებს:

– ხალხური გადმოცემის მიხედვით, რისგან წარმოიშვა ბაზალეთის ტბა*?(„ერს თვისთა ცრემლით ნადენით ტბა კარვად ზედ გადუხურავს“).*

– თქმულების თანახმად, რა ასვენია ტბის ძირას? *(ოქროს აკვანი).*

– ვის ჩაუდგამს იქ აკვანი? (*„თამარ დედოფალს ის აკვანი იქ ჩაუდგამს“).*

– რას ნატრობს ერი? (*რომ იქ საქართველოს გმირი „ვაჟკაცი, სახელოვანი „იყოს).*

– ვის შენატრის პოეტი? *(„ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა!“და „ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!“).*

– თქვენი აზრით, რატომ აკავშირებს პოეტი ამ აკვანს თამარ დედოფლის სახელთან? *(ამ მეფის სახელთან ასოცირდება საქართველოს ძლიერება, მის შემდეგ დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ დაღმასვლა).*

– რას ნატრობდა ქართველი ხალხი მაშინ, როდესაც ეს ლექსი დაიწერა? *(საქართველოს თავისუფლებასა და რუსეთის იმპერიისაგან ხსნას).*

აქტივობა 4. ენობრივ მასალაზე დაკვირვება (8 წთ).

ა) მხატვრულ ხერხებზე დაკვირვება:

„იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი“,

– როგორ ფიქრობთ, ვის ან რას განასახიერებს აკვანში ჩაწოლილი ყრმა? *(ქვეყნის ძლერებასა და თავისუფლებას, რაც თამარის ხანას უკავშირდება)*

– რატომ ერიდება პოეტი მისი სახელის თქმას? *(იმ დროს რუსეთის იმპერიაში საქართველოს თავისუფლებაზე ლაპარაკი მიუღებელი იყო).*

– თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი? *(მეფის რუსეთის მიერ შექმნილი ძალმომრეობა.)*

– რისი თქმა სურს ამ ლექსით მწერალს? როგორ გვეუბნება იგი თავის სათქმელს – პირდაპირ თუ შეფარვით? (*ვაძლევთ ალეგორიაზე განმარტებას, ვესაუბრებით ალეგორიის მიზანზე – ავტორის აზრის შენიღბვა).*

„და ერს თვისთა ცრემლთ ნადენი“
ტბა კარვად ზედ გადუხურავს“,

– რას გულისხმობს მწერალი „კარავში“? რა მხატვრულ ხერხს იყენებს აქ? *(მეტაფორას).*

– ამ ციტატაში რომელი არსებითი სახელებია მხ. რიცხვის ფორმით გამოყენებული*? (ერი, ტბა, კარავი).* მრავლობითის*? (ცრემლთ).*

– რამდენი სახის მრავლობითია ქართულში და რომელს იყენებენ უფრო ხშირად? *(-ებ-იანი და –ნ/-თ-იანი. უფრო ხშირად დღეს –ებ-იანი გამოიყენება).*

– თუ ამ ლექსში შევცვლით და თანამედროვე ფორმით გამოვიყენებთ არსებითი სახელის მრ. რიცხვს, რა დაირღვევა ამ ლექსში? *(მარცვალთა რაოდენობა სტრიქონში, რაც ლექსის მხატვრულ მხარეს დაარღვევს).*

– რამდენი მარცვალია ამ ლექსის თითოეულ სტრიქონში –ტაეპში? *(8 მარცვალია).*

ვაწოდებთ განმარტებას **რიტმის** შესახებ: რიტმი თანაზომიერი ენობრივი ერთეულების – ამ შემთხვევაში მარცვლების – გამეორებაა.

ბ) მწერლის ლექსიკაზე დაკვირვება:

მოსწავლეებს ვავალებთ მოძებნონ ამ ციტატაში (*„და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით ტბა კარვად ზედ გადუხურავს“*) ზმნა და გაარკვიონ რამდენად მართებულად არის იგი გამოყენებული დღევანდელი სალიტერატურო ნორმების მიხედვით? (***გადუხურავს;*** *უნდა იყოს გადაუხურავს. დარღვეულია ზმნისწინის მართლწერა*).

– რა უნდა იყოს ამ ნორმების დარღვევის მიზეზი? (სახელმძღვანელოში *მოცემული სავარაუდო პასუხებიდან უნდა დაასახელონ ერთი. სწორი პასუხია გ).*

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3წთ.).

ა) ლექსის მიხედვით დაწერონ ტექსტი **ლეგენდა ბაზალეთის ტბის შესახებ.** წერისას გამოიყენონ ორი ნაწყვეტი ლექსიდან, რომელიც, მათი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექსტის გააზრებისათვის.

ბ) მოიძიონ დამატებითი მასალა ილიას მოღვაწეობის შესახებ.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5-7 წთ).

აქტივობა 2. შინაარსის რეალიზება (8-10 წთ):

–რა არის ამ ლექსის თემა, იდეა? (*ამ ლექსის თემაა სამშობლოს სიყვარული, უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა და მისი სიყვარული, იდეა – ძებნა მხსნელისა, რომელიც თავისუფლებას და ბედნიერებას მოუტანს სამშობლოს).*

– რისი თქმა სურს ილია ჭავჭავაძეს ამ ლექსით? *(საჭიროა ზნეობრივი გარემოს გაჯანსაღება, რომ გმირი წარმოიშვას და ერმა მისი მეშვეობით ნანატრი თავისუფლება მოიპოვოს.*

– გავიხსენოთ, როდის არის დაწერილი ეს ლექსი, რა ვითარება იყო ამ დროს საქართველოში? *(ლექსი დაწერილია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. საქართველო ამ დროს არის რუსეთის იმპერიის რიგითი გუბერნია, იმპერია გეგმაზომიერად ახორციელებს მიზანს ჩაკლას ყოველივე ეროვნული ქვეყანაში, ერი დაქვეითებულია სულიერად, მორალურად, ზნეობრივად და სრული გადაგვარების საფრთხის წინაშე დგას.*

(მოსწავლეებს ეძლევათ აზრის დამოუკიდებლად გამოთქმის საშუალება).

აქტივობა 3. წერის სტრატეგია – წერა მაგიდის გარშემო (12-15 წთ).

მეთოდის აღწერა:

1. მოსწავლეებს ვაჯგუფებთ (4-5 მოსწავლე) და ვაცნობთ თემას ***„ქართველთა ჩუმი ნატვრა“*** *– რას ნატრობდა ქართველი ერი , როცა ეს ლექსი დაიწერა?*

2. მოსწავლეები ამზადებენ კალმებს, ფურცლებს და წერას იწყებენ. დრო განსაზღვრულია (3-4 წთ).

3. დროის ამოწურვის შემდეგ მოსწავლე ფურცელს მარჯვნივ მჯდომს აწვდის, ხოლო ახალ ფურცელს მარცხნივ მჯდომისაგან იღებს.

4. კითხულობს მეგობრის ნააზრევს და აგრძელებს ნააზრევს ლოგიკურად.

5. ასე გრძელდება მანამ, სანამ ჯგუფის ყველა წევრი საკუთარ ფურცელს არ მიიღებს (ფურცელი შეიძლება დატრიალდეს ორ ან მეტ წრეზე).

6. ფურცელი წრეზე მოძრაობას დაასრულებს, ნაშრომები ჯგუფებში განიხილება და ყველაზე საუკეთესო შეირჩევა.

7. ჯგუფებს ვთხოვთ საუკეთესო ნაშრომი კლასს წარუდგინონ.

აქტივობა 4. მშობლიური ენის სამყაროში – არსებითი სახელის რაობა და ფორმაცვლა (15 წთ):

– დააკვირდით ტექსტს და მოძებნეთ არსებითი სახელი:

„ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო
და მის გარშემო, წყლის ქვეშე,
უცხო წალკოტი ჰყვავისო.“

– გავიხსენოთ, რას ეწოდება არსებითი სახელი? *(არსებითი სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს).*

– როგორი მეტყველების ნაწილია იგი? (ა) სრულმნიშვნელოვანი და ფორმაცვალებადი; ბ) დამხმარე და ფორმაუცვლელი; გ) სრულმნიშვნელოვანი და ფორმაუცვლელი; დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი. *(სწორი პასუხია ა).*

– რას აღნიშნავს არსებითი სახელი? რა კითხვები დაესმის*? (არსებითი სახელი აღნიშნავს საგანს და დაესმის კითხვები* ***ვინ?*** *– მხოლოდ ადამიანს – და* ***რა?****).*

მოსწავლეებს ვავალებთ მთელი ტექსტი წაიკითხონ და დააჯგუფონ ზეპირად არსებითი სახელები: ***სულიერი*** და ***უსულო***, ***ვინ?*** და ***რა? საკუთარი*** *(ა. ადამიანის აღმნიშვნელი ბ. გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელი)* და ***საზოგადო, კრებითი, ნივთიერებათა.***

ვახსენებთ არსებითი სახელის ბრუნებას:

– რას ეწოდება ბრუნება?*(მ*ნიშვნელობის შეუცვლელად დაბოლოებათა მიხედვით სახელის ცვლას **ბრუნება** ეწოდება*).*

– რამდენი ბრუნვაა ქართულში?*(7).*

– როგორ უნდა მოვძებნოთ არსებითი სახელის ფუძე?*(ფუძე რომ მოვნახოთ, სახელი უნდა ჩავსვათ მოთხრობითში, ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი და დარჩება ფუძე).*

მოსწავლეებს ვავალებთ ტექსტში მოძებნონ სათანადო მაგალითები. ყურადღებას ვამახვილებინებთ არსებითი სახელების ***„ცრემლი“*** და ***„აკვანი“*** ბრუნებაზე:

– ფუძის მიხედვით როგორია ეს არსებითი სახელი?

– როგორ ვიპოვოთ მათი ფუძე?

– რომლის ფუძეა უცვლელი?

– რომელი ფუძე შეიკუმშა ბრუნებისას? რომელი ბგერა შეიკუმშა? რამდენ ბრუნვაში შეიკუმშა? რომელ ბრუნვაში შეიკუმშა?

– -ებ-იან და ნ/თ-იან მრავლობითში იკუმშება თუ არა იგი?

კლასში ასრულებენ მოსწავლეები სახელმძღვანელოში მოთავსებულ დავალებას *(ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელი არსებითი სახელი არ იკუმშება? რომელ სიტყვაში იკუმშება* ***ა*** *ხმოვანი?* ***ე*** *ხმოვანი?* ***ო*** *ხმოვანი? სრულად/ნაწილობრივ? აქვე შევახსენებთ, რომ ამის გასაგებად არსებითი სახელი უნდა ჩასვან* ***ნათ. მოქ****. ან* ***ვით.*** *ბრუნვაში).*

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2 წთ). მოძებნეთ ლექსში („ბაზალეთის ტბა“) ფუძეკუმშვადი სახელები, აღვნიშნოთ ა) რომელ ბრუნვებში იკუმშება, ბ) რომელი ბგერა იკუმშება.

შედეგები:

VII. 2. მოსწავლეს შეუძლია სხვათა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით.

VII. 3. სამეტყველო ქცევის შეცვლა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

VII. 4. საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

VII. 7. სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

VII. 9. ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

VII. 12. წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

VII. 13. წერილობითი ტექსტის ორგანიზაციის წესებისა და ენობრივი ნორმების დაცვა.

გაკვეთილის მასალა: **აკაკი წერეთლის „განთიადი“, არსებითი სახელი (2 სთ).**

მიზნები:

- პოეტური ტექსტის აღქმა;
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის გამომუშავება;
- წაკითხულის შეფასება და დასკვნების გამოტანა;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- ტექსტის ენობრივ მხარეზე დაკვირვება;
- პარალელების გავლება შესწავლილ ლიტ. ნაწარმოებებთან ჟანრის, თემისა და პრობლემატიკის მიხედვით;
- შესწავლილი ტექსტის მიხედვით პერსონაჟის წარმოსახვითი პორტრეტის შექმნა;
- წერის სტრატეგიების დაუფლება;
- ორთოგრაფიული ჩვევების ფორმირება.

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5-7 წთ).

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება – პროვოცირება (7-10 წთ).

მასწავლებელი ლექსის წაკითხვამდე კლასს მოკლედ აცნობს დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიას, ამ ლექსის დაწერის ისტორიას.

დამატებითი ინფორმაცია: *„სწავლა აპატიოსნებს კაცსა, აფაქიზებს, აღონიერებს, ზეაღავლენს და ღირსჰყოფს დაუსაბამობასთან მიახლოებისა... განათლება ყველას ათანასწორებს“.*

დიმიტრი ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წლის 14 აპრილს გორის რაიონის სოფელ მერეთში. იგი ადრე დაობლდა და უფროსმა ძმამ თავისთან, სურამში გადაიყვანა საცხოვრებლად. მან სწრაფად ისწავლა წერა-კითხვა, ანგარიში, საღვთო წერილი, ლოცვები და „ვეფხისტყაოსანი“. შემდეგ იგი თავისმა სიძემ თბილისში წაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ბეჯითი ჭაბუკი მალე კეთილშობილთა სასწავლებელში გადავიდა.

1830 წელს დიმიტრიმ გიმნაზია დაამთავრა და თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში თარჯიმნად დაიწყო მუშაობა. რამდენიმე თვის შემდეგ თბილისის გიმნაზიაში მასწავლებლად გადაიყვანეს. 17 წლის ახალგაზრდა 4 საგანს ასწავლიდა. პატრიოტი ჭაბუკი ქართველ მამულიშვილებს დაუკავშირდა და 1832 წლის შეთქმულებაში ჩაება. რისთვისაც იგი დაიჭირეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, სადაც ერთი წელიწადი დაჰყო. აქედან საცხოვრებლად ჩრდილოეთ რუსეთში, ქ. ვოლოგდაში გაგზავნეს. 5 წლის შემდეგ მას სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს. დიმიტრი მიხვდა, რომ იმ ეტაპზე რუსეთთან სამხედრო ძალით დაპირისპირება შედეგს არ გამოიღებდა და საჭირო იყო მოჩვენებითი „ერთგულებით“ სამშობლოსათვის სასარგებლო ქართული საქმის კეთება. 1840 წელს შეადგინა და მთავარმართებელს დასამტკიცებლად წარუდგინა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის წესდება“, რის საფუძველზეც თბილისში პირველი წიგნსაცავი დაარსდა. დიმიტრი ყიფიანი თბილისის თავადაზნაურობამ ორჯერ აირჩია სათავადაზნაურო გიმნაზიის საპატიო მზრუნველად. 1864 წელს იგი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს, 1876 წელს კი ქალაქის მერი გახდა. მან დიდი ამაგი დასდო თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დაარსებას, დრამატული საზოგადოების ჩამოყალიბებას. 1879 წელს სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად ჩამოაყალიბა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედაც იგი ერთხმად აირჩიეს. ვალერიან გუნია წერდა: „ესენი სულ ყიფიანის სიმხნევით, მისის სისხლით და ოფლით არიან დაარსებულნი, ფესვებმოდებული და წელში გამაგრებულნი“.

რუსეთში ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ (1881 წ.) განაპირა მხარეების კოლონიზაცია დაიწყო. საქართველოში მეფისნაცვლობა გაუქმდა და მთავარმართებლობა იქნა შემოღებული. აიკრძალა სიტყვა „საქართველოს" ხმარებაც კი. მთავარმართებლად დაინიშნა დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელმაც გარშემო ქართველთმოძულე პიროვნებები შემოიკრიბა -- რუსი ეგზარქოსი პავლე, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკი და სხვ. სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის დევნა-შევიწროების ტენდენცია გამოიკვეთა. იანოვსკიმ ქართული ენის სკოლებიდან საერთოდ განდევნა მოინდომა, რის წინააღმდეგაც ყიფიანმა მკაცრად გაილაშქრა. მან იანოვსკისა და რუს ეგზარქოსს პავლეს წერილები გაუგზავნა: „თუ ამას ვერ დაფიქრებიხართ, რა მნიშვნელობა აქვს თქვენს ქადაგებასა, ქართველობა ჰგმეთ და ქართული ენა დაივიწყეთო, მე გეტყვით... მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაჰქრესო იმ ენისას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი, რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ ნინო მოციქულთ თანასწორი და ათცამეტნი სირიელნი მამანი; რომელზედაც მწერლობდნენ შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი, სჯულმდებელნი, როგორც ვახტანგი... ჩინგიზ ხანმა, ლანგთემურმა, შაჰაბაზმა, ნადირშაჰმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსრნათ... ბ. იანოვსკის ათასწილად უჯობს ისევ ამ აზრის შემუსვრა მოახერხოს".

რუსი ბიუროკრატები თანდათან აძლიერებდნენ ქართულ ეროვნულ დაწესებულებათა დევნასა და შევიწროებას. დეკანოზმა პავლე ჩუდეცკიმ, რომელიც გამოირჩეოდა ქართველთა მიმართ განსაკუთრებული ზიზღით, გაუთავებელი დაკითხვებისა და შემოწმებების შემდეგ სემინარიიდან გარიცხა სტუდენტი სოსო ლაღიაშვილი. 1886 წლის 24 მაისს ლაღიაშვილი კაბინეტში შეუვარდა მას და ხანჯლით მოკლა. სტუდენტი შეიპყრეს და ციმბირის კატორღაში გაგზავნეს, საიდანაც ჯერ იაპონიაში, მერე კი ამერიკაში გაიქცა.

ჩუდეცკის დასაფლავებაზე ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა დასწყევლა არა მარტო ლაღიაშვილი, არამედ მთელი ქართველი ერი. ამ ფაქტმა უზარმაზარი რისხვა და პროტესტი გამოიწვია ქართველობაში. პირველმა ხმა დიმიტრი ყიფიანმა აიმაღლა. 1886 წლის 8 ივნისს ხაშურიდან მკაცრი წერილი გაუგზავნა ეგზარქოსს: „თუკი ეს ყველაფერი მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შერცხვენილი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან". კორსაკოვმა დაუყოვნებლივ გაგზავნა წერილი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან და ყიფიანის საქართველოდან გასახლება მოითხოვა. პეტერბურგში კვლავ მხარი დაუჭირეს მთავარმართებლის მოთხოვნას და დიმიტრი ყიფიანს იმპერატორმა ალექსანდრე III-მ სტავროპოლში გადასახლება მიუსაჯა. 1886 წლის ზაფხულში იგი სტავროპოლში გადაასახლეს. 1887 წლის 24 ოქტომბერს იგი ვერაგულად მოკლეს. ღამით მის ოთახში ჯალათი შეიპარა. თავში ურო ჩაარტყა და მოკლა. „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს. იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს," – წერდა აკაკი წერეთელი.

დიმიტრის მკვლელობამ მთელი საქართველო აღაშფოთა, მისი დაკრძალვა მთავრობის საწინააღმდეგო უზარმაზარ დემონსტრაციად იქცა. 8 ნოემბერს ყიფიანის გვამი თბილისში ჩამოასვენეს. დაკრძალვას ხელმძღვანელობდა ვალერიან გუნია, ხოლო გამსვენებელი სასულიერო პირი – ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე იყო. სამგლოვიარო პროცესიას მიჰყვებოდნენ ილია, აკაკი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

სწორედ ამ მოვლენამ და ამ ტკივილმა განაპირობა ამ ლექსის შექმნა, ეს ლექსი ქართველი ერის ჰიმნად იქცა.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდის 2007 წლის 26 აპრილის დადგენილებით დიმიტრი ყიფიანი ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად იქნა შერაცხული.

მომზადებულია საზოგადოებრივ-რელიგიური ჟურნალ „ ამბიონის" მიხედვით.

შემდეგ უკითხავს ცნობილი ქართველი მწერლის ***ნოდარ დუმბაძის*** სიტყვებს:

„განთიადი" კაცის დაწერილი არ არის, ასეთ ლექსებს ადამიანები არ წერენ, ეს მათ ძალ-ღონეს აღემატება. ეს ლექსი ღვთის ბაგიდან არის გამოსული და ნაკარნახევი".

და აცნობს ნაწყვეტს მისივე მოგონებიდან: **„ერის სინათლე და სიამაყე":**

„რამდენიმე წლის წინ თურქეთის საზღვარზე ვმსახურობდი მესაზღვრედ. იქ, აჭარის მთებში, ერთი ლამაზი სოფელია. ამ სოფელს მდინარე ჭოროხი ყოფს შუაში, ერთი ნახევარი სოფლისა ჩვენია, მეორე ნახევარი თურქეთისა. სწორედ იქ გახლდით საზღვრის ინსპექციაზე. ერთ დღეს ორი ჯარისკაცის თანხლებით საზღვრის წინახაზზე გავედით. ზედ ჭოროხის პირას თურქებს სკოლა აქვთ, სადაც ქართველი ყმაწვილებიც სწავლობენ. ნაპირს რომ მივადექით, შესვენება ჰქონდათ ბავშვებსა და დაგვინახეს თუ არა, თავის ნაპირს მოაწყდნენ. როგორც შავგვრემანი, ალბათ ქართველად შემიცნეს. მერე ბავშვებს ერთი თეთრსაყელოიანი პატარა ბიჭი გამოეყო, მდინარეში ნავივით შემოცურებულ ვეებერთელა ლოდზე შედგა, ორივე ხელი ცისკენ აღაპყრო და ხმის კანკალით თავანკარა ქართულით დაიწყო:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო“.

ასკერმა ლექსის თქმა ბოლომდე არ აცალა, გარეკა ბავშვები, იმ წუთში გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა. ვიდექი და უსირცხვილოდ ვტიროდი გაკვირვებული ჯარისკაცების წინაშე“.

აქტივობა 3. გააზრება – ტექსტის კითხვა (10-12 წთ):

მოსწავლეებს ვაკითხებთ ტექსტს და საგანგებო ყურადღებას გამომეტყველებით კითხვაზე ვამახვილებთ.

ტექსტის გაგებისა და გააზრებისათვის ვიყენებთ შემდეგ კითხვებს:

– რა გახდა ამ ლექსის დაწერის მიზეზი?*(დიმიტრი ყიაფიანის მკვლელობა).*

– ვის ეძღვნება ეს ლექსი? როგორ მოიხსენიებს მას პოეტი? *(საქართველოს ეროვნულ გმირს დიმიტრი ყიფიანს და მას თავდადებულს უწოდებს).*

– ვის საფლავს „იხუტებს“ გულში მთაწმინდა? *(ეროვნული გმირის დიმიტრი ყიფიანის „საშვილიშვილო სამარეს“).*

– ვინ არის ამ ლექსის ლირიკული გმირი? *(დიმიტრი ყიფიანი).*

– ლექსის რომელი სტრიქონი მიგვითითებს მასზე? *(„მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს, მამადავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს“).*

– რამ შეუმსუბუქა პოეტს, ლირიკულ გმირს სევდა? *(სამშობლოს ხილვამ, მასთან სიახლოვემ).*

– რას სთხოვს იგი სამშობლოს? რა ანდერძს იბარებს?*(„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“...) .*

–*„ვერ ავიტანე ობლობა, სისხლის ცრემლები ვღვარეო“,* – ამ სტრიქონების მიხედვით, რა იგულისხმება „ობლობაში“? როგორ გესმით ფრაზა „სისხლის ცრემლები“? *(ობლობაში იგულისხმება უცხოობაში ყოფნა, სამშობლოდან შორს ყოფნა. სისხლის ცრემლებში იგულისხმება დიდი ტანჯვა, ტკივილი (ეს მეტაფორა სათავეს იღებს „ვეფხისტყაოსნიდან“).*

–*„შენზედვე მგლოვიარეო“,* – წერს პოეტი იმდროინდელი საქართველოს მისამართით. რა აძლევს მას ამის თქმის საფუძველს? *(საქართველოს მონური ყოფა).*

მოსწავლეებს ვავალებთ ტექსტში მოძებნონ ის ადგილი, რომელმაც განსაკუთრებით მიიქცია მათი ყურადღება.

აქტივობა 4. მხატვრულ მხარეზე დაკვირვება (8-10 წთ).

ვაკვირვებთ წინადადებაზე: *„ია და ვარდი დამჭკნარი ხელახლა გამიხარეო“*, ვუსვამთ კითხვებს:

– რა იგულისხმება *„დამჭკნარ ია-ვარდში“?* რა მხატვრულ ხერხს მიმართავს აქ პოეტი? *(დამჭკნარ ვარდში იგულისხმება დატანჯული, მწუხარე გული, სიცოცხლე. ეს მხატვრული სახე მეტაფორაა).*

– მოძებნეთ ლექსში გაპიროვნების ნიმუშები *(გაპიროვნება – „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“, „მდინარე ნანას უმღერის“, „მთაწმინდა გულში იხუტებს“ „სისხლის ცრემლები“ ...)*

ლექსის რომელი სტრიქონები ერითმება ძირითადად ერთმანეთს? *(მეორე და მეოთხე).*

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ): ა) ლექსი „განთიადი“ ზეპირად, ბ) მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია დიმიტრი ყიფიანის შესახებ.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5 წთ).

აქტივობა 2. წაკითხულის შეჯამება-შეფასება (5-7 წთ):

– თქვენი აზრით, რა განწყობით არის დაწერილი ეს ლექსი? (*მწუხარებით).*

– რა არის ამ ლექსის თემა? *(სამშობლოს სიყვარული*).

– რისი თქმა სურს პოეტს მკითხველისათვის? *(სამშობლოს გარეშე ბედნიერება არ არსებობს, მისთვის თავდადება მამულიშვილის მოვალეობაა).*

– როგორი ინტონაცია უნდა შევარჩიოთ მისი კითხვისას? რომელ სიტყვებს გამოყოფდით მახვილებით? რატომ? *(მახვილებით გამოვყოფდით ყველა მიმართვას, რათა მსმენელის ყურადღება მიგვექცია და აქცენტი მთავარზე გაგვეკეთებინა. ნაწარმოები უნდა წავიკითხოთ მკვეთრი, ამაღლებული ინტონაციით).*

აქტივობა 3. წერა (ინდივიდუალურად) (17-18 წთ):

მასწავლებელი კლასს ავალებს წინასწარ მოძიებული მასალის მიხედვით ააგონ წერილობითი ტექსტი: ***„დიმიტრი ყიფიანი – რაინდი, ურჩი მტრისასა“***. შეახსენებს წესებს:

ა) წერის დაწყებამდე შეადგინონ გეგმა (ჩამოწერონ ის საკითხები, რომლის ირგვლივაც აპირებენ წერას);

ბ) წერისას აუცილებლად გამოიყენონ ის ციტატები, რომელთაც საჭიროდ ჩათვლიან საკუთარი აზრის გასამყარებლად;

გ) წერის დამთავრების შემდეგ აუცილებლად წაიკითხონ ნაწერი და ჩაასწორონ შემჩნეული შეცდომები;

დ) თუ სურვილი აქვთ, ნამუშევარი გააცნონ ამხანაგებს და მოისმინონ მათი შეფასებანი.

შემაჯამებელი სქემის ნიმუში წერაში:

	ნაშრომის შინაარსობრივი მხარე და მოცულობა	ტექსტის ორგანიზება, ლოგიკურად აგება	ფაქტობრივი სიზუსტე	ლექსიკა და სტილი	მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია
ქულები	2	1	2	2	3

(ქულათა მაქსიმალური რაოდენობა – 10)

აქტივობა 4. მშობლიური ენის სამყაროში (10-12წთ). მასწავლებელი კლასს ავალებს მოძებნონ ლექსში არსებითი სახელები და ზეპირად დააჯგუფონ ისინი: ა) თანხმოვანფუძიანი, ბ) ხმოვანფუძიანი.

მოსწავლეებს ვაკვირვებთ ა-ზე და ე-ზე დაბოლოებულ სახელებზე, მაგალითისათვის ვაბრუნოთ ასეთი სახელები ერთად და პასუხობენ კითხვებზე:

– რა ხმოვნებზე ბოლოვდება ამ არსებითი სახელების ფუძეები? *(ა–ზე და ე–ზე).*

– რომელ ბრუნვებშია აქ ფუძე სრული სახით წარმოდგენილი?*(მოთხ. მიც. ვით. წოდ.).*

– რომელ ბრუნვებში დაიკარგა, მოიკვეცა ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი? რა ხმოვნები დაიკარგა/მოიკვეცა?*(ნათ. მოქმ. –ე, -ა).*

– სად მოიყარა თავი *ორმა* ი-მ? რატომ მოიყარა? *(ნათ. მოქმ.). (იმიტომ, რომ სახელის ფუძე ი–ზე ბოლოვდება, ნათ. და მოქმ. ბრუნვის ნიშნები კი – ი–ზე იწყება).*

ვავალებთ დაფაზე აბრუნოს იგივე არსებითი სახელები (*მდინარე, ია*) ***–ებ***-იან მრავლობით რიცხვში.

ვაკვირვებთ: რას ამჩნევთ? რომელი სახელი შეიკვეცა აქ ყველა ბრუნვაში? რომელი სახელი არ შეიკვეცა?

– სად მოიყარა თავი ***ორმა ე***-მ? რატომ მოიყარა? როდის იწერება არსებით სახელთან ***ორი ე***?

დააკვირდით:

„მამადავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს“...

– რომელია აქ არსებითი სახელები? მათ შორის რომელია ხმოვანფუძიანი? რა არის მათი ფუძე? რომელ ხმოვნებზე ბოლოვდება ეს სახელები? რომელ ბრუნვებშია ისინი?

ბოლოს ერთად აბრუნებენ არსებით სახელებს „მოყვარე“ და „ქვეყანა“: მოსწავლეები არკვევენ და პასუხობენ კითხვებზე:

– რომელ ბრუნვებში შეიკვეცა ეს არსებითი სახელები? რა ბგერები შეიკვეცა?

– რომელ ბრუნვებში შეიკუმშა? რა ბგერა შეიკუმშა?

– თუ გახსოვთ, რა ეწოდება ასეთ არსებით სახელებს? ა) კუმშვადი, ბ) კვეცადი, გ) კუმშავად-კვეცადი.

აქვე მოსწავლეებს ვთავაზობთ კუმშვად-კვეცადი სახელების ჩამონათვალს.

აქტივობა 5. საშინაო დავალება (3 წთ). მოძებნეთ ტექსტში სხვა ფუძეკვეცადი სახელებიც და გაარკვიეთ, ა) რომელ ბრუნვაშია ისინი, ბ) რომელი ბგერა იკვეცება.

შედეგები:

ქართ. VII. 2. მოსწავლეს შეუძლია სხვათა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით.

ქართ. VII. 3. მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევის შეცვლა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

ქართ. VII. 4. მოსწავლეს შეუძლია საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

ქართ. VII. 5. მოსწავლეს შეუძლია ზეპირმეტყველების ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.

ქართ. VII. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

ქართ. VII. 9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

ქართ. VII. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

ქართ. VII. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტების შექმნა სხვადასხვა მიზნით.

გაკვეთილის მასალა: **ვაჟა-ფშაველა – „დამსეტყვე, ცაო“ (სიმღერა); თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები; თავსართ-ბოლოსართებით სიტყვათა წარმოება**

მიზნები:

- პოეტური ტექსტის აღქმა, მხატვრულ სახეებზე დაკვირვება;
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის გამომუშავება;
- წაკითხულის შეფასება და დასკვნების გამოტანა;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- ტექსტის ენობრივ მხარეზე დაკვირვება;
- თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან არსებით სახელზე დაკვირვება და სათანადო დასკვნების გამოტანა.

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (4-5 წთ).

აქტივობა 2. კითხვისთვის მზადება – პროვოცირება (5-7 წთ):

მოკლე მიმოხილვას ვაკეთებთ ვაჟა-ფშაველას შესახებ, მისი წერის სტილზე, ვახსენებთ ადრე შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ **„გონებრივი იერიშის რუკა“** ან სქემა: **ვიცოდი – გავიგე – მინდა ვიცოდე**. **„ვიცოდი“** – ივსება ლექსის კითხვის დაწყებამდე, ხოლო: **„გავიგე“** და **„მინდა ვიცოდე“** კი **– ლექსის კითხვა-დამუშავების შემდეგ.**

მასწავლებლისთვის:

ლექსი „დამსეტყვე ცაო“ პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში 1903 წელს.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა – გააზრება (10-15 წთ).

ამ დროს საგანგებო ყურადღება ექცევა გამომეტყველებით კითხვას, მასწავლებლის ნიმუშს.

კითხვების საშუალებით ხდება ტექსტის გაგება და გააზრება:

– როგორ ახასიათებს პოეტი საკუთარ თავს? *(„გულითა გაუტეხელი, მოუღალავი მკლავითა“).*

– რა აზრია გატარებული მის სიტყვებში: „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“? *(ბოროტებას ვერ შევეგუები, უწმინდურებთან ვერ მოვრიგდები).*

– რა ანუგეშებს მას? *(რომ მარტო არაა ამქვეყნად, „სხვაც მრავალია ჩემფერა“, ვისაც არ წყალობს მამასახლისი).*

– რა აქვს მას სამუდამოდ ჩაბეჭდილი გულში*?(„კეთილსა ვყვანდე ზიარად“).*

– რა პირობას დებს იგი? *(„ვერ მივცემ მტერსა მამულსა, საჯიჯგნად, დასაზიანად...“).*

– ვინ არის ამ ლექსის ლირიკული გმირი? (*ამ ლექსის ლირიკული გმირია თავად პოეტი).*

– როგორ გადმოსცემს პოეტი თავის სათქმელს*? (პოეტი ლექს-სიმღერით გადმოსცემს თავის სათქმელს).*

–როგორ შეიძლება გავიგოთ ფრაზა: „დამსეტყვე, ცაო“? რა შეიძლება იგულისხმებოდეს მეტაფორულად „სეტყვაში“? *(აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ცხოვრებისეული სირთულეები და სიძნელეები, პრობლემები, რომლებიც შესაძლებელია პოეტის სულს შეეხოს და იგი ზნეობრივი არჩევანის წინაშე დააყენოს).*

– როგორ გესმით: „აქა ვარ ჩემი თავითა*?“(აქ ვარ ჩემი სხეულითა და სულით).*

– თქვენი აზრით, რას გულისხმობს ვაჟა *„მჭვარტლიან ჩონგურში“ ? (პოეტი ამ ფრაზაში თავის შემოქმედებას გულისხმობს).*

– „მცნებას ვერ შემაცვლეინებ“, – წერია ლექსში. როგორ ფიქრობთ, რომელ „მცნებაზეა“ აქ საუბარი? რა არის პოეტის „მცნება“? ლექსის რომელ სტრიქონებში ჩანს ეს „მცნება“ ? (*„კეთილსა ვყვანდე ზიარად. „ბოლო სტრიქონში“).*

– *„მოზღვავებულის ავითა“*, – რას გულისხმობს პოეტი ამ სიტყვებში? რა არის პოეტის ირგვლივ გამეფებული ? *(გაუტანლობა, ღალატი, შური, უწმინდურობა...).*

– *„მცნებას ვერ შემაცვლეინებ მოზღვავებულის ავითა“*, – პოეტის როგორ სულიერ განწყობაზე მიგვითითებს ეს ფრაზა? *(იგი არ ურიგდება მდგომარეობას და იბრძვის არსებულის წინააღმდეგ).*

– ვის მიმართავს ვაჟა: *„ნუ გეგონებათ, დავლაჩრდი, ჯერ ისევა ვარ ფხიანად“ ? (მტერს, იმ უწმინდურებს, რომლებიც პოეტისა და ქვეყნისათვის არაკეთილმოსურნეები არიან).*

აქტივობა 4. მწერლის ენაზე დაკვირვება (7-10 წთ):

1. მოსწავლეებს ვავალებთ მოძებნონ და წაიკითხონ ტექსტში, რა ეპითეტებით ახასიათებს პოეტი საკუთარ თავს, რომელ მხატვრულ ხერხებს იყენებს იგი ლექსში? (*საკუთარ თავს ახასიათებს შემდეგი **ეპითეტებით**: „გულით გაუტეხელი“, „მკლავით მოუღალავი“). ამ ლექსში გამოყენებული მხატვრული ხერხებია: **მეტაფორა** – „დამსეტყვე, ცაო“, „დავუკრავ მჭვარტლიან ჩანგურს“. **გაპიროვნება** – „მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი, გულ-მკერდზე დაიწეროდი!..“*

ამის შემდეგ ვაკვირვებთ მოსწავლეებს ციტატაზე:

„მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი,
გულ-მკერდზე დაიწეროდი!
ბარო, წარბნი და წამწამნი
იმ სიტყვით დაიკეროდი!...

ვავალებთ მოსწავლეებს ამ ციტატაში მოძებნონ მიმართვის ნიმუშები.

გაარკვიონ, მთქმელის რა ემოციები, რა გრძნობებია მასში ჩაქსოვილი?

ა) შიშის, ბ) თანაგრძნობის, გ) თხოვნა-მუდარის. (*სწორი პასუხია გ*).

ვაცნობთ, თუ რა ემოციით უნდა წაიკითხონ ეს წინადადებები და რა სასვენი ნიშნები გამოხატავს ამ ემოციას მიმართვასთან. მოსწავლეები ეძებენ ტექსტში ისეთ შემთხვევებს, როდესაც მიმართვა წინადადების შუაშია და უკვირდებიან იქ გამოყენებულ სასვენ ნიშნებს.

2. მოსწავლეებს ყურადღებას ვამახვილებინებთ დიალექტიზმებზე. ვავალებთ დაძებნონ ტექსტში სათანადო მაგალითები... (*შავეკვრი, ჩემფერა, შავაბიჯებ*, ...). გაარკვიონ, რატომ იყენებს მწერალი ასეთ ფორმებს? ა) არ იცის მართებული ფორმები, ბ) ეს ფორმები ასე გამოიყენებოდა XIX საუკუნეში, გ) ამგვარი მეტყველება გამორჩეულს ხდის ვაჟას პოეზიას. *(სწორი პასუხია გ).*

მოსწავლეებს ვაცნობთ სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევისა და მთის დიალექტიზმის შემოტანის გამო აკაკი წერეთლის საყვედურს ვაჟასადმი და საპასუხო ლექსს აკაკისადმი.

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ). ლექსი გამომეტყველებით კითხვით/ზეპირად; ლექსის მიხედვით დავახასიათოთ ლექსის ლირიკული გმირი.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5-7 წთ).

აქტივობა 2. წაკითხულის წვდომა (10-15 წთ):

(მოსწავლეებს ეძლევათ აზრის დამოუკიდებლად გამოთქმის საშუალება.)

– რა განწყობით არის დაწერილი ეს ლექსი? რა აზრია აქ გატარებული? რის თქმა სურს პოეტს მკითხველისათვის?

– ლექსის სათაურად მისი პირველი სტრიქონია გამოტანილი. როგორ ფიქრობთ, რამდენად ზუსტად არის იგი შერჩეული? რამდენად სრულად გამოხატავს იგი პოეტის სათქმელს?

მოსწავლეებს ვავალებთ გაიხსენონ ვაჟა-ფშაველას სხვა ნაწარმოებებიც.

– რა აერთიანებს მათ? (*ავლებენ პარალელებს ადრე შესწავლილ ლიტერატურულ მასალასთან: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „არწივი“, „მხედართა ძველი სიმღერა“, „ის კი არა არის ბიჭობა!“, „ზამთარი“, „ია“... – (აერთიანებთ ბუნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება, ბუნების გასულიერება, გაჭირვებულისა და სუსტის გამოსარჩლება, სამშობლოს სიყვარული, მტერთან შეურიგებლობა... ენა – ფშაური დიალექტიზმები...).*

აქტივობა 3. გმირის რუკა (5 წთ). მთავარი პერსონაჟის დახასიათება ტექსტუალური მასალის საფუძველზე და მსჯელობა:

გმირის რუკა



აქტივობა 4. მშობლიური ენის სამყაროში (10 წთ).
მოსწავლეებს ვაკვირვებთ წინადადებებზე:
„რაც უნდა ჭირი მამკერძო, ბილწთ არ შავეკვრი ***ზავითა****“.*
*„****საზავო*** *ხელშეკრულება შვიდპუნქტიან შეთანხმებას ითვალისწინებდა“.*
„მხარეები ***დაზავდნენ“.***
მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს ამ წინადადებებს და არკვევენ:
– ეს სამი სიტყვა მეტყველების რა ნაწილია?
– რით ჰგავს ეს სიტყვები ერთმანეთს?
– რით განსხვავდება?
ა) ფორმით, ბ) შინაარსით, გ) ორივეთი.

იქვე ვაძლევთ სათანადო განმარტებას:
ერთი სიტყვისგან თავსართ-ბოლოსართების, ან მხოლოდ ბოლოსართების დართვით შეიძ-ლება ვაწარმოოთ სხვადასხვა მნიშვნელობის რამდენიმე სიტყვა.
– ამ სიტყვებიდან რომელია ძირეული? წარმოქმნილი?

მოსწავლეებს ვავალებთ გაარკვიონ რომელი ძირეული სიტყვებიდან არის წარმოქმნილი სი-ტყვები: **„მჭვარტლიანი“, „ფხიანი“.**

– როგორ მივიღეთ ეს ახალი სიტყვები ძირეული სიტყვებისაგან? რომელი ბოლოსართი და-ვურთეთ?

– სიტყვა **„ფხიანი“** რა მნიშვნელობით არის გამოყენებული ლექსში? რა არის ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა?

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ). მოძებნონ ტექსტში არსებითი სახელები და დააჯგუფონ ფუძეთა მიხედვით: ა) თანხმოვანფუძიანი – კუმშვადი, უკუმშველი, ბ) ხმოვანფუძიანი – კვეცადი, უკვეცელი.

შედეგები:

VII. 2. მოსწავლეს შეუძლია სხვათა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით.

VII. 3. მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევის შეცვლა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

VII. 4. მოსწავლეს შეუძლია საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

VII. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

VII. 9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

VII. 12. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

VII. 13. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ორგანიზაციის წესებისა და ენობრივი ნორმების დაცვა.

გაკვეთილის მასალა: **ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“; ბარბარიზმები, ჟარგონი, დიალექტიზმები, ქართველური ენები; პრაქტიკული გრამატიკა: ნაცვალსახელსა და ზმნასთან დაკავშირებული მართლმეტყველების უნარ-ჩვევების დაუფლება (5 სთ).**

მიზნები:

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება;
- კითხვის სტრატეგიების დაუფლება;
- ტექსტში დასმული პრობლემების გაანალიზება;
- საკუთარი აზრის დასაბუთება;
- ტექსტის გაგება-გაანალიზება ენობრივი მახასიათებლების და გამომსახველობის თვალსაზრისით;
- პერსონაჟთა მეტყველებაზე დაკვირვება;
- „გმირის დახასიათების რუკის“ შედგენა;
- ენის კომუნიკაციური ასპექტების დაუფლება;
- მეტყველების ნაწილებთან (ნაცვალსახელი, ზმნა) დაკავშირებული მართლმეტყველებისა და მართლწერის ჩვევათა ფორმირება;
- წერილობითი ტექსტის აგება.

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების შემოწმება და შეფასება (8-10 წთ).

აქტივობა 2. კითხვისათვის მზადება – სტრატეგია „ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე“ (8-10 წთ).

მეთოდის აღწერა:

შემდეგ მასწავლებელი კლასს წინასწარ აცნობს, რომ ტექსტში აღწერილი მოქმედება ძირითადად საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე – აფხაზეთში მიმდინარეობს. კლასს ყოფს წყვილებად და ავალებს, 4 წუთის განმავლობაში ჩამოწერონ ყველაფერი, რაც ***იციან*** *(ან ჰგონიათ, რომ იციან) საქართველოს ამ ძირძველი ტერიტორიის (ან იქიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების) შესახებ. ამასობაში დაფაზე იხაზება სქემა:* ***ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე.*** *ვთხოვთ მოსწავლეებს, პარტნიორთან გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. როცა საუბარს დაამთავრებენ, გრაფაში* ***„ვიცი“*** *ჩაწერონ ის საკითხები, რომელთა შესახებ მათი ცოდნა ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. შემდეგ კი ვთხოვთ ჩამოაყალიბონ კითხვები იმ საკითხების შესახებ, რომლებშიც არ არიან დარწმუნებულნი, ეს კითხვები შეიტანონ სვეტში* ***„მინდა ვიცოდე“.*** *გრაფა „ვისწავლე“ შეივსება ბოლო გაკვეთილზე, მთლიანი ტექსტის დამუშავების შემდეგ.*

ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი კლასს მოკლედ აწვდის სათანადო ინფორმაციას ავტორის შესახებ.

დამატებითი ინფორმაცია:

„მაშინ ჩვენ ვიცოდით ერთი რაღაც, რომ ქართულ სალიტერატურო ენას რეზო ინანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ფაქტობრივად, მარტო შეუდგა ნუგზარი და მარტო ქაჩავდა ამხელა უღელს. ვიცით, რომ როგორც ბიომრავალფეროვნება არის შესანარჩუნებელი, ასევე უნდა გადავარჩინოთ ქართული ენის ლექსიკური და იდიომატური მრავალფეროვნება. და ეს მრავალფეროვნება გაქრება, მოკვდება, თუ ის არ არის გამოყენებული. მთელი ამ სიმდიდრის გამოყენება შეუძლიათ შატაიძეს, რეზო ინანიშვილს და კიდევ რამდენიმე სხვა მწერალს, რომლებიც ცხოვრობენ ენაში“.

კოტე ჯანდიერი

ნუგზარ შატაიძე დაიბადა 1944 წლის 9 მარტს, თბილისში. იგი თავდაპირველად სწავლობდა ვაჟთა მე-20 სკოლაში, დაამთავრა 62-ე სკოლა. სწავლობდა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ფიზიკის ფაკულტეტზე.

დაინტერესება ქართული მწერლობით ადრეულ ასაკში გამოავლინა. რევაზ ინანიშვილის, გურამ რჩეულიშვილისა და სხვათა შემოქმედებამ, კიდევ უფრო გაუძლიერა და გაუღვივა ინტერესი და სიყვარული მწერლობისადმი. მისი პირველი მოთხრობა „თეთრი ყვავილები“ დაიბეჭდა 1968 წელს ჟურნალ „ცისკარში“. 1979 წელს გამოსცა მოთხრობების პირველი კრებული „მოთხრობები“. არის მრავალი მხატვრული და დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი და რეჟისორი. გიორგი ოვაშვილის ფილმი „გაღმა ნაპირი“ მისი ნოველის „მოგზაურობა აფრიკაში“ მიხედვით შეიქმნა.

მას პატარა და მყუდრო გარემო ჰქონდა მუშაობისთვის შექმნილი. სოლოლაკში, პატარა საკუთარ სახლში ერთი ოთახი მოიწყო, ზამთარში ძირითადად იქ წერდა, გაზაფხულის დადგომიდან გვიან შემოდგომამდე კი ეზოში, დიდი მწვანე ქოლგის ქვეშ შეფარებული იჯდა, მაგიდაზე ფურცლებს გაშლიდა... ქუჩაში მოთამაშე ბავშვების ჟივილ-ხივილი წერაში ხელს არ უშლიდა. გვიან ღამემდე მუშაობდა.

არაერთხელ გაჩერებულა მოთხრობისა თუ ნოველის წერისას, მიუტოვებია ნაწერი და წლების შემდეგ მიბრუნებია. წერა შუაღამესაც რომ დაემთავრებინა, მოთხრობას შვილებს და მეუღლეს უკითხავდა. სწრაფად, დიდი განცდით კითხულობდა. მეუღლე ეტყოდა ხოლმე, მე თვითონ წავიკითხავო, მაგრამ არ ანებებდა. ზოგიერთი მოთხრობის მოსმენის შემდეგ ქალს ძილი აღარ ეკარებოდა, კაცი კი ემოციისგან დაცლილი და შრომით დაღლილი მაშინვე იძინებდა.

საკუთარი მოთხრობებიდან ბევრი უყვარდა, ბევრიც – არა. მის ყველა მოთხრობაში გარკვეული ტრაგიზმი შეიმჩნევა. ცხადია, ბევრი რამ აწუხებდა და თავს უფლებას არ აძლევდა, ბოლომდე ბედნიერი ყოფილიყო.

მომზადებულია ინტერნეტ გვერდების „კვირის პალიტრა“ და „რადიო თავისუფლების“ მიხედვით.

შეახსენებს იმ ფილმსაც, რომელიც ამ ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული (კლასის ერთი ნაწილი, შეიძლება, იცნობს მას); გააფრთხილებს, რომ ტექსტის გმირი მიუსაფარი ბავშვია, ამიტომაც მის მეტყველებაში ხშირად შეხვდებათ სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევის შემთხვევები; რაც შეეხება ტექსტის სათაურის გააზრებას, ამ ეტაპზე, ჩვენი აზრით, არ არის საჭირო მასზე ყურადღების გამახვილება, მისი ანალიზი მოხდება ტექსტის I ნაწილის წაკითხვის შემდეგ.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა (15 წთ). – ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ტრადიციული „კომენტირებული კითხვა“, ისე – ე.წ. „მართული კითხვა“, რაც გულისხმობს მოსწავლეთა მიერ ტექსტის ჩუმად წაკითხვასა და გზადაგზა შენიშვნების გაკეთებას.

მეთოდის აღწერა:

მოსწავლეებს წინასწარ ვაცნობთ იმ პირობით ნიშნებს, რომლებიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ ამ დროს (შეიძლება გავაკრათ დაფაზე პლაკატის სახით):

„V“ – რაც უკვე იცოდნენ მოცემული საკითხის შესახებ;

„–“ –მათი აზრის საპირისპირო ინფორმაცია;

„+“ – ახალი ინფორმაცია;

„?“ – რაც ვერ გაიგეს (შენიშვნა: ამ პირობითი ნიშნების რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს მასწავლებლის შეხედულებისამებრ).

მოსწავლეებს ვთხოვთ, რომ ტექსტის კითხვის პროცესში მინდორზე ეს პირობითი ნიშნები დასვან. აუცილებელი არ არის, ყოველი სტრიქონის ან აზრის აღნიშვნა, შესაძლოა, მოსწავლემ მხოლოდ ერთი ტერმინი ან მთლიანად აბზაცი მონიშნოს;

შესაძლებელია ერთდროულად ორი ნიშნის გამოყენება;

ამგვარი მუშაობა შეიძლება ჩავატაროთ როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილებში კითხვის პროცესში.

ტექსტის წაკითხვისა და დამუშავების შემდეგ შეიძლება ამ ცხრილს საბოლოო სახე მივცეთ.

აქტივობა 4. ტექსტის გააზრება (5-6 წთ): ტექსტის გაგება-გააზრების მიზნით სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებთან ერთად შეიძლება გამოვიყენოთ დამატებითი კითხვებიც:

– ვინ და ვინ არიან ამ ნაწარმოების მოქმედი პირები? რომელია მათ შორის მთავარი გმირი? არამთავარი? სად ცხოვრობენ? რით ირჩენენ თავს? ვინ ზრუნავს მათზე? საქართველოს რომელი კუთხიდან არიან ისინი? რა აერთიანებს მათ?..

– რატომ ყნოსავენ ბიჭები წებოს? რით ხსნის ამას მთავარი გმირი?

– რით იღუპება წუპაკა?

– რატომ ანებებს მთავარი გმირი წებოს ყნოსვას თავს?

– რატომ სურს მას აფხაზეთში დაბრუნება?

– ვის მიმართავს იგი რჩევისათვის?

– საქართველოს რომელი ქალაქებია/დაბებია ტექსტშია ნახსენები? ვის მიერ არის ამჟამად ეს ტერიტორია ოკუპირებული?

– როგორ არის აღწერილი ომამდელი აფხაზეთის ცხოვრება?

– შეადარეთ ერთი ქართული ოჯახის ცხოვრება ომამდე და ომის შემდეგ...

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ): ა) I ნაწილის მიხედვით ააგონ წერილობითი ტექსტი: „მიუსაფარი ბავშვების ცხოვრება“, ბ) შინაარსის გადმოსაცემად შეადგინონ გეგმა.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო წერითი დავალების შემოწმება და ანალიზი (5-7 წთ).

აქტივობა 2. წაკითხული შინაარსის ნაწილ-ნაწილ გადმოცემა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით (10-12 წთ).

გეგმას დაახლოებით ასეთი სახე შეიძლება ჰქონდეს:

ა) მიუსაფარი ბავშვები მუყაოს ყუთში/მუყაოს „სახლი“;

ბ) „მოგზაურობა აფრიკაში“ წებოსთან ერთად;

გ) წუპაკას სიკვდილი;

დ) პატარა მათხოვრები;

ე) დედისგან წამოსვლა;

ვ) საშინელი ომი/ომის საშინელება;

ზ) მოულოდნელი გადაწყვეტილება;

თ) აფხაზეთისკენ გამგზავრება;

ი) მოგონებები აფხაზეთზე.

აქტივობა 3. ტექსტის ანალიზი (10-12 წთ):

– რას ვგებულობთ ტექსტიდან მთავარი გმირის შესახებ? (*აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველი ბავშვია, რომლის მამამაც აფხაზეთიდან წამოსვლა ვერ შეძლო, დედა კი უკიდურეს გაჭირვებაშია და ერთ-ერთ სავაჭრო ჯიხურში მუშაობს).*

– რატომ აღმოჩნდა ის ქუჩაში? (*ოჯახი აფხაზეთის ომის შემდეგ თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში ცხოვრობდა, საიდანაც მთავარი გმირი წამოვიდა დედასთან უსიამოვნების გამო).*

– რატომ აქვს დედასთან უსიამოვნება? (*დედას ხასიათი გაუფუჭა ომმა და მუდმივმა გაჭირვებამ, გალოთდა, შვილს ცუდად ექცევა, ხშირად უმიზეზოდაც სცემს*).

– ბიჭის რა თვისებები ჩანს ტექსტში? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით (*მთავარი გმირი საკმაოდ გაბედულია; დამოუკიდებელია; აღარ ენდობა ადამიანებს, თავის ნამდვილ სახელსაც არავის უმხელს; ხშირად ცრუობს; ყნოსავს წებოს და ბრუვდება – ტოქსიკომანია; ქურდობს; გულის სიღრმეში ძალიან განიცდის დედასთან დაშორებას და დარდობს მასზე...).*

– დაასახელეთ ის ფაქტორები, რამაც, თქვენი აზრით, ხელი შეუწყო მასში უარყოფითი თვისებების ჩამოყალიბებას *(ქუჩა, უზედამხედველობა, ადამიანური სიყვარულის დეფიციტი/ნაკლებობა, მუდმივი გაჭირვება...*).

– რა არის ყოველივე ამის მიზეზი? (*ომი*).

– თქვენი აზრით, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, ომი რომ არ ყოფილიყო? (*სავარაუდოდ, ისიც ისე იცხოვრებდა, როგორც უამრავი მისი თანატოლი, გაიზრდებოდა ოჯახში მშობლების ყურადღებითა და სიყვარულით გარემოცული, ივლიდა სკოლაში...*).

– როგორ ფიქრობთ, რა პრობლემა დასვა მწერალმა ამ ნაწარმოებში? (*ომი საშინელებაა, იგი უამრავი ადამიანის ცხოვრებას ანადგურებს*).

– ჩვენი ქვეყნის ცხოვრების რა პერიოდია გადმოცემული ტექსტში? რა მინიშნებებია ამის შესახებ ტექსტში? შეეცადეთ, მიახლოებით განსაზღვროთ წლები (*ეს არის ჩვენი საუკუნის დამდეგი, აფხაზეთის ომის დროს – 1994 წ. – მთავარი გმირი ექვსი წლის იყო, ახლა იგი დაახლოებით 14–15 წლის არის, ტექსტში ნახსენები მიწისძვრის შედეგად დანგრეული სახლიც 2001 წლის მიწისძვრაზე მინიშნებაა, სწორედ იმ პერიოდში მომრავლდნენ თბილისში მიუსაფარი ბავშვებიც...*) და ტექსტის მიხედვით დაახასიათოთ ეს პერიოდი.

აქტივობა 4. ტექსტის ენობრივ მხარეზე დაკვირვება (10-12 წთ):

– ტექსტში უხვად გვხვდება ბარბარიზმები და ჟარგონული მეტყველების ნიმუშები. რით ხსნით ამ ფაქტს? (*ნაწარმოების მთავარი გმირი მიუსაფარია, ქუჩაში ცხოვრობს, ურთიერთობა უხდება თავისნაირ მიუსაფარებთან, არ დადის სკოლაში, არ კითხულობს...*).

– მოძებნეთ ტექსტში ბარბარიზმებისა და ჟარგონის ნიმუშები და შეცვალეთ ისინი ლიტერატურული შესატყვისებით. რა შეიცვლა ამით ტექსტში? (*ტექსტს მოაკლდა გამომსახველობა, დაუჯერებელია მიუსაფარი ბავშვისგან ამგვარი ფორმებით საუბარი...*).

– რომელ პირშია ტექსტში თხრობა? თქვენი აზრით, რატომ მიმართავს ამ ხერხს მწერალი? (*უფრო გასაგები რომ გახადოს მთავარი გმირის ცხოვრება, მისი განცდები; უფრო რომ დააახლოოს იგი მკითხველთან*).

– რომელი პირის ნაცვალსახელს იყენებს ტექსტის გმირი საკუთარ თავზე საუბრისას?

– მოძებნეთ ტექსტში ა) პირის ნაცვალსახელები (***მე*** *ვიხარშავ,* ***შენ*** *წევხარ,* ***ისინი*** *დადიან...*), ბ) კუთვნილებით ნაცვალსახელები (**ჩემი** ლოგინი, **მისი** სიკვდილი, **ჩემს** ყვირილზე...).

დაფაზე იწერება ორი წინადადება:

„**მათ** მითხრეს, რომ ჩემთვის ადრეა კლდიდან გადმოხტომა“.

„**მათმა** საუბარმა მეც დამაინტერესა“.

_ რომელ სიტყვას/მეტყველების ნაწილს უკავშირდება I წინადადებაში ნაცვალსახელი **მათ**? (*ზმნას*). რომელი პირის მოქმედებას აღნიშნავს იგი? (*აღნიშნავს მრავლობით რიცხვში III პირის მოქმედებას*).

– II წინადადებაში ნაცვალსახელი **მათმა** რომელ მეტყველების ნაწილს ახლავს? (არსებით სახელს). რომელ ბრუნვაშია ეს არსებითი სახელი? (მოთხრობითში).

ვაძლევთ სათანადო განმარტებას: **პირველ წინადადებაში *მათ* პირის ნაცვალსახელია, რადგან იგი ზმნას** (*მითხრეს*) **უკავშირდება. მას აქ ბრუნვის ნიშანი არ სჭირდება. მეორე შემთხვევაში კი *მათმა* კუთვნილებითი ნაცვალსახელია, რადგან არსებით სახელს** (*საუბარი*) **უკავშირდება და მასთან ერთად იბრუნვის, ამიტომაც აქვს ბრუნვის ნიშანი.**

დაფაზე ვაბრუნებთ ამ სინტაქსურ წყვილს: „მათი საუბარი.“

სახ. მათ-ი საუბარ-ი
მოთხრ. მათ-მა საუბარ-მა
მიც. მათ-ს საუბარ-ს
ნათ. მათ-ი საუბრ-ის
მოქ. მათ-ი საუბრ-ით
ვით. მათ საუბრ-ად
წოდ. ----------

ეძლევა დასკვნა: კუთვნილებითი ნაცვალსახელი არსებითთან ერთად ისევე იბრუნვის როგორც თანხმოვანფუძიანი ზედსართავი არსებითთან ერთად.

აქვე ვაკვირვებთ ***ვინ?*** და ***რა?*** კითხვით ნაცვალსახელებთან დაკავშირებულ მართლმეტყველებისა და მართლწერის საკითხებზე, სახელმძღვანელოში მოთავსებულ მართებულ და უმართებულო ფორმებზე. კლასშივე სრულდება დავალება №1.

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ): ა) დავალება №2, ბ) დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტის მეორე ნაწილი და კითხვის პროცესში გამოიყენონ „მართული კითხვის“ ის პირობითი ნი-

შნები, რომელთაც წინა გაკვეთილზე გაეცნენ (*„V“ რაც უკვე ვიცოდი, „–“ ჩემი აზრის საპირისპირო ინფორმაცია, „+“ ახალი ინფორმაცია, „?“ რაც ვერ გავიგე*). გ) შეადგინონ შინაარსის გადმოსაცემად გეგმა.

III გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების შემოწმება და ანალიზი (5-7 წთ).

აქტივობა 2. წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება (15-20 წთ): გაანალიზდება მოსწავლეების მიერ შინ ტექსტის კითხვის პროცესში გამოყენებული პირობითი ნიშნების სისტემა. მასწავლებლის ამოცანაა, არც ერთ მოსწავლეს არ დარჩეს გაუგებარი და აუხსნელი ის ადგილი, რომელიც მან „?“-ით აღნიშნა. შემდეგ მოსწავლეები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით გადმოსცემენ II თავის შინაარსს. გეგმას, სავარაუდოდ, ასეთი სახე შეიძლება ჰქონდეს:

ა) ენგურის ხიდზე გადასვლა

ბ) ზღვასთან შეხვედრა/ ოჩამჩირეში

გ) აფხაზი მასპინძლები

სახელმძღვანელოში მოცემულ მასალასთან ერთად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი კითხვებიც:

– ვისთან ერთად მგზავრობს ბიჭი გალამდე? რას ვგებულობთ ტექსტიდან ამ მგზავრების შესახებ? სად ცხოვრობენ? რატომ უხდებათ შინისაკენ მიმავალთ საზღვრის გადალახვა? რა ენაზე მიმდინარეობს საუბარი ავტობუსში? რას უსვამს ამით მწერალი ხაზს? რა ეროვნების არიან ეს ადამიანები? *(ბიჭი გალელ ქართველებთან ერთად მგზავრობს. მწერალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საზღვარი საქართველოს ძირძველ ტერტორიას შუაზე ყოფს, ადგილობრივ ქართველებს შინ მისასვლელად საშვის წარდგენა სჭირდებათ რუს მესაზღვრეებთან...*).

– რა ინფორმაციას ფლობს ბიჭი აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ? (*„თბილისში აფხაზ ბოევიკებზე საშინელი ამბები დადიოდა“...*). რამდენად მართლდება ეს ინფორმაცია? (*ნაწილობრივ მართლდება: მართალია, ახლა იქ ომი აღარ არის და სისხლი აღარ იღვრება, მაგრამ ქართველები იქ მაინც უცხოდ გრძნობენ თავს – შინ მისასვლელად საზღვრის გადალახვა და რუსი მესაზღვრეებისათვის საშვის ჩვენება სჭირდებათ*).

– ოჩამჩირეში ჩასულ ბიჭს ზღვა ძალიან შორეულად, უცხოდ და საშიშად ეჩვენება, თქვენი აზრით, რატომ? *(მისთვის იქაურობა უცხოა, მას არაფერი აღარ აგონებს ომამდელ აფხაზეთს, რომელიც ასე ენატრებოდა; თითქოს ზღვაც კი შეიცვალა, აღარ არის ისეთი, ასე რომ უყვარდათ იქაურ ქართველებს; ირგვლივ შიშია, მწერალიც ამის ჩვენებას ცდილობს...*).

– ბიჭი მთელ საზოგადოებას „ცუდებად“ და „კარგებად“ ყოფს („ამქვეყნად ცუდი და ბოროტი ხალხი უფრო მეტია, ვიდრე კარგი“...). მისი აზრით, ვინ არიან „ცუდები“? „კარგები“? რა არის მისთვის ამგვარი დაყოფის საფუძველი? (*მისი ცხოვრებისეული გამოცდილება. გაჭირვებამ ქუჩაში ის უამრავ უსინდისო ადამიანს შეახვედრა, თუმცა მათ შორის იყვნენ „კარგებიც“, მაგრამ უფრო ცოტა*).

– *„რო მომეკლა, მაშინ მეც ცუდი ვიქნებოდი, მაგრამ, მეორე მხრივ, არ იყო მოსაკლავი?“*– როგორ ფიქრობთ, აქვს მას ამგვარი ფიქრის საფუძველი? (*დაასაბუთეთ თქვენი აზრი*). ამართლებს იგი ადამიანის (*თუნდაც ცუდის*) მკვლელობას? *(არ ამართლებს*). რაზე მიგვანიშნებს ეს ფრაზა? (*მასში ჯერ არ გამქრალა სიკეთის გრძნობა, საბოლოოდ არ გაბოროტებულა*).

– რამდენად გამართლებულია, თქვენი აზრით, ამგვარი დაყოფა? *(დაასაბუთეთ თქვენი აზრი).*

– ის ადამიანები, რომლებთანაც მას ურთიერთობა მოუხდა აფხაზეთში, „ცუდები“ არიან თუ „კარგები“?

– როგორ ფიქრობთ, შეძლებენ ეს ადამიანები მასში სიკეთის გაღვივებას? (*დაასაბუთეთ თქვენი აზრი).*

– ყურადღებით წაიკითხეთ აფხაზურ ოჯახში სტუმრობის ამსახველი ეპიზოდი. რა იქცევს აქ თქვენს ყურადღებას? *(აფხაზები იცავენ სტუმარმასპინძლობის ძველ კავკასიურ ტრადიციას, მათ*

არ სძულთ ქართველები, ბევრი მათგანი შერეული ოჯახიდან არის: დედა ჰყავს ქართველი, ისინი ერთნაირად ფლობენ ქართულ და რუსულ ენებს, რუსულად ეკონტაქტებიან იქ მცხოვრებ ქართველებსაც; რაც შეეხება აფხაზურს – მათ უმრავლესობას რუსულად საუბარი ურჩევნია იმიტომ, რომ რუსული სკოლა აქვს დამთავრებული, მათი მშობლიური ენა უკვე რუსულია, რუსულმა ჩაანაცვლა აფხაზური...).

აქტივობა 3. ენობრივ მხარეზე დაკვირვება (10-15 წთ):

ა) ინფორმაცია ქართველური ენების შესახებ:

– ტექსტში უამრავი მეგრული სიტყვა თუ ფრაზა გვხვდება. რაზე მიგვანიშნებს ეს გარემოება? (*ამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დღესაც უამრავი ქართველი, კერძოდ მეგრელი, ცხოვრობს*).

– რა გახსოვთ წინა კლასებიდან მეგრული ენის შესახებ? ენათა რომელ ჯგუფს განეკუთვნება იგი? რომელი ენებია ამ ჯგუფში გაერთიანებული? აქედან რომელ ენას აქვს დამწერლობა?

ბ) პერსონაჟის მეტყველებაზე დაკვირვება:

– ტექსტში კვლავ გვხვდება ბარბარიზმები და ჟარგონები. შეცვალეთ ისინი ლიტერატურული შესატყვისებით. დააკვირდით – ვინ იყენებს ამგვარ ფორმებს მეტყველებისას: მწერალი თუ ლიტერატურული გმირი? თქვენი აზრით, რისთვის დასჭირდა მწერალს თავისი გმირის ამგვარი ფორმებით ამეტყველება? *(უკეთ რომ გვიჩვენოს მისი სულიერი სამყარო, განათლება; დაახასიათოს ის წრე, რომელშიაც ეს გმირი ტრიალებს).*

გ) ზმნის რაობა: მოსწავლეებისათვის ზმნის რაობა და მისი ძირითადი კატეგორიები (*პირი, რიცხვი, დრო)* წინა კლასებიდან რამდენადმე ნაცნობია. ახლა ჩვენი ყურადღების ცენტრშია ნასახელარი ზმნები და მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრება ამ კუთხით. ამას ემსახურება ის სავარჯიშოები, რომლებიც სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი (იხ. „მოსწ. წიგნი“, გვ. ???– ბოლოს ჩაისმება).

აქტივობა 4. საშინაო დავალება (2-3 წთ): ა) პირობითი ნიშნების გამოყენებით წაიკითხონ ტექსტის III ნაწილი, ბ) შეადგინონ გეგმა ტექსტის შინაარსის გადმოსაცემად.

IV გაკვეთილი

აქტივობა 1. „მართული კითხვა“ (5-7 წთ). გაანალიზდება მოსწავლეთა მიერ შინ ტექსტის დამოუკიდებლად კითხვის პროცესში გამოყენებული ყველა პირობითი ნიშანი, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „?“-ით აღნიშნული მონაკვეთების ანალიზს.

აქტივობა 2. წაკითხულის შინაარსის გადმოცემა გეგმის მიხედვით (8-10 წთ). გეგმას დაახლოებით ასეთი სახე შეიძლება ჰქონდეს:

ა) გზად ტყვარჩელისაკენ;

ბ) მშობლიურ სახლში;

გ) მარო ბებიასთან შეხვედრა/უსიამოვნო ამბები;

დ) თბილისისაკენ;

ე) წარსულთან დაბრუნება/„მოგზაურობა აფრიკაში“.

მოსწავლეები ნაწილ-ნაწილ გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს *(აუცილებელი პირობა – ტექსტის შინაარსს გადმოსცემენ III პირში, საჭიროების შემთხვევაში იყენებენ ციტატებს).*

აქტივობა 3. ტექსტის გააზრება (10-12 წთ):

– წაიკითხეთ ტექსტიდან ის ადგილი, სადაც აფხაზური სოფელია აღწერილი. როგორ ფიქრობთ, რატომ უთმობს მწერალი ამდენ ყურადღებას სოფლის აღწერას? (*უნდა გვიჩვენოს, რომ აფხაზეთის სოფლები არაფრით განსხვავდება დანარჩენი საქართველოს სოფლებისაგან: იგივე ბუნება, იგივე მეურნეობა, იგივე შენობები, აფხაზებს კი გარეგნობით ვერც გაარჩევთ ქართველებისგან...*).

– ტყვარჩელში ჩასული ჩვენი გმირი იმედგაცრუებული რჩება. რა არის მისი იმედგაცრუე-

ბის მიზეზი? (*ქალაქი დაცარიელებულია, შენობები – დანგრეული, ირგვლივ არავინ არის ნაცნობი, ქალაქს ომისა და გაჭირვების ბეჭედი აზის; ბინა, სადაც ადრე ის ცხოვრობდა, უპატრონოდ არის მიტოვებული...).*

– ჩვენი გმირი დიდი სიფრთხილით იღებს სათამაშო დათუნიას და ჩანთაში ინახავს. რისი ჩვენება სურს ამ ეპიზოდით მწერალს? *(ბიჭისთვის ძვირფასია ყველაფერი, რაც მის წარსულ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული; განსაკუთრებით ძვირფასია ის ოჯახური მყუდროება, რომელიც აქ დარჩა, ტყვარჩელში, ამ დათუნიასთან ერთად; დათუნია მისი ბედნიერი ბავშვობის განსახიერებაა, ამიტომ არის ეს თათმოგლეჯილი დათუნია მისთვის ასეთი ძვირფასი...*).

– ტყვარჩელში დაბრუნებული ბიჭი იგებს, რომ მამამისი ცოცხალია, მაგრამ ეს ფაქტი მას არ უხარია. როგორ ფიქრობთ, რატომ? *(მამამ მეორე ოჯახი შექმნა, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა მათთან. ბიჭი ამას ღალატად აღიქვამს, ისევე, როგორც ადრე ღალატად აღიქვა დედის საქციელი*).

– როგორ გესმით მარო ბებოს სიტყვები: „აფხაზი თუ ყავდა კაცს ცოლად, არ ერჩოდნენ...“? (*მოხუცი ცდილობს გაამართლოს მამამისის საქციელი, ამავე დროს მიგვითითებს იმ რეალობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ომის დროს*).

– რატომ გადაწყვიტა ბიჭმა დედისათვის ქორწინების ბეჭდის დაბრუნება? *(მიხვდა, რომ მშობლების განსჯა არ შეიძლება*).

– რა გამოსავალს პოულობს იგი? (*კვლავ წებოს უბრუნდება*).

– რა არის ამის მიზეზი (მიზეზები)? (*იმედგაცრუება. იმედი ჰქონდა, რომ აფხაზეთში წასვლით გააცოცხლებდა ძველ, უშფოთველ ცხოვრებას – აფხაზეთი ხომ მის მახსოვრობაში სიმშვიდესა და ოჯახურ მყუდროებასთან იყო გაიგივებული! შეხვდებოდა მამას, რომელიც მას დაეხმარებოდა, ამ წუმპიდან ამოსულიყო. აწმყოსთან ერთად მას დაენგრა წარსულიც. მისთვის ყოველდღიურობიდან გაქცევის ერთადერთი საშუალება ბავშვობის მოგონება იყო, ახლა ეს მოგონებაც აღარ ექნება. ადრე წებოს ყნოსვას იგი სიცივითა და ზამთრის ყინვებით ხსნიდა, ახლა კი ამ ახსნისთვისაც არ იწუხებს თავს, ყველაფერი ისედაც გასაგებია; კეთილმა ადამიანებმა ვერ შეძლეს მისი გადარჩენა*).

– როგორ აფასებთ მის ამ მოქმედებას? (*დაასაბუთეთ თქვენი აზრი*).

აქტივობა 4. წყვილებში მუშაობა: ინტერვიუ მთავარ გმირთან (7-8 წთ).

მეთოდის აღწერა:

მოსწავლეები წყვილებში ჩამოწერენ იმ კითხვებს, რომლებიც მათ ამ ლიტერატურული გმირის მიმართ გაუჩნდათ. შეიძლება მუშაობას ამგვარი სახეც მივცეთ: ერთი მოსწავლე წერს კითხვას, მისი მეწყვილე კი – სავარაუდო პასუხს, რომელიც შეიძლება ამ გმირს ჰქონდეს.

აქტივობა 5. „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“ (5 წთ).

– რა შეიტყვეთ ახალი ამ ტექსტიდან აფხაზეთის შესახებ?

მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ სვეტს „ვისწავლე“ (*ამ სქემის პირველი ორი გრაფა მათ ტექსტის გაცნობამდე შეავსეს – იხ. I გაკვეთილი).*

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ): ერთხელ კიდევ ყურადღებით გადახედონ ტექსტს და მოემზადონ დებატებისათვის: **ტოქსიკომანია** (*წებოს ყნოსვა*) **– დანაშაული თუ ხსნა?** მოიძიონ სათანადო მასალა ამ მიზნით ინტერნეტრესურსებით.

V გაკვეთილი

აქტივობა 1. დებატები: ტოქსიკომანია – დანაშაული თუ ხსნა/თავის შველა? (15 წთ).

მეთოდის აღწერა:

*მოსწავლეები იყოფიან ორ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში ერთიანდებიან თანამოაზრენი (**1. ტოქსიკომანია – დანაშაული, 2. ტოქსიკომანია – თავის შველა, ხსნა**). კამათი იწყება დაპირისპირებული მხარეებიდან თითო წარმომადგენლის გამოსვლით. ამის შემდეგ დრო ეთმობათ სხვა მონაწილეებსაც ორივე მხრიდან.*

აუცილებელი პირობები:

- *დაიცვან დროის ლიმიტი – დებატებისათვის საერთო საგაკვეთილო დროიდან გამოიყოფა 15 წთ, ჯგუფიდან გამომსვლელებს – 3-4 წთ, კამათში მონაწილეებს – 1-2 წთ.*
- *თითოეულ მონაწილეს გამოსვლა შეუძლია მხოლოდ მასწავლებლის ნებართვით;*
- *დაუშვებელია მონაწილეთა შორის დაპირისპირება;*
- *თითოეული მოსაზრება ფაქტებით უნდა იყოს გამყარებული;*
- *თითოეულ მსურველს უნდა მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება;*
- *აუცილებლად უნდა დაიცვან კორექტულობისა და ეთიკის წესები...*

აქტივობა 2. შეფასება (2-3 წთ). ამ მიზნით მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ე ს გ მიერ რეკომენდებული შემაჯამებელი შეფასების სქემა ზეპირმეტყველებაში:

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს დროის ლიმიტს	0 _ 1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	0 – 0, 5 _ 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას	0 _ 1- 2
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 – 1- 2
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 _ 1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., ჟესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს და ა.შ.)	0-1
იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს, ჩართულს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციას და ა.შ.)	0 _ 1
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები	0 _ 1
ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10 (ქულები მრგვალდება მთელი სიზუსტით)	

აქტივობა 3. შეჯამება– წაკითხულის შეფასება: (5-7 წთ).

– რა თემას შეეხება ეს ტექსტი? რა არის ძირითადად მასში აღწერილი? *(მიუსაფარი ბავშვების ცხოვრება, მათი ყოველდღიური ყოფა; ის მიზეზები, რომლებმაც ისინი ასეთებად აქცია).*

– გარდა მიუსაფარი ბავშვების ცხოვრებისა, კიდევ რა საკითხებს ეხება მწერალი? *(ეს არის ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა, მათ შორის მესამე ძალის არსებობა, რომელსაც მწერალი ხშირად გვიჩვენებს – რუსი ჯარისკაცი ენგურის ხიდთან, რუსული წარწერები, რუსული მეტყველება..., აგრეთვე – მშობლებისა და შვილების ურთიერთობა, იმ მიზეზების ძებნა, რომლებიც მათ დაშორებასა და გაუცხოებას იწვევს; ტოქსიკომანია, როგორც ნარკომანიისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი...).*

– რა არის მწერლის სათქმელი? რა საფიქრებელს უტოვებს იგი მკითხველს? *(აქ ჩამოთვლილი ყველა პრობლემის გამომწვევი მიზეზი ომია, რომელიც ანგრევს და ანადგურებს ადამიანების ცხოვრებას, უცვლის მათ ხასიათს, აქცევს დამნაშავეებად;* ***ომი საშინელებაა ყველასთვის, განსაკუთრებით კი – ბავშვებისათვის!...***).

აქტივობა 4. სტრატეგია 3. 2. 1 – 3 რამ, რამაც დამაფიქრა; 2 რამ, რაშიც ავტორს არ ვეთანხმები; 1 რამ, რის შესახებაც მეტის გაგებას ვისურვებდი (5 წთ).

აქტივობა 5. ტექტის ენობრივ მხარეზე დაკვირვება (10 წთ):

ა) დიალექტიზმებზე დაკვირვება,

ბ) ზმნისწინის ფუნქციაზე დაკვირვება,

გ) ზმნისწინთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

აქტივობა 6. (1-2 წთ). საშინაო დავალება: ააგონ წერილობითი თხზულება შესწავლილი ტექსტის მიხედვით: „აფხაზეთი დღეს“.

შედეგები: VII-1, VII-4, VII-7, VII-9, VII-10, VII-11, VII-13.

გაკვეთილის მასალა: **„წერილები ვაჟიშვილს“ ჩესტერფილდი (თარგმანი ბ. მიქელაძისა), ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირი.**

მიზნები:

- არამხატვრული ტექსტის წაკითხვა-გაანალიზება;
- საკომუნიკაციო ტექსტის მიზნისა და ადრესატის ამოცნობა;
- მიღებული ინფორმაციის გაზიარება;
- მიზნობრივი ტექსტის (წერილი) დამოუკიდებლად შექმნა;
- კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება;
- დისკუსიაში მონაწილეობისას ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიების გამოყენება;
- ზმნის პირიანობაზე დაკვირვება და სათანადო დასკვნების გამოტანა.

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5 წთ).

აქტივობა 2. კითხვისთვის მზადება / პროვოცირება (5-7 წთ).

აქ შეგვიძლია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, გთავაზობთ ერთ-ერთს:

მასწავლებელი კლასს ავალებს ჩამოწერონ ფურცლებზე ის **3** მთავარი ამოცანა, რომელიც შეიძლება მიზნად დაისახოს თანამედროვე ახალგაზრდამ ცხოვრებაში (*მაგ., მოიხადოს ვალი ღვთისა და ერის წინაშე, შეიძინოს დიდი ცოდნა, იყოს კარგად აღზრდილი პიროვნება...*).

მოსწავლეები თავიანთ მოსაზრებებს კლასს აცნობენ და მსჯელობენ ამ საკითხების ირგვლივ. მოქმედებს პრინციპი**: ყველას აზრი საყურადღებოა.**

ამის შემდეგ მასწავლებელი კლასს აწვდის ინფორმაციას ლორდი ჩესტერფილდის შესახებ, რომელიც ცნობილია თავის ეპისტოლარული მემკვიდრეობით.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა და გააზრება (10 წთ).

ტექსტის უკეთ გააზრებისათვის ვიყენებთ კითხვის მეთოდს **„ორმხრივ ჩანაწერთა დღიური“.** ამ მეთოდის დახმარებით სიღრმისეულად იაზრებენ ტექსტს და აკავშირებენ მოცემულ მასალას საკუთარ გამოცდილებასთან.

მეთოდის აღწერა:

რვეულის ფურცელი ვერტიკალური ხაზით ორად უნდა გაყონ.

ტექსტიდან მარცხენა სვეტში უნდა შეიტანონ წინადადებები ან ფრაზები, რომლებიც მათზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ.

მარჯვენა გრაფაში უნდა ჩაწერონ მოსაზრება, კომენტარი, არგუმენტი, თუ რატომ შეარჩიეს ეს ფრაზა? შეიძლება ეს იყოს ცხოვრებისეული გამოცდილება ან მათ ხელთ არსებული ინფორმაცია.

ეს ამოცანა რომ გაუადვილდეთ, შეგვიძლია წინასწარ ჩამოვუწეროთ დამხმარე კითხვები:

✓ რა მოსაზრებით შეარჩიეთ ეს მონაკვეთი?

✓ რაზე ჩაგაფიქრათ მან?

✓ რა კითხვები დაგებადათ?

ვავალებთ წაიკითხონ ტექსტი ინდივიდუალურად ან წყვილებში. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ეძლევათ დრო იმისათვის, რომ გააკეთონ ჩანაწერები.

მოსწავლეები თავიანთ ჩანაწერებს სურვილისამებრ უზიარებენ კლასს.

აქტივობა 4. ტექსტის შინაარსის გადმოცემა (6-8 წთ):

მოსწავლეები გამოკვეთენ ნაწარმოების მთავარ ინფორმაციას და ფაქტებზე ორიენტირებულ კითხვებზე პასუხებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

– რაზეა პირველ წერილში საუბარი? *(დროის ფასზე. ანუ როგორ გამოვიყენოთ სწორად და ნაყოფიერად დრო).*

– რა მიაჩნია წერილის ავტორს ყველაზე დიდ განძად? რას ურჩევს იგი შვილს?*(საფუძვლიანი ცოდნის დაგროვება. თვრამეტი წლის ასაკამდე მიიღე ცოდნა, თორემ მერე მას ვეღარ დაეუფლები).*

– რას უწოდებს იგი ცოდნას? *(ცოდნა ეს არის მოხუცებულობის თავშესაფარი, ნავთსაყუდარი).*

– რა გარიგებას სთავაზობს იგი შვილს? *(გაძლევ პატიოსან სიტყვას, თუ შეასრულებ ყველაფერს, რასაც შენგან მოვითხოვ თვრამეტი წლის ასაკამდე, შემდეგში, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, შეგისრულებ ყველაფერს, რასაც კი მოინდომებ...).*

– რას ურჩევს მამა შვილს მეორე წერილში? *(მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ ისურვებდი, რომ მოგპყრობოდნენ..).*

– ადამიანებთან ურთიერთობის რა ფორმაზე საუბრობს იგი? (*მეგობრულ, ჰუმანურ დამოკიდებულებაზე).*

– რატომ არ მიაჩნია მას საკუთარ თავზე ლაპარაკი მისაღებად? *(თუ ნამდვილად იმსახურებ ქებას და პატივისცემას, „ხალხი შენს გარეშეც გაიგებს ამას, რაც შენთვის გაცილებით უფრო სასახელოა“).*

აქტივობა 5. ენობრივ მხარეზე დაკვირვება (10-12 წთ).

დააკვირდით ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს:

– ვის უგზავნიან წერილს? ვინ არის ამ წერილების ადრესატი? *(ვაჟიშვილი).*

– ვინ არის ადრესანტი – ვინ აგზავნის წერილს?*(მამა).*

– წერილის ადრესატი და ადრესანტი ოფიციალური პირები არიან თუ კერძო? *(კერძო).*

– რა სახის არის ეს წერილი: საქმიან-ოფიციალური თუ პირადი?*(პირადი).*

– რა მიზნით აგზავნის ადრესანტი ამ წერილს? რას შეიცავს ეს წერილი? ა) მილოცვას, ბ) მობოდიშებას, გ) რჩევა-დარიგების მიცემას, ე) მადლობის გადახდას. *(სწორი პასუხია გ).*

მოსწავლეებს ვაკვირვებთ ტექსტზე და ვავალებთ მიაქციონ ყურადღება, როგორ იწყებს წერილის წერას ადრესანტი.

– ვის მიმართავს იგი? როგორ მიმართავს?*(ჩემო საყვარელო ბიჭო! მიმართავს შვილს).*

– როგორ ამთავრებს იგი თავის წერილებს? *(მშვიდობით).*

– სად უთითებს წერილის დაწერის თარიღს?*(წერილის დაწერას იწყებს თარიღით, მარცხენა ზედა კუთხეში).*

– თქვენი აზრით, რა აუცილებელი ნიშნებით ხასიათდება პირადი წერილი? რა უნდა გავითვალისწინოთ ამგვარი წერილების შედგენისას? *წერილი უნდა იყოს სადა, უშუალო, მასში უნდა ჩანდეს ადრესატის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, რჩევები უნდა მივცეთ ტაქტიანად, მისი ასაკის, ინტერესების და სულიერი სამყაროს გათვალისწინებით.* მოსწავლეებს ყურადღება უნდა მივაქცევინოთ პირადი წერილის მიწერისას ფორმაზე, თემაზე, მისალმებაზე, ხელმოწერაზე, თარიღზე და ა.შ.

აქტივობა 6. საშინაო დავალება (2-3 წთ). ტექსტის მიხედვით დაწერეთ მამის რჩევა-დარიგება სწავლა-აღზრდის, ზნეობისა და ეთიკის შესახებ (გაითვალისწინეთ ოჯახის წევრების აზრიც ამ საკითხის შესახებ).

II გაკვეთილი

აქტივობა1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5 წთ).

აქტივობა 2. წაკითხულის გააზრება-წვდომა (10 წთ):

– თქვენ გაეცანით მე-18 საუკუნეში დაწერილ ორ წერილს, რომელთაც მამა უძღვნის შვილს. ორივეს დამრიგებლობითი ხასიათი აქვს. ამ რჩევებიდან რომელია თქვენთვის დღეს მისაღები? მიუღებელი? რატომ? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

– „... ეს წერილები შეიძლება ხელში მივცეთ ყველა ყმაწვილს“, – ეთანხმებით თუ არა ამ შეფასებას?

მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე, მსჯელობენ, აყალიბებენ მოსაზრებებს და არგუმენტებით ამყარებენ.

აქტივობა 3. წერის სტრატეგია – RAFT (როლი, აუდიტორია, ფორმატი, თემა) (10-13 წთ):

მეთოდის აღწერა:

- *აირჩიონ **თემა**, რომელზეც ისურვებენ წერას – სიყვარული, მეგობრობა, სწავლა, გართობა, ბუნების დაცვა...*
- *აირჩიონ **როლი,** ვის როლში ისურვებენ ყოფნას? ე.ი. ვინ იქნება წერილის ადრესანტი. ჩამოვწეროთ მათ მიერ შერჩეული როლები დაფაზე (მამა, შვილი, მასწავლებელი, მწერალი...);*
- *ვის მისწერენ წერილს – ვინ იქნება ადრესატი; მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ შესაფერისი **აუდიტორია** (კონკრეტული პირი, ისტორიული პიროვნება, სახელმწიფო მოხელე, სახელმწიფო ორგანიზაცია...) ;*
- *ახლა **ფორმატი** უნდა შევარჩიოთ – წერილი/განცხადება/მიმართვა/ანდერძი...*
- *ყოველივე ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევთ დროს და წერენ;*
- *წერის დამთავრების შემდეგ სურვილისამებრ კითხულობენ საკუთარ ნაწერებს;*
- *შეგვიძლია მოსწავლეთა ნაშრომები (ვისაც სურვილი აქვს) კედელზე გამოვაკრათ.*

აქტივობა 4. მშობლიური ენის სამყაროში (10-12 წთ).

ვაკვირვებთ წინადადებებზე:

*„ზურამ დიდხანს **ირბინა** ასე“, – ირბინა მან (ზურამ);*

*„პატარა ბიჭმა დანა **ამოიღო,** გულმოდგინედ **გაწმინდა**“, – ამოიღო მან (ბიჭმა) ის (დანა), გაწმინდა (მან -ბიჭმა) ის (დანა);*

*„გოგონამ მამას წყალი **მოურბენინა**“, – მოურბენინა მან (გოგონამ) მას (მამას) ის (წყალი).*

ვარკვევთ**:**

– პირველ წინადადებაში ვინ ასრულებს ზმნით აღნიშნულ მოქმედებას (*ირბინა)*? რომელია აქ მოქმედი პირი? *(ზურა).*

– მეორე წინადადებაში ვინ ასრულებს ზმნებით: *„ამოიღო“, „გაწმინდა“* – აღნიშნულ მოქმედებას? რომელია აქ მოქმედი პირი? *(ბიჭმა).*

– მესამე წინადადებაში ვინ არის მოქმედი პირი? ვინ ასრულებს ზმნით *„მიურბენინა“* – აღნიშნულ მოქმედებას? *(გოგონამ).*

ეძლევა დასკვნა: **მოქმედ პირს *სუბიექტური* პირი ჰქვია.**

– ჩვენ მიერ დასახელებულ ზმნებში რომელია ***მოქმედი, სუბიექტური*** პირები? (*ზურამ, ბიჭმა, გოგონამ).*

– რამდენი სუბიექტური პირია თითოეულ ზმნაში? (**ზმნაში მხოლოდ ერთი სუბიექტური პირია).**

დააკვირდით:

*„მამა (**ის**) შვილს **(მას)** წერილს **(მას)** სწერს.“*

–რამდენპირიანია ეს ზმნა „სწერს“? *(ორპირიანი).*

– რომელია აქ მოქმედი – სუბიექტური – პირი? *(მამა).*

– რას წერს მამა? *(წერილს).* ვის სწერს წერილს? *(შვილს).*

ამ კითხვების მეშვეობით მიგვყავს დასკვნამდე, რომ ზმნაში, გარდა სუბიექტური პირისა, მოიპოვება *ობიექტური – სამოქმედო* – პირიც.

– რომლებია ***სამოქმედო – ობიექტური*** – პირები ჩვენ მიერ დასახელებულ ზმნაში *სწერს? (შვილს, წერილს).* რამდენი ***ობიექტური*** პირი აქვს ამ ზმნას? *(ორი).*

*დედა **(ის)** მამულს **(მას)** შვილს (**მას)** უზრდის.*

*შვილი (**ის)** მამულს (**მას**) ეზრდება.*

*შვილი **(ის)** იზრდება.*

ამ ზმნებიდან რომელია ერთპირიანი? *(იზრდება).* ორპირიანი? (*ეზრდება).* სამპირიანი? (*უზრდის).*

– რომელია სუბიექტური (*მოქმედი)* პირი პირველ ზმნაში? (*დედა*). მეორეში? (*შვილი).* მესამეში? (*შვილი).*

– რამდენი ობიექტური პირი აქვს სამპირიან ზმნას *უზრდის?* (ორი). ორპირიან ზმნას *ეზრდება? (ერთი*). რომელ ზმნას არ მოეპოვება ობიექტური პირი? *(იზრდება*).

ეძლევა დასკვნა: **სამპირიან ზმნაში ორი ობიექტური პირია, ორპირიანში – ერთი, ერთპირიან ზმნას კი მხოლოდ სუბიექტური პირი აქვს**.

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ). ლორდი ჩესტერფილდი, „წერილები ვაჟიშვილს“, მოიძიონ დამატებითი მასალა ამ ავტორის შესახებ, თუ სურვილი აქვთ, გაეცნონ მის სხვა წერილებსაც; წერილობით შეასრულონ სახელმძღვანელოში (გვ. ???) მოცემული დავალება ზმნის პირიანობის შესახებ.

შედეგები:

VII. 2. მოსწავლეს შეუძლია სხვათა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით.

VII. 3. მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევის შეცვლა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

VII. 4. მოსწავლეს შეუძლია საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

VII. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

VII. 8. მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს და შეაფასოს ტექსტის შესაბამისობა კონკრეტულ მიზანსა და აუდიტორიასთან.

VII. 9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

VII. 12. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

VII. 13. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ორგანიზაციის წესებისა და ენობრივი ნორმების დაცვა.

გაკვეთილის მასალა: **გი დე მოპასანი „მინდვრებში“ (თარგმნა ნ. ცაგარელმა), ზმნის პირიანობა, სინონიმური მნიშვნელობის ზმნები.**

მიზნები:

- მხატვრული ტექსტის კითხვა და გააზრება;
- წაკითხულის შეფასება და დასკვნების გამოტანა;
- ინფორმაციის მიღება და გაზიარება;
- კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- თხრობისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- კითხვის სტრატეგიების დაუფლება;
- წერის სტრატეგიების დაუფლება.

I გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5 წთ).

აქტივობა 2. კითხვისთვის მზადება – გამოწვევა (10 წთ). კლასის გამოწვევის მიზნით ვიყენებთ აქტივობას „**საკვანძო ლექსიკური ერთეულებით ამბის შედგენა“.** ტექსტიდან ვარჩევთ 4-5 საკვანძო სიტყვას, ფრაზას **(ქოხი, მეზობლები, სიმდიდრე, გაშვილება, უმადური).** ამ სიტყვებს ჩამოვწერთ დაფაზე, ვთხოვთ მოსწავლეებს ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინონ წერილობითი თხზულება

ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ ე. წ. **„საავტორო სკამი“** (საგულდაგულოდ მორთული სკამი, რომელსაც ვიყენებთ მაშინ, როცა მოსწავლე თავის ნაშრომს კითხულობს, ანუ როცა თვითონ არის თხზულების ავტორი).

სანამ ლიტერატურული ტექსტის კითხვას დავიწყებთ, მოკლედ ვაცნობთ მოსწავლეებს გი დე მოპასანის ბიოგრაფიას.

გი დე მოპასანი (სრული სახელი: ანრი რენე ალბერ გი დე მოპასანი, დაიბადა 5 აგვისტოს, 1850, მირომენილის ციხე-დარბაზი, ტურვილ-სიურ-არკის მახლობლად, ზღვისპირეთის სენა – გარდაიცვალა 6 ივლისი, 1893, პარიზი) – ფრანგი მწერალი, თანამედროვე მოთხრობის სტილის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი. მისი მოთხრობები გამოირჩევა სტილის ეკონომიურობითა და ლაკონიური ხერხებით, რომლითაც მოვლენათა ფაბულა კულმინაციას აღწევს.

მოპასანები ლორენთა ძველი გვარის შთამომავლები იყვნენ, რომლებიც ნორმანდიაში XVIII საუკუნის შუა წლებში დასახლდნენ.

ცამეტ წლამდე გი დედასთან ეტრეტაში, ვერჟის ვილაში, ცხოვრობდა ზღვის სანაპირზე სოფლად, სადაც ის ძალიან დაუახლოვდა ბუნებას და სპორტს; ის ხშირად ადგილობრივ მეთევზეებთან სათევზაოდ გადიოდა ზღვაში და გლეხებთან საუბრობდა.

თავდაპირველად ივტოს სემინარიაში შედის, თუმცა შეგნებულად ახერხებს თავის გაგდებას. ამ ადრეული რელიგიური განათლებიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში მოსდევს რელიგიისადმი ხაზგასმული სიძულვილი. შემდეგ მას რუენის ლიცეუმში აგზავნიან, სადაც თავს იჩენს, როგორც კარგი მოსწავლე და ინტერესს ამჟღავნებს პოეზიისა და თეატრისადმი.

პირველი მოთხრობის მოტანილი წარმატების შემდეგ ის მეთოდურად მუშაობს და წელიწადში ორ ან სამ კრებულს უშვებს. ის წარმატებით ახერხებს ტალანტისა და პრაქტიკული საქმოსანის უნარის შეხამებას, რასაც მისთვის გავლენა და მატერიალური შეძლება მოაქვს.

მას ბევრი უმოგზაურია ალჟირში, იტალიაში, ინგლისში, ბრეტანში, სიცილიასა და ოვერნში, და ყოველი მოგზაურობიდან ახალი კრებულით ბრუნდებოდა. ის თავისი კერძო იახტით „ბელ-ამი“ მოგზაურობდა, რომელსაც სახელი საკუთარი რომანიდან დაარქვა.

ცხოვრების ბოლო წლებში მას უყალიბდება სიმარტოვისადმი გაზვიადებული მიდრეკილება, სიკვდილისადმი მუდმივი შიში.1891 წელს სულიერ ავადმყოფად შერაცხეს და ორ წელიწადში, 1893 წლის 6 ივლისს, საკუთარი 43-ე წლისთავამდე ერთი თვით ადრე გარდაიცვალა.

დაკრძალულია მონპარნასის სასაფლაოზე, პარიზში.

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა (15-20 წთ). ტექსტის კითხვისას შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სტრატეგია: გთავაზობთ ერთ-ერთ მეთოდს: **ორიენტირებული (პაუზებით) კითხვა.**

მეთოდის აღწერა:

ტექსტს წინასწარ ვყოფთ რამდენიმე ნაწილად, ტექსტი უნდა გაწყდეს საკვანძო საკითხებთან, რათა მომდევნო სიუჟეტის შესახებ გამოთქვან მოსწავლეებმა საკუთარი ვარაუდები. შეგვიძლია გამოვიყენოთ „ვარაუდების სქემა“.

სათაურის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, რაზე შეიძლება იყოს ამ ტექსტში საუბარი (მისაღებია მოსწავლის ნებისმიერი პასუხი, რომელიც სათაურთან იქნება კავშირში).

ტექსტის წაკითხვა ხდება ნაწილ-ნაწილ, თითოეული ნაწილის წაკითხვის შემდეგ ვაკეთებთ პაუზას *(**საორიენტაციო პაუზები:** I პაუზა – „პატარა ცდილობდა... გამაღიზიანებელი ალერსი; II – „მე ვისურვებდი... თქვენი პატარა ბიჭი“; III – „სტუმრებმა ... ერთხელ სცადეს“; IV – „იმ თანხაზე... ოჯახისთვის“; V – ... გაისტუმრეს დიუბიერები; აქ ვწყვეტთ ტექსტს).* ვხსნით უცხო სიტყვებსა თუ გამოთქმებს, პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს, ამით კონტროლდება ტექსტის გაგების პროცესი, პარალელურად ივსება ვარაუდების სქემა, ჯერ პირველი გრაფა, ინიშნავენ იმ მოსაზრებებს, რომლებზეც დაყრდნობითაც აღნიშნული ვარაუდები გაუჩნდათ, მერე მეორე გრაფა ივსება და ა. შ.

ვარაუდების სქემა

	როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?	რატომ ფიქრობთ ასე?	სინამდვილეში რა მოხდა?
სათაურის წაკითხვის შემდეგ			
I მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
II მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
III მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			
IV მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ			

აქტივობა 4. (7-8 წთ). წაკითხულის გააზრება – წვდომა

ტექსტის ანალიზი ხდება I-II დონის კითხვების საშუალებით, იგულისხმება გაგება, ცოდნა, (კითხვები სახელმძღვანელოდან).

– ვინ და ვინ არიან ამ მოთხრობის პერსონაჟები?(ტუვაშების ოჯახი, ვალენების ოჯახი, ქალბატონი დიუბიერი და მისი მეუღლე).

– როგორ აღწერს მწერალი მათ ცხოვრებას?(ორი გლეხი თავდაუზოგავად შრომობდა ნაყოფიერ მიწაზე, რათა თავიანთი მრავალრიცხოვანი ოჯახების გამოკვება მოეხერხებინათ...).

– რით ჰგავს ეს ორი ოჯახი ერთმანეთს?(ღარიბები იყვნენ, „როგორც ქორწინება, აგრეთვე

ბავშვების დაბადებაც ამ ორ ოჯახში ერთდროულად მოხდა“...).

– რა მოულოდნელი გარდატეხა ხდება ამ ოჯახების ურთიერთობაში? (ვალენების ოჯახის გადაწყვეტილებამ ტუვაშების ოჯახი გაანაწყენა და საქციელს არ უწონებდნენ. „შესაძლოა, ნანობდნენ კიდეც, რომ თვითონ უარით გაისტუმრეს დიუბიერები“...).

– როდის ხდება ეს ცვლილება?(როცა ვალენების ოჯახმა ბავშვი გააშვილა).

– რატომ თქვეს ტუვაშებმა უარი დიუბიერების წინადადებაზე?(ეს დედისათვის საშინელი ქმედებაა, – ასე ფიქრობდნენ ისინი).

გაკვეთილი გრძელდება მაღალი დონის კითხვებით, რომლებიც ემსახურება მიღებული ცოდნის გამოყენებას:

– ორი ოჯახი გარეგნულად ერთმანეთს ძალიან წააგავს, მაგრამ შინაგანად კი ძალზე განსხვავებულები არიან. სად, მოთხრობის რომელ ნაწილში იგრძნობა ეს განსხვავება ყველაზე მკაფიოდ?(სიღარიბის მიუხედავად ტუვაშებმა უარი თქვეს შვილის გაშვილებაზე, ვალენები კი ორი ათას ფრანკად დათანხმდნენ ამას).

– „ვალენებმა უარის ნიშნად თავი გააქნიეს; თუმცა, როდესაც შეიტყეს, რომ თვეში ას ფრანკს მიიღებდნენ, დაფიქრდნენ, თვალებით ერთმანეთს რჩევა ჰკითხეს, იყოყმანეს“, – ვალენების რა თვისებაზე მიგვანიშნებს ამ სიტყვებით ავტორი? (სიხარბემ სძლიათ, სიღარიბის დასაძლევად გაიმეტეს საკუთარი შვილი ფულის სანაცვლოდ).

– როგორ ფიქრობთ, იწონებს თუ არა ავტორი მათ გადაწყვეტილებას? თუ ჩანს ავტორის დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ? დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით (*არ ჩანს, ავტორი მხოლოდ აღწერს ფაქტებს, შეფასებას მკითხველს ანდობს).*

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2 წთ): ა)მოიძიონ დამატებითი მასალა გი დე მოპასანის შესახებ, ბ) დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტი ბოლომდე.

II გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (10-12 წთ): – ა) დამატებითი ინფორმაცია გი დე მოპასანის შესახებ, ბ) შინაარსზე ორიენტირებული კითხვების მიხედვით ტექსტის შინაარსის ნაწილ-ნაწილ გადმოცემა.

აქტივობა 2. წაკითხულის გააზრება – წვდომა (7-10 წთ): ამისათვის ვიყენებთ I (გაგება) და II (გამოყენება – ტექსტის გააზრება) დონის კითხვებს:

– როგორია ხალხის დამოკიდებულება ვალენების ოჯახის მიმართ? *(აკრიტიკებენ და არ მოსწონთ მათი საქციელი).*

– რა გარემოცვაში იზრდება შარლო? რით ამაყობს იგი? *(ყველა დედამისის საქციელს ამართლებდა, შარლოც იმით ამაყობდა, რომ თავის მეგობარზე უკეთესი იყო, რადგანაც არ გაყიდეს).*

– როდის იცვლის იგი თავის აზრს ? *(როცა 21 წლის იყო და შინ დაბრუნებული თავისი მეზობელი – მდიდარი ჟანი – დაინახა).*

– რას უწოდებს იგი თავის თავს? *(უბედურ ღარიბს).*

– რას საყვედურობს მშობლებს? რატომ საყვედურობს? *(რომ გაგეშვილებინეთ, ახლა ასეთ სიღარიბეში აღარ ვიცხოვრებდითო. ის თავს უბედურად თვლის, ერჩია მშობლებს გაეშვილებინათ).*

– რამდენად სამართლიანად გეჩვენებათ შარლოს საყვედური? (*ამ კითხვაზე მოსწავლეები თავიანთ მოსაზრებებს არგუმენტებით ამყარებენ).*

– შარლოს რა თვისებები ჩანს ტექსტში?*(უმადურება, სიხარბე).*

– რა თემაზეა დაწერილი ეს მოთხრობა? (*მშობლებისა და შვილების დამოკიდებულებაზე).*

– რა არის მწერლის სათქმელი? *(მშობლის სიყვარულის, ოჯახურ სითბოს მატერიალური ფასეულობები ვერ შეცვლის, ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს; შვილი, რომელიც ამ სიყვარულზე წინ ყოფით ღირებულებებს აყენებს, უმადურია და ამასთან ერთად, უბედურიც).*

– თუ ჩანს ნაწარმოებში მწერლის პოზიცია? *(მწერლის პოზიცია გამოკვეთილი არ არის და*

ნაწარმოების მიზნის განსაზღვრა უფრო მეტად დამოკიდებულია მკითხველზე, მას ენიჭება არჩევანის სრული თავისუფლება).

მოსწავლეებს პასუხებისას ეძლევათ სრული თავისუფლება. მოქმედებს პრინციპი: **ყველას აზრი საინტერესოა.** ისინი თავიანთ პასუხებს ასაბუთებენ და ამყარებენ არგუმენტებით.

აქტივობა 3. ენობრივ მასალაზე დაკვირვება (7-8 წთ). ტექსტის წაკითხვის შემდეგ ვახდენთ კლასის დაკვირვებას ენობივ მასალაზე, ვსვამთ კითხვებს, რომელზედაც მოსწავლეები პასუხობენ:

– რომელ ქვეყნაში ხდება მოქმედება? რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? რა მინიშნებებია ამის შესახებ ტექსტში? *(საფრანგეთში, ფრანკი – ფულის ერთეული, მოქმედ პირთა სახელები და გვარები).*

– „კოვზით იღებდა წვნიანს, რომლის ნაწილიც თეფშში ესხმებოდა“, – თქვენი აზრით, რატომ იყრის თავს აქ ორი შ? ორი შ-ს თავმოყრას განაპირობებს ფუძის ბოლოკიდურ შ თანხმოვანზე ში თანდებულის დართვა. სხვა ასეთ მაგალითებსაც ხომ არ გაიხსენებთ? *(ერთი შ თანდებულისაა, მეორე კი – ფუძისეული.* ***ლავაშში, ბალიშში, ქარქაშში, ქიშმიშში****).*

პირში მონაცვლე ზმნებზე დაკვირვება: „წაბრძანდით და აქ აღარასდროს მო*ბრძანდეთ“,* – რა ზმნებს იყენებს ტუვაში სტუმრებთან საუბრისას? *(წაბრძანდით, მობრძანდეთ).* რა გრძნობას გამოხატავს იგი ამ ზმნებით? (*თავაზიანობას. თუმცა სტუმარი არასასურველია მისთვის, მასპინძელი ბოლომდე ცდილობს დაიცვას ეტიკეტი).* რა სინონიმები შეიძლება ჩავუნაცვლოთ მათ? *(წადით/წაეთერით; მოხვიდეთ/მოეთრეთ).* რა შეიცვლება ამით ტექსტში? *(მთქმელის დამოკიდებულება მოსაუბრისადმი*).

აქ ვაძლევთ პირში მონაცვლე ზმნების განმარტებას:

„ქართულში არის სინონიმური მნიშვნელობის ზმნები, რომლებიც ერთმანეთს პირში ენაცვლებიან: ერთი შეიძლება ჩვეულებრივი საუბრისას გამოვიყენოთ, მეორე კი – პატივისცემის, თავაზიანობის გამოსახატავად“.

აქვე ვაკვირვებთ სხვა ასეთ ზმნებზეც:

თქვი – *ბრძანე*

ხარ – *ბრძანდები*

მოდი – მობრძანდი

წადი – წაბრძანდი

ჭამე – მიირთვი

დაჯექი – დაბრძანდი

აქტივობა. 4. საშინაო დავალება. ***გმირის რუკა*** – დაახასიათონ ვალენებისა და ტუვაშების ოჯახები და შეადარონ ერთმანეთთან, რა საერთო და განმასხვავებელი თვისებები აქვთ მათ, შესაბამისი არგუმენტები მოიყვანონ ტექსტიდან.

III გაკვეთილი

აქტივობა 1. საშინაო დავალების პრეზენტაცია (5-6 წთ).

აქტივობა 2. ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოსაცემად გეგმის შედგენა (8-10 წთ). მოსწავლეები ერთხელ კიდევ ჩუმად კითხულობენ ტექსტს, ყოფენ მას ნაწილებად და ადგენენ გეგმას, რომლის ერთ-ერთი ვარიანტი იწერება დაფაზე. იაზრებენ გეგმის თითოეულ საკითხს და აკეთებენ ამის შესახებ მოკლე კომენტარს (გეგმა დაახლოებით ამგვარი შეიძლება იყოს):

1. კეთილი მეზობლები – ტუვაშები და ვალენები;
2. აგვისტოს ერთი დღე;
3. დიუბიერი სტუმრად ტუვაშებთან;
4. ტუვაშების გადაწყვეტილება;
5. დიუბიერი ვალენების ოჯახში;
6. შეთანხმება;

7. ტუვაშებისა და ვალენების ოჯახების უთანხმოება;
8. ტუვაშების ოჯახის გასაჭირი;
9. ჟანის დაბრუნება;
10. შარლოს უმადურება.

აქტივობა 3. მინიდისკუსია (12-15 წთ). იმართება დისკუსია მოსწავლეებს შორის: *დაუშვეს თუ არა შეცდომა შარლოს მშობლებმა, როდესაც მის გაშვილებაზე უარი თქვეს? ამართლებთ თუ არა მის საქციელს?* ***(ჰო, არა****. დაასაბუთეთ თქვენი აზრი).*

მეთოდის აღწერა: მოსწავლეები უკვე იცნობენ დისკუსიის წესებს (იხ. გაკვეთილები „მოგზაურობა აფრიკაში“). სადისკუსიოდ შეიძლება მერხებს შევუცვალოთ განლაგება, დისკუსიის მონაწილენი იმგვარად უნდა ისხდნენ, რომ ერთმანეთს ხედავდნენ და ძალიან დაშორებულნიც არ იყვნენ. მერხების ამგვარი განლაგება ყველაზე პასიურ მოსწავლესაც კი დისკუსიაში ჩართვას უადვილებს.

დაფაზე იწერება სადისკუსიო თემა: ***გაშვილება – სიკეთე თუ ბოროტება?*** *კამათი ზედმეტად არ უნდა გასცდეს პრობლემას. დაუშვებელია მხოლოდ ერთი და იმავე მოსწავლეების აქტიურობა, კამათში ყველაზე პასიური მონაწილეც უნდა ჩავრთოთ.*

შეიძლება გამოვიყენოთ „მიკროფონი“, რომელიც მხოლოდ იმ მოსწავლეს გადაეცემა, რომელსაც მოცემულ მომენტში საუბრის უფლება აქვს (მიკროფონად შეგვიძლია პირობითად მივიჩნიოთ ნებისმიერი ნივთი – კალამი, მობილური ტელეფონი..., რომელსაც მოსწავლეები ერთმანეთს გადასცემენ).

დისკუსიისას იკვეთება ორი მხარე, ერთი – ვინც ამართლებს შარლოს მშობლების საქციელს და მეორე – ვინც შეცდომად მიიჩნევს მშობლების გადაწყვეტილებას და იწონებს შარლოს საქციელს. მოსწავლეები თავიანთი პასუხებით ახერხებენ პერსონაჟების მოქმედების მიზეზისა და მიზნის ახსნას და ასაბუთებენ საკუთარ აზრს.

აქტივობა 4. მშობლიური ენის სამყაროში (10-15 წთ). მოსწავლეებს ვაკვირვებთ წინადადებებზე:
ა) „მამა (ის) ***შვილ-ს (მას) წერილ-ს (მას)*** *სწერს“.*

ვარკვევთ:

– რომელ დროშია აქ ზმნა ***სწერს****? რა კითხვა დაესმის მას? რამდენპირიანია?(აწმყო,რას შვრება? სამპირიანია).*

– რომელია აქ სუბიექტური პირი? ობიექტური?*(სუბიექტურია* ***მამა****, ობიექტური –* ***შვილს, წერილს****).*

– რამდენი ობიექტური პირი აქვს ამ ზმნას?*(ორი).*

– რომელ ბრუნვაში დგას ამ ზმნის ობიექტური პირები?*(მიცემითში).*

შევადაროთ:

მამამ (მან) ***შვილ-ს (მას) წერილ-ი (ის)*** *მისწერა.*

– რომელ დროშია აქ ზმნა? რა კითხვა დაესმის მას?*(წარსულში, რა ქნა?).*

– რამდენი ობექტური პირი შეეწყობა ამ ზმნას? *(ორი).*

– რომელმა ობიექტმა შეიცვალა ბრუნვა?***(წერილი)*** *რომელ ბრუნვაში დადგა ის?(სახელობითში).*

–რომელი ობიექტი დარჩა მიცემით ბრუნვაში?***(შვილს)****.*

– ამ ობიექტებიდან რომელია ბრუნვაცვალებადი? (*წერილი*) ბრუნვაუცვლელი*?(შვილს).*

ვაძლევთ სათანადო განმარტებას პირდაპირი და ირიბი ობიექტების შესახებ:

ობიექტი შეიძლება იყოს *ბრუნვაცვალებადი – პირდაპირი* და *ბრუნვაუცვლელი – ირიბი.*

თუ „**რა ქნა**“? კითხვაზე პასუხისას ზმნის ობიექტი **სახელობით** ბრუნვაში დადგა, იგი **პირდა-პირია**; ხოლო თუ იგი ბრუნვას არ შეიცვლის და **მიცემით** ბრუნვაში დარჩა – **ირიბია.**

ჩვენ მიერ დასახელებულ ზმნაში –„მისწერა“ – რომელია პირდაპირი ობიექტი? (*წერილი*). ირიბი? *(შვილს*).

ასევე ვაანალიზებთ:

„ქორი (ის) ***ხორცს (მას)*** *ნისკარტით გლეჯს (რას შვრება?)“– „ქორმა* ***ხორცი (ის)*** *ნისკარტით დაგლიჯა“ (რა ქნა?).*

*„**მამულს (მას)** შვილი ეზრდება“(რას შვრება?) – **მამულს (მას)** შვილი გაეზარდა (რა ქნა?).*

– რომელი ზმნები გვხვდება ამ წინადადებებში?*(გლეჯს, დაგლიჯა, ეზრდება, გაეზარდა).*

– რამდენპირიანია ეს ზმნები?*(ორპირიანი).*

– რომელ ზმნას შეეწყობა პირდაპირი ობიექტი? *(გლეჯს)* ირიბი? *(ეზრდება)* როგორ მიხვდით?(*დავუსვით კითხვა **რა ქნა?**პასუხისას ზმნა ჩადგა სახელობით ბრუნვაში, ე.ი. პირდაპირი ობიექტია. **რა ქნა?** კითხვაზე პასუხისას ობიექტი დარჩა ისევ მიცემით ბრუნვაში, ე.ი. ირიბია).*

კლასში წერილობით სრულდება დავალება:

მოცემული წინადადებებიდან ამოწერეთ ზმნები, შეუწყვეთ პირები და გაარკვიეთ ობიექტურ პირთაგან რომელია პირდაპირი და რომელი – ირიბი.

1. აცრემლებული მოხუცები შვილს მიაჩერდნენ. 2. მარტო დარჩენილი შარლო პატრონობდა დედას და ორ დას. 3. ტუვაშები საკუთარი ზღურბლიდან მდუმარედ, მრისხანე სახით ადევნებდნენ თვალს ამ სანახაობას. 4. აკანკალებული ქალბატონი დიუბერი მშობლებს ბავშვის ბედზე ესაუბრებოდა. 5. ვალენები პურის ნაჭრებს ძუნწად უსვამდნენ კარაქს მაგიდის შუაში მდგარი ლამბაქიდან. 6. ქალბატონი მაშინვე დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას. 7. მოხუცი ქალი თავის წინსაფარს რეცხავდა. 8. დედა კოვზით იღებდა ქოთნიდან წვნიანს. 9. თქვენნაირი მშობლები თავიანთ შვილებს აუბედურებენ. 10. შარლომ ბედის საძებნელად თავისი ქოხი დატოვა და გზას გაუდგა.

პასუხები კოლექტიურად გაანალიზდება კლასში.

აქტივობა 5. საშინაო დავალება (2-3 წთ). მისწერონ წერილი ამ მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟს. აუცილებელი პირობა – დაიცვან წერილისათვის აუცილებელი ატრიბუტები.

შედეგები:

VII. 2. მოსწავლეს შეუძლია სხვათა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანის გათვალისწინებით.

VII. 3. მოსწავლეს შეუძლია სამეტყველო ქცევის შეცვლა საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

VII. 4. მოსწავლეს შეუძლია საკლასო დისკუსიებში მონაწილეობის მიღება.

VII. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.

VII. 9. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის გაანალიზება სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

VII. 12. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.

VII. 13. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ორგანიზაციის წესებისა და ენობრივი ნორმების დაცვა.

მასწავლებლის გამოცდილებიდან

ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „კორიდას“ სწავლების მეთოდოლოგიური ასპექტები

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე, ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „კორიდას“ სწავლებისას, ჩვენ მიერ დაგეგმილი სასწავლო აქტივობების საფუძველზე, სასწავლო მიზანი მიიღწევა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: ზეპირმეტყველების, მოსმენის, წერისა და კითხვის. მოზარდები მიიღებენ სათანადო ცოდნას, განივითარებენ და დახვეწენ სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ სხვადასხვა უნარს (კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, მსჯელობის, სინთეზის, დისკუსიის, და სხვ.) და გამოიმუშავებენ საკუთარ დამოკიდებულებას აღძრული პრობლემატიკის მიმართ. აღნიშნული მოთხრობის სწავლების ჩვენეულ ხედვაში, გარდა ტრადიციულისა, ასახვა პოვა თანამედროვე მეთოდებმაც. იგი კომპლექსური ხასიათისაა და ითვალისწინებს ძველი და ახალი მიდგომების შეჯერება-სინთეზს.

ლიტერატურის სასკოლო პროგრამებში უხვადაა წარმოდგენილი მოთხრობის ჟანრი. შესაბამისად, მოსწავლეები მას შედარებით კარგად იცნობენ. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სწავლების პროცესში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ნაწარმოების ჟანრობრივი თავისებურებების გათვალისწინებას. მოსწავლე აუცილებლად უნდა ერკვეოდეს თითოეული ჟანრის სახელწოდების კონკრეტულ შინაარსში და ანალიზის ეტაპზე შეეძლოს ჟანრობრივ თავისებურებათა წარმოჩენა, ძირითადი თემატიკის გამოყოფა და სხვ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მიმართულებით წარიმართოს მოთხრობა „კორიდაზე“ მუშაობის პროცესი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მასწავლებლის კომენტარს შესაძლებელია შემდეგნაირი სახე ჰქონდეს: ნოდარ დუმბაძის „კორიდა“ მოთხრობის ჟანრს განეკუთვნება. სინამდვილის ფართოდ და მრავალმხრივად წარმოსახვის თვალსაზრისით, მოთხრობა რომანის შემდეგ ყველაზე უფრო ეფექტური თხრობითი ჟანრია. მას საშუალო ფორმის ეპიკურ (თხრობით) ნაწარმოებს უწოდებენ. მოთხრობაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე, ყველა სფერო სახოვნდება. მაშასადამე, ეს ჟანრიც ისეთივე თემატური მრავალფეროვნებით ხასიათდება, როგორც რომანი, მაგრამ მოთხრობა წარმოსახვის სისრულით მკვეთრად განსხვავდება რომანისაგან. მოთხრობაში ერთი ან ორი მოვლენა პოულობს სრულ ასახვას, სხვა მოვლენების მხოლოდ რომელიმე ერთი მხარე ან საერთო კონტურები იხატება.

„ნებისმიერი მოთხრობა – ესაა სტრუქტურა, რომელშიც მოვლენები მოექცევიან და რომელიც აჯგუფებს ამ მოვლენებს ერთმანეთთან, ზოგიერთებს კი გამორიცხავს, როგორც არასაკმარისად არსებით მოვლენებს“ (მ. ხარბედია, 2008: 198).

ყველა სახის ლიტერატურული თხზულების შემეცნებითი და ესთეტიკურ-მხატვრული ღირსების ერთ-ერთი განმაპირობებელი კომპონენტია კომპოზიცია, რაც მხატვრული ნაწარმოების წყობას, აგებულებას, ნაწილების ურთიერთშეხამებას, თანაზომიერებას, სისტემას წარმოადგენს. კომპოზიციის ძირითადი არსი თავისებურ გამოხატულებას პოულობს ლიტერატურულ ნაწარმოებთა ჟანრებში თითოეული მათგანის შესაბამისად (ნ.ჭოლოკავა, 1986).

მოთხრობის ჟანრის კომპოზიცია (ლათ. compositio – შედგენა შეთხზვა) მოიცავს მხატვრული ნაწარმოების თემის, იდეის, ფაბულის, სიუჟეტის, ჩანართი ეპიზოდების, სიტყვიერი გამოსახვის ყველა მხატვრული საშუალების მიზანმიმართულ, მოტივირებულ, ურთიერთშეფარდებულ განლაგებას. კომპოზიციაში ვლინდება ცხოვრების მოვლენათა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩვენების კანონზომიერება მხატვრულ ნაწარმოებში (ა.ჭილაია, რ.ჭილაია, 1984).

მოთხრობას შუალედური ადგილი უჭირავს ნოველასა და რომანს შორის. „ნოველისაგან განსხვავებით მასში უფრო ძლიერია ლირიკული საწყისი. მხატვრულ პრინციპად მოვლენებისა და ფაქტების შემთხვევითობა, ყოველი ეპიზოდის მკვეთრი ემოციურობა, იერსახეთა ფსიქოლოგიზმი არის ქცეული. რომანისაგან კი მას ის განასხვავებს, რომ მოთხრობაში ფაბულა უფრო მდოვრედ ვითარდება. მოთხრობის ჟანრი სათავეს იღებს ლიტერატურის გაჩენის შემდეგ, რაც თავისებურად ვლინდება ავტორისეული მომენტის, როგორც მოთხრობის საკომპოზიციო საშუალების გამოკვეთაში: ავტორისეული თხრობა ხასიათდება დიდი თავისუფლებით (აღწერითი, სუბიექტური, შეფასებითი საწყისები), ან პირიქით, ავტორის გარეგნული განდგომით, გაუჩინარებით მხატვრული გამოსახვის სისრულის ფონზე“ (ა. ჭილაია, რ. ჭილაია,1984: 212).

მოთხრობაში მწერლის ყურადღება გამახვილებულია ერთ ან ორ მოქმედ პირზე, სხვა მოქმე-

დი პირები მეორეხარისხოვან, ე.წ. დამხმარე პერსონაჟების როლს თამაშობენ. აღნიშნულის გამო, მოთხრობის სიუჟეტი ერთხაზოვანია, არაა დატოტვილი. მასში რომანთან შედარებით კონდენსირებულად არის ნაჩვენები გმირთა სულის მოძრაობაც. მოთხრობა თემატიკური მრავალფეროვნებით ხასიათდება: სოციალური, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, ისტორიული, ფანტასტიკური, საყოფაცხოვრებო, სათავგადასავლო, დიდაქტიკური და სხვ.. იგი ჟანრულად გამოიკვეთა XIX საუკუნეში, გავრცელდა რუსულ ლიტერატურაში და ფართო ასახვა პოვა ქართულ მწერლობაშიც.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოთხრობაში ერთმანეთის პირისპირ ორი ქვეყანა საქართველო და ესპანეთი წარმოგვიდგება, თავიანთი განსხვავებული ტრადიციებით. ერთი მხრივ, ესპანეთი, როგორც „კორიდის“ და საქართველო – ადამიანის მარჩენალი, მეგობარი, მისი ჭირისა და ლხინის თანამოზიარე ხარის სამშობლო. საწყის ეტაპზე, მიგვაჩნია მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ ხარის როლი, სახე ქართულ სინამდვილეში. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესავალი მეცადინეობის სწორად დაგეგმვას. „შესავალმა მეცადინეობამ ნიადაგი უნდა მოამზადოს იმისათვის, რომ ნაწარმოები პირველი წაკითხვისთანავე, ტექსტის გაანალიზებამდეც ძირითადად გასაგები იყოს მოსწავლეებისათვის“ (გრ.ბარამიძე, 1965: 44). როგორც ვიცით, ამ ეტაპზე მთავარია მოსწავლეთა ინტერესის აღძვრა და საჭირო განწყობილებების შექმნა, ე.წ გამოწვევა ახალი მასალის შესასწავლად.

აღნიშნულ თემაზე მუშაობის ეფექტური მეთოდი იქნება კინოფილმის ჩვენება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სათანადო განწყობის შექმნასა და ინტერესის გაღვივებას. გოდერძი ჩოხელის სცენარის მიხედვით გადაღებულ „ლუკას სახარებაში“ ნაჩვენები კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც სკოლის დესპოტურ რეჟიმში ნათლად აისახა, მართალია, ერთგვარ დამთრგუნველ ზემოქმედებას მოახდენს მოსწავლეებზე, თუმცა, ოპტიმისტური ფინალი ფილმისა აღძრულ უარყოფით განცდებსა და შთაბეჭდილებებს სათანადო კალაპოტში ჩააყენებს. ფილმი შესანიშნავ საშუალებას იძლევა ხარის სახის ჩვენებისა ქართულ ყოფა-ცხოვრებაში, ტრადიციაში. იგი საუკეთესო ნიმუშია ადამიანისა და ხარის მეგობრობისა, ურთიერთთანაგრძნობისა, სიყვარულისა და ერთგულებისა. ფილმის ჩვენება –განხილვას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია 2 საათი დავუთმოთ. მოსწავლეებს მომდევნო გაკვეთილისათვის დაევალებათ, გამოიტანონ სათანადო დასკვნა, თუ როგორ წარმოჩნდება ხარი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ქართული ხალხური ლექსების „აღზევანს წაველ“, „ორშაბათობით აშენდა ციხე ქალაქი კლდეზედა“, „ხარო, ხარი ვინ დაგარქვა?“ და სხვათა მაგალითზე. აღნიშნული ლექსების ატვირთვა შესაძლებელია კომპიუტერის საშუალებით, რაც უფრო მოსახერხებელია დღევანდელი კომპიუტერიზაციის პირობებში. შემდეგ გაკვეთილზე მოსწავლეთა მიერ აღნიშნული დავალების პრეზენტაციას თან მასწავლებლის მინილექცია მოჰყვება, სადაც შეჯამებული იქნება მოსწავლეთა მიერ უკვე შეძენილი ცოდნა და ასახავს ხარისადმი დამოკიდებულებას ზოგადად ქართულ კულტურაში:

ხარს გამორჩეული ადგილი ეჭირა ქართველი ხალხის ცხოვრებაში და შესაბამისად, მისადმი პატივისცემა მცირე მნიშვნელობისა არ არის. ამას ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან ერთად ცხადყოფს ჩვენი ქვეყნის არქეოლოგიური მონაცემები, ხელოვნების ძეგლები, ძველისძველი ადათ-წესები და გადმოცემები. მოსწავლეებს გავახსენებთ ეპიზოდს ნანახი ფილმიდან, სადაც ბებო ლუკას ძილის წინ უკითხავს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულ მეტად საინტერესო ლექსს: „ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდეზედა“ (ვ. კოტეტიშვილი,1961: 150) და შესაძლებელია სასკოლო ლექცია სწორედ ამ კონკრეტული ეპიზოდის გახსენების საფუძველზე წარვმართოთ. ეს ლექსი ხომ სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ხარი ადამიანს მარჩენლად, მეგობრად მოევლინა და გახდა მისი ბედის თანამოზიარე. იგი მოგვითხრობს, რომ ღვთის წინაშე ყველამ უარი თქვა და მხოლოდ ხარმა იდვა თავს „ადამიანის დარჩენა“, რისთვისაც ანგელოზებმა ხარს თვალები დაუკოცნეს და „ჩამოსხმული სანთელი დააკრეს ორთავ რქაზედა“ (დ.ჯანელიძე, 1948: 69). ამ სტრიქონებს ქართულ ეთნოგრაფიაში მყარი საფუძველი მოეპოვება. მთაში დღესაც სწამთ ხარის მაგიური ძალისა. აქედანაა ტრადიცია გაზაფხულზე პირველი ხნულის გავლების დროს რქებზე სანთლების დანთებისა. გარდა ამისა, გადმოცემის მიხედვით „ჯავახეთში ახალწელიწადს მეკვლესთან ერთად სახლში შედიოდა ხარი რქებზე დამაგრებული ანთებული სანთლებით“ (თ. ოქროშიძე, 1969: 138).

ამის შემდეგ პედაგოგი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სწორედ ამ ლექსს ეხმიანება თავისი არსით ერთ-ერთი ქართული თქმულება, სადაც მოთხრობილია, რომ ღმერთმა ადამიანის გაჩენის დღიდან დაიწყო იმაზე ფიქრი თუ რომელი პირუტყვი გამოადგებოდა ადამიანს. ერთმანეთს შეაჯიბრა ირემი და ხარი, ვინც უფრო მალე გადაირბენს ცას, იმას დავასაჩუქრებო. ირემი სწრაფად

გაიქცა, უნდოდა ხარისათვის ეჯობნა, მაგრამ დიდი სირბილისაგან გაიბერა და მოკვდა, დარჩა მხოლოდ მისი ნაკვალევი ცაზე, რომელსაც ირმის ნახტომი ჰქვია. ხარი კი დინჯად წავიდა, ცოხნით. გვიან მიაღწია, მაგრამ მაინც მივიდა. ხარის ნაკვალევიც დააჩნდა ცას, რომელსაც ხარის ნავალი ეწოდება. ამის შემდეგ აკურთხა ღმერთმა ხარი, დაულოცა ქედი და მას აქეთ ხარს აწევს ადამიანის შენახვის ტვირთი (თ.ოქროშიძე, 1969). ამ თქმულებისა და ზემოთ აღნიშნული ლექსის მიხედვით ხარი ღვთის ნაკურთხ ცხოველად არის გამოყვანილი, იგი უფლისგან ქედდალოცვილია. იგივე ტრადიცია მეორდება ხალხურ ლექსში:

„ხარო, ხარი ვინ დაგარქვა, ხარო სახე მშვენიერო.
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო, ქედნაკურთხო, ღონიერო“.
(ა. არაბული, 2007: 356)

უძველესი დროიდან ხარი წმინდა ცხოველად მოიაზრებოდა. ძველ ხალხთა მითოლოგიაში იგი მეფეთა და ღმერთთა თანასწორია. ბერძნული თქმულების მიხედვით, კოლხეთის მეფე აიეტს ჰყავდა ხარები, რომელთაც თავი და ფეხები სპილენძისა ჰქონდათ და პირიდან საშინელი ალი ამოსდიოდათ. კოლხების უძველეს ფულზე, რაც ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან გავრცელებულა, ხარის თავი და ხარკაციც არის გამოხატული (დ. ჯანელიძე,1948). მოგვიანებით, უკვე ქრისტიანულ ხანაში, ხარის თავის გამოსახულებას ვხვდებით საქართველოს უძველესი ეკლესიების ბარელიეფებზე. კერძოდ, V საუკუნის ტაძარში – ბოლნისის სიონსა და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთის გარე კედელზედაც ხარის თავია გამოკვეთილი. ხარის თავი ქრისტიანულ სახისმეტყველებაში ლუკა მახარებლის სიმბოლოა.

ქართული ფოლკლორი იცნობს ხარს, რომელიც გზას უკვალავს ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებულებს, მათ მხსნელად, დამხმარედ ევლინება. როცა ლეკებმა დაიტაცეს საქართველო და 7000 ტყვე წაასხეს, თან ლომისის ჯვარიც წაუღიათ. იმ თათრებში აღარც ბავშვი ჩნდებოდა და აღარც მოსავალი აღარ მოსდიოდათ. ბოლოს შეწუხდა ხალხი და მივიდა მოლასთან. მოლამ უთხრა: „ეს ხალხი და ის ჯორი (ჯვარი) თუ არ დააბრუნეთო, სულ დასწყდებითო“. ადგნენ და რომელიც შემძლე ხარი ჰყავდათ, დააკრეს შუბლზე ჯვარი, მოიხმეს ქართველები და უთხრეს თავისუფლები ხართო. ის ხარი წინ უნდა გამოსძღოლოდათ. ის კი ტრიალებდა, რადგან თურმე ერთი კოჭლი ქალი კიდევ აკლდათ. ისიც რომ გამოაყოლეს, გამოუძღვა ხარი და „სადაც დაწვებოდის ყველგან ნიში ააშენეს, ფასანაურის აქეთაცაა ნიში“. წვერზე რო მოვიდა იქ განისვენა სული, გაისკდა“ (ზ. კიკნაძე,შემიოტიცსჯოურნალს Bლოგ).

მნიშვნელოვანია მოსწავლეებს გავაგებინოთ, როგორ წარმოჩნდება ხარი ქართულ ანდაზებში: იგი მშრომელ, ძლიერ, ერთგულ, მართალ არსებად გვევლინება, რასაც მოწმობს შემდეგი მაგალითებიც: „ხარი ვარ, ხართან შემაბი. ხარულით გამაწევინე, შუაში ტოლი ჩამიბი, სამართლით გაგაწევინე“; „ხარი ხნავს ფური იწველის, ღორმა რა იცის თხრის მეტი?“ ; „ხარს უთქვამს ხარი რას მიზამს, თუ მეხრე შემხვდა ღვთიანიო“ (ჯ. სონღუაშვილი, 1991: 85); „ხარს უღელი მოუშვეს და ეგონა რომ მოსძვრაო“ (ფ. ჩხენკელი, 2009: 146).

ხარი რომ ადამიანის ლხინისა და ჭირის თანამოზიარე იყო, კარგად ჩანს ქართულ საზღაპრო ეპოსში. „ხარმა წაიყვანა ვაჟი, ერთს ტრიალს მინდორზე, – ვკითხულობთ თ. რაზიკაშვილის მიერ ფშავში ჩაწერილ ზღაპარში, – იქ ერთი ალვის ხე იდგა, რომ იმისი წვერი ცასა ჰხევდა, შესვა ზედ, მისცა ორი სალამური: ერთი საჭირო, ერთი სალხინო... გაგიჭირდეს, დაუკარ საჭირო სალამური და მაშინვე აქ დავიბადები, გილხინდეს, დაუკარ სალხინო სალამური, საჭმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაცო“ (ა. არაბული, 2007: 76) ეს არის სახე რეალური ხარისა, რომელიც ადამიანთან ერთად ნამდვილად იყო ცხოვრების საჭირო და სალხინო საქმეების თანამოზიარე და მაორგანიზებელი (თ.ოქროშიძე, 1969). იგივე მოტივია ზღაპრის შემოქმედებითად განვითარებულ კახურ ვარიანტშიც, სადაც „წიქარასგან“ განსხვავებით, ორი ხარი წიქარა და ღვინია მოქმედებს.

ხარი, როგორც ზღაპრის პერსონაჟი და ზოგადად ერთგული არსება, ტრფიალების საგნად გაიხადეს ქართველმა პოეტებმაც. მას ხშირად შევხვდებით შოთა ნიშნიანიძის ლექსებში. იგი არაერთხელ იყენებს სახეებს ზღაპრული ეპოსიდან. სწორედ ასეთი სახეა ხარი წიქარა, რომელიც მამულ-დედულის დვრიტად ქცეული, ზღაპრიდან მისთვის გამოიპარა, რომ სამშობლოს უერთგულოს და ემსახუროს (შ. ნიშნიანიძე, 1989).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოთხრობის შესწავლამდე მოსწავლეებს გავაცნოთ შოთა ნიშ-

ნიანიძის ლექსი „ხარი“, რომლიდანაც მოხმობილია სტროფი ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში. ეს საუკეთესო წინაპირობა იქნება მოთხრობის არსის უკეთ წვდომისა და გააზრებისათვის. პედაგოგმა ლექსის ანალიზისას სათანადო ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, თუ როგორ აისახა მასში ქართული ფოლკლორული მოტივები. ჩვენი შენიშვნით, პოეტი სტრიქონებში „ჩემო ერთგულო წიქარა, ჩემო ერთგულო ღვინია, უხსოვარ დროდან თქვენს პატრონს მიქვითინ-მიღიღინია“ ქართული ხალხური ზღაპრის „წიქარას“ შემოქმედებითად განვითარებულ ვარიანტს ეფუძნება. აქვე ვხვდებით სტრიქონებს „აღზევანს წაველ მარილზე, უფსკრულმა დამიტანაო“ (ა. არაბული, 2007: 379), რომელიც ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ლექსის ალუზიას წარმოადგენს. შემდეგ სტრიქონებში „საწყალობელად ბღაოდი როგორც მოხუცი მამაო“ კიდევ ერთხელ ეხება პოეტი ხალხურ მოტივს „ეზოში რომ ხარი ბღავის, ნეტავ დედავ რაო? შვილო, მამაშენი არის ვაი შენ დედასაო“.

არცაა გასაკვირი თუ რატომ უძღვნა პოეტმა ამ გასაოცარ ცხოველს ასეთი ლექსები. ხარი ხომ ნამდვილი კერპი იყო ქართველი კაცისა. მამულის დვრიტად ქცეულმა არაერთგზის გადაარჩინა საქართველო – „გუთნის ტარი და ხმლის ტარი საჭეა ქართლის ცხოვრების“ (შ. ნიშნიანიძე, 1989: 281). მკვლევართა შენიშვნით, მწერალი ხარის სახეში თავის თავს მოიაზრებს: „მე ვარ მისანი ხარი წიქარა“. შოთა ნიშნიანიძის წარმოდგენით, პოეტთა მისია – ერთგული ხარის სამსახურსა ჰგავს. იგივე აზრია გატარებული ჩვენს ხელთ არსებულ ლექსშიც:

„ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა ჯანი და მადა ხარისა,
სიტყვა ხარივით გამწევი, მამულის გასახარისად.
ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით მომთმენი
ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც ვიყო ხარისოდენი“.
(შ. ნიშნიანიძე, 1989: 281)

ხარის პრობლემამ, რომელიც დიდი ხანია დასმულია როგორც ქართულ ხალხურ, ისე კლასიკურ პოეზიაში, თავისებური ასახვა პოვა შოთა ნიშნიანიძესთან. „აღნიშნული ლექსი ტირილია არა მარტო ხარისა, არამედ მის მიღმა ამოფარებული ჩვენი სისხლიანი წარსულისა, დაბოლოს, ადამიანის დაუნდობელი ბუნებისა, როცა იგი ნაჯაფარ ხარს მადლობის მაგიერ წამოაქცევდა და დაკლავდა ხოლმე“ (ი. ვართაგავა, 1965: 3). ქართველ პოეტთა და შემოქმედთა მხრიდან საკუთარი თავის ხართან გაიგივება, უცხო არ არის. ჯერ კიდევ მანამდე წერდა ვაჟა-ფშაველა:

„ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩვერ ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ“
(ვაჟა-ფშაველა http://www.lib.ge/ody_text.php?1532).

პატრიოტულ მოტივზე შექმნილი „ხარი“, შოთა ნიშნიანიძისავე თქმით, ტირილით დაწერილი ლექსია („დავჯექ და ჩემს მარჩენალზე ტირილით ვწერე ლექსები“). ადამიანის წინაშე ვალმოხდილი, ნაჯაფარი, მეგობარი, მარჩენალი, პატრონის იმედის მიმცემი, მომთმენი, მორჩილი ცხოველი პოეტის უდიდესი ყურადღების ობიექტადაა ქცეული. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია მისი ორმაგი სამსახური კაცისადმი. ნაჯაფარი და ტანდაკორძილი არც სიკვდილის შემდეგ წყვეტს თავის ფუნქციას – „დაგკლავდით დიდ ზამთრობისას მაძღრად გვყოლოდა ბადიში“; ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს ადამიანის იმ დაუნდობელი ბუნების გამო, რომელიც ასეთ ერთგულ ცხოველს ბოლოს მაინც დასაკლავად იმეტებდა: *„ძეობა იყო – გლეხკაცი ისევ შენ გდებდა იმედებს, ღრეობა იყო ვაიმე ისევ შენ გამოგიმეტეთ. ქორწილი იყო... ვაიმე, მტკიოდა გული საღადრე, წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი გამოგაღადრეთ“* (შ. ნიშნიანიძე, 1989: 281).

ლექსის ანალიზისას, ზემოთ მოყვანილ ასპექტებზე დაყრდნობით წარმართავს რა პედაგოგი სასწავლო პროცესს, საინტერესო იქნება მოსწავლეებისათვის ერთი საყურადღებო მოგონების გაცნობა, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ლექსში გახმიანებულ აზრთან და ასევე იდენტურია მოთხრობა „კორიდას“ ერთი ეპიზოდისა. პოეტის მეუღლე თამარ ჩიჯავაზე შოთაზე იგონებს: „ბაზარში თუ გამყვებოდა, რაც იშვიათად ხდებოდა, ხორცის რიგს ახლოს არ გაეკარებოდა.

ერთხელ ასე მოშორებით მელოდებოდა ხორცის საყიდლად წასულს. უცბად ომახიანი ხმა შემომესმა *„აბა, მოვიდა, მოვიდაა!“* ნეტავ ასეთი ვინ მოვიდა-მეთქი, უკან მივიხედე. მივიხედე და

გავშეშდი: ჯანსაღ, მზემოკიდებულ, ბრგე ვაჟკაცს მხარზე ნიკორას თავი გაედო, რქებში ხელები ჩაევლო და თავდაღუნული ბუღასავით მოარღვევდა ხალხს. ნიკორას ღიად დარჩენილი თვალები ჯერ არ ამოშრობოდა, უპეებს ქვეშ თეთრი ბალანიც თითქოს ცრემლით ჰქონდა მოსველებული.

შოთასკენ გავიხედე, თავზარი დამეცა, ზუსტად ნიკორასავით მოცრემლიანებოდა საცრისხელა თვალები. პირველად მაშინ შევნიშნე შოთას ესოდენ დიდი მსგავსება ხართან. ცარელა ხელით მოვბრუნდი უკან, მდუმარედ ავუარე გვერდი შოთას და გასასვლელისკენ გავემართე. მივდიოდი და განუწყვეტლივ ვიმეორებდი გუნებაში: *„წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი გამოგაღადრეთ... წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი გამოგაღადრეთ... და ყელი გამოგაღადრეთ.“*

ყველაზე საშინელი ის იყო, რომ, არ ვიცი რატომ და ხან შოთას ვგულისხმობდი და ხან ნიკორას. სახლამდე თითქმის უბრად ვიარეთ. არავინ განგვისჯია, არც ნიკორას პატრონი და არც მისი ყელის გამომღადვრელი“ (თ. ჩიჯავაძე, 2007:119).

აღნიშნული ლექსი გვაძლევს საშუალებას მოსწავლეებს დავავალოთ ტექსტში შედარება-ეპითეტების დაძებნა, რისი ორგანიზებაც შესაძლებელია წყვილებში. ეს თავის მხრივ დაეხმარებათ გამოკვეთონ ლექსის მიხედვით ხარის სახე ქართულ კულტურაში, ვინაიდან აქ გამოყენებული ტროპის ეს სახეები ძირითადად ხარისადმია მიმართული. მოსწავლეთა მხრიდან, ამ დავალების წარმოდგენის შემდეგ, მომდევნო გაკვეთილისათვის ლექსზე მუშაობასთან ერთად, კარგი იქნება, თუ დავავალებთ მოამზადონ სქემა, სადაც გამოკვეთილი იქნება ხარის სახე, მისი ფუნქცია და მნიშვნელობა ქართულ კულტურაში, ნანახი კინოფილმის, მასწავლებლის მინილექციის, ზემოთ მოხმობილი დამხმარე მასალისა და შესწავლილი ლექსის საფუძველზე.

მომდევნო გაკვეთილზე, მნიშვნელოვანი დრო დაეთმობა მასალის გამოკითხვასა და წინარე ცოდნის გააქტიურებას. მოსწავლეთათვის მიცემულ საშინაო დავალებას ფორმატზე წარმოვადგენთ, რასაც მათი ნამუშევრების შეჯერება-სინთეზის შედეგად დასრულებული სახე მიეცემა. (იხ. სქემა №.1) გამოყენებული სქემის საშუალებით მოსწავლეები ადვილად შეძლებენ მიღებული ცოდნის შეჯამებას. სასკოლო ლექციასა და აღნიშნული ლექსის შესწავლას შეგვიძლია 2 საათი დავუთმოთ.



სქემა № IV. 1

მომდევნო სამი საათი კი ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „კორიდას“ შესწავლას მოვანდომებთ. საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანია მასწავლებლის შესავალი სიტყვა, სადაც კიდევ ერთხელ იქნება შეჯამებული მოსწავლეთა ცოდნა აღნიშნულ საკითხებზე. დასკვნის სახით შეიძლება გაკეთდეს კომენტარი, რომ ქართულ კულტურაში, ხარმა როგორც გამრჯე, ერთგულმა, კეთილმა, ძლიერმა, მართალმა არსებამ, გუთნისდედის იმედმა და სიამაყემ, ადამიანის ბედის თანამოზიარემ, მარჩენალმა და მეგობარმა თავისი წარუშლელი კვალი დატოვა. მოსწავლეების მიერ ამის სათანადოდ გააზრების საფუძველზე, პედაგოგი მიმოიხილავს თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ხარს, საქართველოსგან განსხვავებით, ესპანელი ხალხის კულტურაში და მოუთხრობს ამ ქვეყნის მთავარ სიმბოლოდ ქცეული სანახაობის „კორიდის“ ჩამოყალიბებისა და ტრადიციად ქცევის ისტორიას.

კორიდა (ესპ. ჩორრიდა დე ტოროს) სიტყვასიტყვით ნიშნავს ხარების რბოლას. ესაა საცირკო სანახაობა, ესპანეთსა და ზოგ სხვა ქვეყანაში, რომელიც ხარის ძველი იბერიული კულტიდან წარმოიქმნა და რომლის დროსაც დღესდღეობით, მთავარი როლი მატადორს (ესპადა, ტორერო) აკისრია, ვინც ხარს ჯერ სხვადასხვა ილეთით ახელებს, დაბოლოს, კი დაშნით კლავს (www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=209).

ეს სანახაობა სათავეს ბრინჯაოს ხანიდან იღებს და უკავშირდება პირენეის ნახევარკუნძულის მცხოვრებ იბერიელებს, რომლებიც ხარებს წმინდა ცხოველებად აღიქვამდნენ. თავიდან ხარის მოკვლა სპეციალური რიტუალი იყო, უკვე ესპანეთის ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ კი კორიდა მოსახლეობის ელიტური ნაწილის გასართობი გახდა. თანამედროვე კორიდა გაჩნდა ანდალუზიაში, მასში მონაწილეობას იღებს ხარი 4-დან 6 წლამდე, მისი წონა არ უნდა იყოს 450 კგ-ზე ნაკლები. კორიდა თავდაპირველად მხოლოდ ხარებს შორის იმართებოდა და ადამიანს როლი არ ჰქონდა. შემდეგ კი, დაახლოებით XI საუკუნეში კორიდაში ჩაერთნენ ესპანელი სენიორები, რაც კიდეც აისახება დღევანდელი ტორეროების ჩაცმულობაზე, რადგან მათ სწორედ შუა საუკუნეების ესპანელი სენიორების სამოსი მოსავთ (ჰტტპ://კა.წიკიპედია.ორგ/წიკი). კორიდას ესპანეთში „მამაცთა ზეიმს“ ეძახიან, იგი ესპანელისთვის ერთ-ერთი უძლიერესი გატაცებაა. აქ არსებობს მატადორთა სპეციალური სკოლები, რომელთაგან პირველი ცნობილმა მატადორმა დომინგინიმ დააარსა (რომელიც ნახსენებია ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში). მატადორი ესპანეთში თითქმის ეროვნული გმირია. მას კორიდას მკაცრი წესებით უფლება არა აქვს წინასწარ ნახოს ხარი, რომელთანაც შებრძოლება მოუწევს. ის ხარს პირველად არენაზე ხედავს. ყველაზე საინტერესო და საოცარი სანახავია მისი სახე, სწორედ იმ წუთებში, როცა იგი ხარის ამოცნობას ცდილობს. „ესაა სრული დაძაბვა იდეალური გულისყურისა, ესაა თვალი ჯარისკაცისა, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წინ ითვლის დაღუპვის ან გამარჯვების შესაძლებლობათა შანსებს.“ (მ. ბოჯიაევი, ვ. კომისარჟევსკი, 1984:83).

კორიდის ბრბოს ანტიკური ტრაგედიის ქოროს ადარებენ. იგია ამ ტრაგიკული სანახაობის უმაღლესი საწყისი. თუმცა იგი უფრო განსაკუთრებული უფლებამოსილებით გამოირჩევა. ბრბოდ ქცეული ხალხი, ამ სანახაობის ჭეშმარიტი კანონმდებელი, რეჟისორი და უზენაესი მსაჯულია. ხალხს შეუძლია სიცოცხლე აჩუქოს ხარს, თუ ის მატადორზე მამაცი აღმოჩნდება და მასის გულს მოიგებს. მას შეუძლია ბრძოლის დროს მუსიკის დაკვრა, რაც მათი მხრიდან ტორეროს აღიარებას ნიშნავს. იგი თეთრი ხელსახოცების რხევით ფინალში მოითხოვს ჯილდოს გამარჯვებულისათვის, ან გააფთრებით დააყრის მას თავზე ყველაფერს, რაც ხელში მოხვდება. მას შეუძლია უკვე მახვილგაშიშვლებულ მატადორს დაუშალოს ხარის მოკვლა, თუკი ის თვლის, რომ ამის დრო ჯერ არ დამდგარა. კორიდასთანაა დაკავშირებული ანდალუზიელი ბოშების მიერ დანთებული „ცეცხლოვანი ცეკვა“ ფლამენგო, რომელიც ესპანური, ბოშური და არაბული ფოლკლორის ელემენტებს შეიცავს. აქ სიმბოლურად ქალი კორიდის ხარს განასახიერებს, კაცი – ტორეროს.

კორიდის ტრადიცია ფიქსირდება საქართველოშიც და ის ცნობილია „კურულის“ სახელწოდებით. ქართული კურული მისი წარმოშობის საწყის ეტაპზე, ესპანური კორიდის იდენტური იყო, მაგრამ დრომ, განსხვავებულმა გარემომ და პირობებმა ქართული კორიდის ცვლილებები გამოიწვია როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით და ქართველები ხარებს აღარ კლავდნენ. მოგვიანებით კორულის ბრძოლები ხარებს შორის იმართებოდა მთელ საქართველოში. დღემდე შემორჩენილია ამ ტიპის კორიდა ტაო-კლარჯეთის ქართველებში და ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია ქართული კორიდის ნახვა ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ართვინის მაღალ მთებში, ყოველი ივნისის ბოლო კვირას(http://espanetis-kultura.blogspot.com/2011/04/blog-post.html).

კორიდა გავრცელებულია პორტუგალიასა და ლათინურ ამერიკაშიც, თუმცა ძირითადად მას მაინც ესპანეთის სიმბოლოდ მიიჩნევენ და ამ ქვეყანასთან ასოცირდება. ესპანეთში არსებობდა კორიდის უფრო მეტად საშიში, სახიფათო სახეობაც. ხალხის წყურვილი ამ სისხლიანი გართობის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მათ კორიდის ყურება და მაყურებლის როლში ყოფნა სიამოვნებას ვეღარ ანიჭებდა. სწორედ ამიტომ, ესპანეთში წელიწადში ერთხელ ხარებს პირდაპირ ქუჩაში უშვებდნენ და ასობით ადამიანი ცდილობდა მათ გაღიზიანებას და შემდეგ მხეცისგან გაქცევას, რაც შეიძლება აზარტის, ადრენალინის, ერთგვარი ჟინის გამოვლენად მივიჩნიოთ. ყოველივე ამის გამო უამრავი ადამიანი იღუპებოდა ან საშინლად სახიჩრდებოდა.

კორიდას მრავალი მომხრე ჰყავს, რომელთაც აქვთ თავისი არგუმენტები. მათი მტკიცებით, ხარის დაკვლა უფრო დიდი საშინელებაა, ვიდრე მისი ღირსეული სიკვდილი ადამიანთან ორთაბრძოლაში და რომ ესპანელების მთელი თაობები იზრდებოდნენ მამაცი მატადორების მაგალითზე. სხვა პრაგმატული მოსაზრების თანახმად კი, სპეციალისტებმა დათვალეს, რომ კორიდის აკრძალვის შედეგად თითოეული ესპანელი საშუალოდ 60 ევროთი გაღარიბდება, რადგან ამ დღესასწაულის საყურებლად ყოველწლიურად ათასობით ტურისტი ჩადის. ისინი ბილეთებსა და სუვენირებში მილიონობით ევროს იხდიან. გავრცელებული თვალსაზრისით, კორიდა – „ესაა ათასობით მაყურებლის ამფითეატრი, გრანდიოზული თასი ბობოქარი ვნებებისა – აღტაცებისა, სიხარულისა, შიშისა და მრისხანებისა, რომელთა ძალა ყოველწამს შეიძლება გადაიხაროს მატადორიდან ხარისკენ“ (გ. ბოიაჯიევი, ვ. კომისარჟევსკი, 1984: 78).

ის, ვინც ხშირი სტუმარია ამ სანახაობისა, სწვდება რა „მაღალი ხელოვნების არსს“, თვლის რომ კორიდის მონაწილეთა ხელოვნება და არტისტიზმი აცლის მას სისასტიკესა და იგი პირდაპირ უთანაბრდება მორალს. „აქ უაზრო საშინელებათა სანახაობა კი არ არის მთავარი, არამედ ის თანდათანობითი მოქმედება, რაც წინასწარ განსაზღვრული მიზნისათვის ხდება“, – წერს ცნობილი ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი (ვ.ჭელიძე, თარგმანი, 1961: 402). იგი უცვლელი სიყვარულითა და აღტაცებით ესწრებოდა ფიესტას, ისეთივე გრძნობით აღწერდა და ალბათ ნაკლებად აწუხებდა ხარის პრობლემა მატადორის არტისტიზმსა და თამაშის გაფაციცებულ შემფასებელს. „გულისყურით, ცნობისწადილით ვადევნებდი თვალს მის მოძრაობებს და ვფიქრობდი იმაზე, რომ თუ მას არაფერი შეემთხვევა, ჭეშმარიტად დიადი იქნება. მე მაშინ არ ვიცოდი, რომ, რაც არ უნდა დაემართოს, იგი მაინც დიადი იქნება და ყოველივე სერიოზული ჭრილობა მას მხოლოდ მეტ სიმამაცესა და ჟინს, ვნებას მიანიჭებს“ (გ. ბოიაჯიევი, ვ. კომისარჟევსკი, 1984: 86).

პარადოქსულია, მაგრამ ესპანეთში გავრცელებული შეხედულების თანახმად, იმ გრძნობათა შორის, რომლებსაც მატადორი გამოხატავს ხართან ბრძოლის დროს, გამოხატულია სიყვარულიც თავისი მთავარი პარტნიორისადმი. „ეს სიყვარული მას მემკვიდრეობით აქვს შესისხლხორცებული პაპისა და პაპის პაპისაგან – გლეხებისაგან, რომლებისთვისაც ხარი ყოველთვის მეგობარია“ (გ. ბოიაჯიევი, ვ. კომისარჟევსკი, 1984: 90).

მაშასადამე, კორიდა ერთი მოსაზრებით თეატრია, თუმცა მან არავითარი პირობითობები არ იცის. აქ ყველაფერი სიმართლეა, – ნამდვილი სისხლი და ნამდვილი სიკვდილია. სიკვდილი კი კორიდის უსათუო მონაწილეა. ამისგან მოდის კორიდის სიმკაცრე, შემართულობა, მოქმედების დაჭიმულობა. აქ ყველაფერი დანის პირზე გადის. ამიტომაც ამ სანახაობას თავის მომხრეებთან ერთად, ესპანეთშივე ჰყავს მოწინააღმდეგენიც. მათი თვალსაზრისით, კორიდა ნამდვილი ბარბაროსობაა და იგი ეროვნულ სირცხვილად აღიქმება. შესაბამისად, კორიდის აკრძალვის მომხრეთა რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება. სულ ახლახან კორიდა აკრძალეს კატალონიაში. კატალონია პირველი რეგიონია ესპანეთში, სადაც 2012 წლის შემდეგ კორიდა აღარ გაიმართება. ცხოველთა დაცვის ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა დამცველები და სხვა ჰუმანისტური ორგანიზაციებიც ამ აზრს ავითარებენ და კორიდა, მისი მომხრეებისგან განსხვავებით, მიაჩნიათ არა ხელოვნებად, არამედ მკვლელობად. თუმცა ფაქტია, რომ იგი დღემდე ტარდება ესპანეთის სხვა რეგიონებში.

როგორც ვხედავთ, ესპანეთში ხარს, საქართველოსგან განსხვავებით, სხვა ფუნქცია-მოვალეობანი აკისრია. იგი ყველაზე საშიში თამაშის მთავარი მონაწილეა. საჭიროდ ვთვლით მოსწავლეებს გავაცნოთ, რომ ესპანელ მწერლებს, ქართველებისგან განსხავებით, ხარის ნაცვლად მატადორების დიდება გაუხდიათ წერისა და ქების საგნად და მათზე ისე წერენ ლექსებს, როგორც წამებულებსა და გმირებზე წერენ ხოლმე:

„... მე შენ გიმღერი.
მე შევინახავ შენს ვაჟკაცურ სახეს,
გამოცდილების სიმწიფეს და
სიკვდილთან ხარბ თამაშს“, – ასე წერდა გარსია ლორკა თავის მეგობარზე, მატადორ იგნასიოზე (გ. ბოიაჯიევი, ვ. კომისარჟევსკი, 1984: 86).

კორიდის დაწყებისას თითქოს იმართება დიალოგი ხარსა და მატადორს შორის, რომელიც ასე გადმოსცა პოეტმა რაფაელ ალბერტიმ:

მე მატადორი ვარ.
მე – ხარი.
მე მოვედი, რათა მოგკლა.
სცადე, თუ შეძლებ.
ლამაზად მოგიღებ ბოლოს.
სცადე თუ შეძლებ.
აქამდე მამაცურად გეჭირა თავი.
ვნახავთ.
შენ დღეს დიდებას მომიხვეჭ. დავიწყოთ.
ვნახავთ–მეთქი.
გესმის ცირკის დუმილი?
სიკვდილის დუმილი.
შენ ტაშის გრიალში და მოსასხამების შრიალში მოკვდები.
როგორ ფიქრობ, მატადორო, მე ეს მომწონს?
ხარი ყოველთვის ბრძოლისას კვდება. დადექი..
და მატადორიც ზოგჯერ...
რა თქვი?
რომ ზოგჯერ მატადორიც კვდება.
გაჩუმდი! დავიწყოთ, ხარო, ნუ მელაპარაკები
(გ. ბოიაჯიევი, ვ. კომისარჟევსკი, 1984: 91).

მოთხრობის შესწავლისას შეგვხვდება ისეთი სიტყვები, რომლებიც მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან სათანადო განმარტებებს. მინილექციის შინაარსი გვაძლევს იმის შესაძლებლობას, ზოგი ამავე ეტაპზე განვმარტოთ.

მინილექციის შემდეგ, თვალსაჩინოებისათვის საინტერესო იქნება მოსწავლეებს კომპიუტერისა და პროექტორის საშუალებით ვუჩვენოთ ამ სანახაობის ამსახველი რამდენიმეწუთიანი ვიდეო. ამით შესაძლებლობა მოგვეცემა შევადარებინოთ ერთმანეთს ხართან დამოკიდებულება ქართულ და ესპანურ ტრადიციებში. თუმცა ვიდეოს შერჩევისას, გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ასაკობრივი ზღვარი და შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვა. ვიდეოს ნახვის შემდეგ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავარკვიოთ მოსწავლეთა დამოკიდებულებანი აღნიშნულ სანახაობასთან დაკავშირებით. მოსალოდნელია, რომ იგი მოზარდებში აღძრავს და წარმოშობს ურთიერთგანსხვავებულ ემოციებს, შეგრძნებებსა და შთაბეჭდილებებს, რაც თავის მხრივ მოსწავლეთა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებითაც იქნება განპირობებული. ისინი გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს და დაასაბუთებენ რატომ მოსწონთ ან არ მოსწონთ ესპანეთის სახე – სიმბოლოდ ქცეული კორიდა.

სათანადო ცნობების მიწოდებისა და აზრთა გაზიარების საფუძველზე გადავალთ ტექსტის დამუშავებაზე, რაც უპირველესად მისი წაკითხვით დაიწყება. სასურველია, იგი მასწავლებელმა სათანადო ემოციური ზეგავლენით წაიკითხოს და მოსწავლეებმა თვალი მიადევნონ. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, მოსწავლეებში სწორი, გამომეტყველებითი, შეგნებული, გააზრებული კითხვის ჩვევების დამკვიდრებას და განავითარებს მათ მხატვრულ-ესთეტიკურ გემოვნებას.

ტექსტის გაცნობის შემდეგ კი, სანამ უშუალოდ მის ანალიზზე გადავიდოდეთ, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, მასწავლებლის მხრიდან, მკითხველის რეაქციაზე დამყარებული კითხვების დასმის საშუალებით, გამოთქვან მოსწავლეებმა თუ რას ფიქრობენ, მანამდე, სანამ

გაკვეთილის მსვლელობა სხვა მიმართულებით წაიყვანს მათ.

ტექსტში მოყვანილი ნაწყვეტი შოთა ნიშნიანიძის ლექსიდან „ხარი“, წინა გაკვეთილზე შესწავლის შედეგად მოსწავლეთათვის უკვე კარგად ნაცნობია. წინარე ცოდნის საფუძველზე კი მოსწავლეებს აღარ გაუჭირდებათ პარალელის გავლება ამ ორ ნაწარმოებს შორის, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას გვაძლევს ეფექტურად წარიმართოს ტექსტის ანალიზის პროცესი. მოსწავლეები ადვილად აღმოაჩენენ პოეტ შოთა ნიშნიანიძის თავსგადამხდარი ამბისა და ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში აღწერილი ერთ-ერთი ეპიზოდის მსგავსებასაც. კერძოდ, როდესაც კორიდის ტრადიციაზე კამათის შემდეგ, მთხრობელი პერსონაჟი ვერის ბაზართან ჩაივლის, დაინახავს თუ როგორ ეზიდებიან მუშები პირუტყვის ხორცს მაღაზიაში: *„რა სასეირო სანახაობა ეგ იყო, მაინც გავჩერდი და ცქერა დავუწყე. ძარაზე ზურგით მდგარ ორ მუშას, ძარაში მყოფი სხვა ორი მუშა გინებით აწვდიდა გატყავებულ პირუტყვს და იმათაც გინებით მიჰქონდათ შეშადქცეული წიქარები, შვინდები, ღვინიები, ნიკორები და საყადელივით ახვავებდნენ მაღაზიის დახლზე... გამახსენდა ნანას თქმული ლექსი და ტირილი მომინდა“* (ნ. დუმბაძე, 2005: 197).

ტექსტზე მუშაობისას მოსწავლეებს ყურადღება უნდა გავამახვილებინოთ მწერლის მიერ გამოყენებულ მხატვრული სახის შექმნის ერთ-ერთ ხერხზე. ეს გახლავთ პოლილოგი, რომლითაც იწყება მოთხრობა და თითქმის მთელი თხრობის პროცესიც ამ გზით მიმდინარეობს. პოლილოგი არის საუბარი, რამდენიმე ადამიანს შორის. ის არსებითად დიალოგის გართულებული ფორმაა. დიალოგის თვისებები – რეპლიკებს შორის მჭიდრო კავშირი, სპონტანურობა და სხვა ნათლად ვლინდება პოლილოგშიც. იგი თხრობის გაცოცხლებისა და იმგვარი სახის შექმნის საშუალებაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს პერსონაჟის როგორც გარეგნულ, ასევე შინაგან თვისებებს. პოლილოგშიც, ისევე როგორც დიალოგში, მეტყველება ხშირად არ არის სრული, რადგან, ჩვეულებისამებრ მოსაუბრეთათვის სიტუაცია ნაცნობია და ცოდნაც საერთოა. მეტყველების უსრულობა ივსება ინტონაციით, ჟესტებითა და მიმიკებით. პოლილოგი არის იმგვარი სახის შექმნის საშუალება, რომელიც თავის თავში აერთიანებს პერსონაჟის როგორც გარეგნულ, ასევე შინაგან თვისებებს (ნ.შარაშენიძე, ა. არაბული, 2006).

მოთხრობის ანალიზისას პედაგოგი უნდა ეცადოს შექმნას ანალიტიკური, პრობლემური, კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის ხელსაყრელი სიტუაცია. რაც შესაძლებელია ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით აგებული კითხვების საშუალებით. გთავაზობთ ამგვარი მიდგომის საფუძველზე კითხვებისა და დავალებების ფორმულირების ჩვენებურ ვერსიას:

ცოდნა	1. რომელ ლიტერატურულ ჟანრს განეკუთვნება აღნიშნული ნაწარმოები? 2. ვინ არის მთხრობელი? 3. დაასახელეთ მოთხრობის პერსონაჟები. 4. რა გზით მიმდინარეობს თხრობა? 5. როგორი განწყობით იწყება ნაწარმოები? 6. რის შესახებ უყვება დათო თავის მეგობრებს? 7. როგორ აღმოჩნდა მოთხრობის მთავარი გმირი კორიდაზე? 8. აღწერეთ არენაზე შემოსული ხარი? სიმბოლურად რას განასახიერებს თეთრი ფერი? 9. აღწერეთ როგორ იცვლება დათოს განწყობა კორიდაზე ყოფნისას. 10. როგორ ზეგავლენას ახდენს დათოს მონათხრობი ნაწარმოების სხვა პერსონაჟებზე? 11. ჩამოთვალეთ რა არგუმენტები აქვს მთხრობელ პერსონაჟს საიმისოდ, რომ დათოს მიერ გადმოცემული ამბავი „ბითურობაა თავიდან ბოლომდე“? 12. ჩამოთვალე ის ძირითადი ფასეულობები, რაც განაპირობებს მთხრობელი პერსონაჟის ესპანეთისადმი სიყვარულს. 13. ვინ არის პირველი, ვინც მთხრობელი პერსონაჟის აზრის სიცხადეში რწმუნდება? 14. სად შეჩერდება იგი მეგობრებისგან წამოსვლის შემდეგ? 15. როგორ მთავრდება ნაწარმოები?

შედარება	16. განიხილე დათოს მიერ კორიდის დატოვების ფაქტი. 17. შეაჯამე შოთა ნიშნიანიძის ლექსიდან მოთხრობაში მოხმობილი სტროფის სათქმელი და მთხრობელი პერსონაჟის თვალსაზრისი. 18. ივარაუდე როგორ მოიქცეოდა დათოს ადგილზე მთხრობელი პერსონაჟი.
გამოყენება	19. გამოიყენე არსებული ცოდნა ქართულ კულტურაში ხარის მნიშვნელობასთან დაკავშირებით და შეუსატყვისე მოთხრობიდან შესაბამისი ფრაგმენტი. 20. ჩამოაყალიბე, დათოს თვალთახედვით, რატომ არის ქართველების დამოკიდებულება „ფსევდოჰუმანიზმი“?
ანალიზი	21. ახსენი დათოს მიერ კორიდის დატოვების ფაქტი. 22. ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში ვკითხულობთ: „ – გაყინულია? – ვკითხე მე და სიგარეტი მივაწოდე. – თბილი მინდორში ბალახობს! – მიპასუხა მან და ახლა ცეცხლი მთხოვა. პერსონაჟის რა თვისებაზე მიუთითებს ბოლო მონაკვეთი? 23. შეადარე დათოსა და მთხრობელი პერსონაჟის დამოკიდებულება ხარისადმი. 24. შეადარე ერთმანეთს ქართულ და ესპანურ კულტურაში ხარისადმი ტრადიციული დამოკიდებულება. 25. რა პრობლემაა დასმული ნაწარმოებში? 26. როგორაა გადაჭრილი ეს პრობლემა? (პასუხი დაასაბუთეთ) 27. როგორ შლის ავტორი საკითხს მოთხრობაში? 28. ჩანს თუ არა ტექსტში ავტორის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი? 29. ადამიანის ბუნების რა თვისებაა ნაჩვენები მოთხრობაში? 30. რა არის ნაწარმოების თემა? 31. გაიხსენეთ მოთხრობის ჟანრული მახასიათებლები და იმსჯელეთ, ინარჩუნებს თუ არა ეს ნაწარმოები ამ ჟანრის ძირითად ნიშან-თვისებებს. 32. ტექსტზე დაყრდნობით, იმსჯელეთ რა არის კორიდა-ხელოვნება თუ სისასტიკე?
სინთეზი	33. მოთხრობის მიხედვით, დათო კორიდას ტოვებს. როგორ მოიქცეოდით ანალოგიურ სიტუაციაში? 34. შექმენით ესე შემდეგი სათაურით „ჩემთვის რა არის კორიდა?“
შეფასება	35. შეაფასეთ დათოს დამოკიდებულება ხართან დაკავშირებით და მისი ქცევა. 36. შეაფასეთ ნაწარმოები დღევანდელი გადასახედიდან, რამდენადაა ნაწარმოებში დასმული პრობლემა თანამედროვეობისათვის აქტუალური? 37. მოთხრობის მიხედვით, კორიდა ნამდვილი ბარბაროსობაა, თუმცა არც ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული ხარისადმი დამოკიდებულებაა ბოლომდე ჰუმანური, თქვენთვის რომელია შედარებით მისაღები ვარიანტი, პასუხი დაასაბუთეთ.

სქემა № IV . 2.

მოსწავლეთა მუშაობის წარმართვა შესაძლებელია სხვაგვარი კუთხითაც. ამის საფუძველს გვაძლევს მოსწავლეთათვის ცნობილი ან ნაკლებად ცნობილი სახელებითა და ტოპონიმებით დატვირთული ტექსტი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დავავალოთ შემდეგ გაკვეთილზე პრეზენტაციისათვის ინფორმაციის მოძიება ბასკებზე, რესპუბლიკანელებზე, ანდალუზიაზე, გარსია ლორკაზე, სერვანტესზე, რითაც ისინი უფრო გაიფართოებენ თვალსაწიერსა და განიმტკიცებენ დამოუკიდებელი მუშაობის, პრეზენტაციისა და შემოქმედებით უნარებს.

ტექსტი გვაძლევს საშუალებას, შევქმნათ პრობლემური სიტუაცია და წამოვჭრათ სადისკუსიო თემა, რომელიც ცხოვრებისეულ სინამდვილესთან მჭიდრო კავშირშია და მისგან განყენებულად არ განვიხილავთ. უმჯობესია იგი კითხვის სახით, ამგვარად ჩამოყალიბდეს: უნდა აიკრძალოს თუ

არა კორიდა? კლასი გაიყოფა ორ ჯგუფად. მოსწავლეები, რომლებიც ეთანხმებიან ამ მოსაზრებას. ჯგუფდებიან კლასის ერთ კუთხეში. შესაძლებელია, გამოვიყენოთ სადისკუსიო სქემა, რომელსაც ექნება შემდეგნაირი სახე:

მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა კორიდის აკრძალვა?	
დიახ	არა
_____ _____	_____ _____

სქემა № IV. 3

მოსწავლეებს ვთხოვთ თავიანთი პოზიციების დასასაბუთებლად, ჩამოთვალონ რამდენიმე არგუმენტი იმისა, თუ რატომ უნდა აიკრძალოს კორიდა? ეს არგუმენტები უნდა ჩაიწეროს სქემის გრაფაში სათაურით „დიახ“. სხვა მონაწილეებმა უნდა ჩამოთვალონ ყველა ის არგუმენტი, თუ რატომ არ უნდა აიკრძალოს კორიდა. შემდეგ ცალ-ცალკე განიხილავენ ერთმანეთის შეხედულებებს და შეიმუშავებენ სათანადო კონტრარგუმენტებს. საბოლოოდ, ორივე თვალსაზრისის მომხრეებიდან გამოვა თითო მონაწილე და გააკეთებს პრეზენტაციას აზრის შესაჯამებლად. დისკუსიის დასრულების შემდეგ, პედაგოგი მოზარდებთან ერთად განიხილავს დისკუსიის შედეგებს: რას გაართვეს კარგად თავი, რა იყო დისკუსიის სუსტი მხარე და რას გააკეთებენ შემდგომში უკეთესი შედეგების მისაღებად.

დასკვნით ეტაპზე, სტრატეგიის „რა ვიცოდი? რა მინდა ვიცოდე? რა გავიგე?“ საშუალებით, შევაჯამებინებთ მოსწავლეებს თემის დამუშავების შედეგად მიღებულ ცოდნას. მათი მხრიდან, ამგვარი დავალების შესრულების შემდეგ კი მასწავლებელი გაუკეთებს შესწავლილ მასალას ერთგვარ სინთეზსა და მიაწვდის მოსწავლეებს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ ანალიზს:

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ლიტერატურაში გარკვეული სიახლეები აღინიშნებოდა. „განახლებანი მხატვრული სიტყვის სფეროში კანონზომიერი შედეგი იყო 50-60-იანი წლების საზოგადოებრივი გარდაქმნებისა. ამ პერიოდის ლიტერატურაში იგრძნობოდა სოციალური თემებიდან ზოგადსაკაცობრიო, ზნეობრივ-ეთიკური პრობლემებისაკენ შემობრუნება. სულიერი ძიების, ცხოვრების მორალურ საწყისთა საკითხები თანდათანობით ხდება ლიტერატურული ასახვის მთავარი პრობლემა“ (ნ. ქაჯაია, 2002: 6.) ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაშიც მაღალი ზნეობისათვის ბრძოლას, ადამიანის სულიერ განსპეტაკებას, სულიერი მშვენიერების აღზრდას უდიდესი ადგილი უჭირავს. ნოდარ დუმბაძის თითქმის მთელი შემოქმედება მაღალი ზნეობისაკენ მოწოდებაა. საყურადღებო ისაა, რომ „მაღალი ზნეობისაკენ მოწოდება მწერალს განყენებულად, ე.წ. თეორიულ ასპექტში კი არ აქვს წარმოსახული, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის განუყრელად დაუკავშირებია“ (რ. მიშველაძე, 1990: 433). ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია მოთხრობა „კორიდა“, სადაც მორალური პრინციპების საფუძველზე ხდება განსჯა ხარის ფუნქციისა და დანიშნულების რაობაზე, ორი ქვეყნის – ესპანეთისა და საქართველოს მაგალითზე. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია მწერლის სინამდვილისადმი ნიშანდობლივი დამოკიდებულება, რადგანაც „რომანტიკული გადაჭარბებისა და ილუზიების ადგილი რეალობის ანალიტიკურმა ათვისებამ დაიკავა“ (თ. დოიაშვილი, 1989: 136).

მასწავლებელმა უნდა გააკეთოს სათანადო აქცენტი იმასთან დაკავშირებითაც, რომ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ახალგაზრდების ცხოვრებას უჭირავს და ამ მხრივ არც „კორიდაა“ გამონაკლისი. მთავარი ის არის, თუ როგორ გვიხატავს ავტორი მათ, რა თვისებებით აღჭურავს, რა სულიერი სამყარო აქვთ, რა ამოძრავებთ, საით მიილტვიან. მწერალი გვიჩვენებს თავისი პერსონაჟების საკმაოდ რთულ დამოკიდებულებას გარემოსადმი და ამავე დროს, ცდილობს იპოვოს საკუთარი ადგილი ამ პროცესში. საკუთარი მე შეუფარდოს ობიექტურს.

ასევე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ მოთხრობაში ნოდარ დუმბაძე თავისი დამოკიდებულების გადმოსაცემად იყენებს კონტრასტის ხერხს – ერთმანეთს უპირისპირებს საგნისადმი, მოვლენისადმი ორგვარ დამოკიდებულებას. ნაწარმოებში გამოკვეთილია ავტორისათვის ნიშანდობლივი მანერა საკითხის პოლემიკური გაშუქებისა. ავტორი ობიექტურობისაკენ სწრაფვით, ცდილობს მიუკერძოებელი იყოს ამა თუ იმ პერსონაჟთა თვალსაზრისების ჩამოყალიბისას. პერსონაჟების განსხვავებული ხედვის ჩვენება – ერთი მხრივ, „კორიდის“ როგორც ბარბაროსობისა და მკვლელობის დაგმობით და მეორე მხრივ, ქართულ სინამდვილეში ხარისადმი ტრადიციულ დამოკიდებულებაში ერთგვარი ეჭვის შეტანით ავტორის ჰუმანურობისაკენ სწრაფვა იკვეთება.

მოთხრობაში „კორიდა“ პერსონაჟთა არაერთგვაროვანი სახე-ხასიათები ვლინდება და მათი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებანი ერთმანეთს ეჯახება. კითხვისას უეცრად ერთმანეთის პირისპირ წამოიმართება ორი განსხვავებული ტრადიციის მქონე ქვეყანა, ერთი მხრივ – ესპანეთი თავისი ბასკებით, ანდალუზიის ღამეებით, კარმენსიტებითა და ალეგროებით, მცხუნვარე მზით, რესპუბლიკანელებით, „ბანდერა როსათი“, გარსია ლორკათი და ქვეყნიერების მამით, სერვანტესით და მეორე მხრივ, საქართველო.

საქართველოსგან განსხვავებით, ხარს ესპანეთში სხვაგვარი ფუნქცია აკისრია. კორიდა ზოგისთვის გასართობი აზარტული, სასიამოვნო, საინტერესო და ზოგისთვის სასტიკი, ულმობელი, გულსაკლავი სანახაობაა. ესაა „გრანდიოზული თასი ბობოქარი ვნებებისა – აღტაცებისა, სიხარულისა, შიშისა და მრისხანებისა, რომელთა ძალა ყოველ წამს შეიძლება გადაიხაროს მატადორიდან ხარისკენ. ბრბო ყველაფერში თავისუფალია – იგი ყურისწამღები გუგუნით დაუკრავს ტაშს მოკლულ ხარს და გაშმაგებით დაუსტვენს უნიჭო მატადორს ან პირიქით, ტავრომახიის რაინდს აამაღლებს, გმირად შერაცხს და მოითხოვს მისთვის უმაღლეს ჯილდოს – ხარის ერთ ან ორ ყურს, ან გაუგონარ პატივს – ორ ყურს, ჩლიქებსა და კუდს“ (გ. ბოიაჯიევი, ვ. კომისარჟევსკი, 1984: 78).

ზოგადად, ბრბოს ფსიქოლოგია რთული და ძნელად გამოსაცნობი ფენომენია. „თუ ბრბოს ვინმე სძულს, ვიდრე განსჯი, საჭიროა ყურადღებით გამოიკვლიო რატომ ხდება ასე. როცა ბრბო ვინმეს აღიარებს, ვიდრე განსჯი, საჭიროა ესეც ყურადღებით გამოიკვლიო“ (ჩინური სიბრძნე).

ბრბოს ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები უცხო არ არის მოსწავლეებისათვის, იგი ერთგვარი ასპექტით გაშუქებულია სკოლაში შესასწავლი მწერლების მიხეილ ჯავახიშვილისა და გიორგი ლეონიძის ნაწარმოებებში („ეშმაკის ქვა“, „ნატვრის ხე“), ასე რომ, მოსწავლეებს აქვთ შეხება ამ მოტივთან. მათი გონებრივი აქტივიზაციისათვის კი საჭიროდ ვთვლით, მასწავლებელმა სათანადოდ მიმოიხილოს ეს თემა.

ფრანგი სოციოლოგის, გუსტავ ლე ბონის აზრით, რომელიც ადამიანთა დიდი მასების მოქმედების ფსიქოლოგიას სწავლობდა, ბრბოს კოლექტიური ემოციის ზეგავლენით ადამიანს ისეთი რამის ჩადენა შეუძლია, რაც მისი პიროვნებისათვის სრულიად უცხოა. მისი დაკვირვებით, ბრბოში მოხვედრილი ადამიანი, რომელსაც საერთო აღზნება გადაეცემა, კარგავს კრიტიკული განსჯის უნარს და ბრმად ემორჩილება მასის მოქმედებას. ამის მიზეზი კი, მეცნიერის აზრით, ის არის, რომ ერთად შეკრებილ ადამიანთა მასას გარკვეულ პირობებში შეუძლია ისეთი ძლიერი კოლექტიური ემოცია ამოაფრქვიოს, რომლის კონტროლიც შეუძლებელია და რომელიც ადამიანებს უჩვეულო მოქმედებისაკენ უბიძგებს, აღგზნებულ მასას თავის გზაზე ყველაფრის წალეკვა შეუძლია (ვ. როდონაია, ა. არაბული, მ. ხუციშვილი 2009).

ადამიანთა ერთი ნაწილი აცნობიერებს ამ აფექტურ მდგომარეობას და ამით ის მაღლდება ბრბოზე. ზოგჯერ ისინი ცდილობენ კიდეც ხელი შეუშალონ ბრბოს უკადრისი საქმის ჩადენაში, რაც ადამიანთა მაღალ მორალურ მდგომარეობასა და ნებისყოფის სიმტკიცეზე მეტყველებს. ისინი ასეთ რთულ სიტუაციაშიც კი არ კარგავენ საკუთარ სახეს. ამის მაგალითებს ვხედავთ მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვასა“ და გიორგი ლეონიძის „მარიტაში“, თუმცა აქ ამგვარად განწყობილ ადამიანებს არ ძალუძთ დიდი წინააღმდეგობა გაუწიონ ბრბოს, რომელსაც დამანგრეველი ძალა აქვს და ხატოვანი გამონათქვამის მიხედვით, რომლის წინაშე უძლურია თავად ღმერთიც კი. მათი დამოკიდებულება მხოლოდ ერთგვარად განზე გადგომაში გამოიხატება.

ნოდარ დუმბაძის „კორიდაში“ ბრბო უბრალოდ ერთობა. ესპანელისთვის გასართობი გამხდარა ის, რაც ქართველისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და ძვირფასია. „გაუმარჯოს ხარის ქედს, გუთნის ღვედს, ცის ნამსა და მიწის მოსავალსო“ – ასე იწყებოდა ქართველი გლეხის დალოცვა. ამიტომაც ტოვებს ნოდარ დუმბაძის გმირი კორიდას. იგი სხვა ქვეყნის, სხვა ტრადიციების შვილია

და მისი მენტალიტეტი, მორალური პრინციპები არ აძლევს უფლებას ბოლომდე ნახოს ეს „მაღალი ხელოვნების ფეიერვერკი“. დათოსთვის ეს ის ხარია, რომელიც მორჩილად იდებდა ზურგზე ტვირთს მამულ-დედულის ასაღორძინებლად, მტრის მიერ გადამწვარი სახლების, ციხე-ტაძრებისა და ქალაქების საშენებლად.

„შენი უღელი მემჩატოს აგრემც,
ქედზე რომ მადგას განაჩენივით.
არ მომიღერო, გეთაყვა სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი“, – შეჰღაღადებს სამშობლოს.
(შ. ნიშნიანიძე,1989:253)

ქართველი კაცის ცნობიერებაში მისგან შვილივით გაზრდილი ხარი ერთგული, მშრომელი, მარჩენალი და მამულ-დედულის დვრიტად ქცეული ესპანეთში ოინბაზობის დიდოსტატია, ფუნქციაშეცვლილი საკუთარი სიცოცხლის ფასად, ბრბოს წუთიერ ჟინს, ველურ აზარტს ემსახურება.

არ ვიცით, როგორ მოიქცევა სხვა ქართველი დათოს ადგილზე, თუმცა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დათოს საქციელი ეროვნული ცნობიერების ერთგვარ ნიშანს ატარებს. ის ტოვებს კორიდას, რადგან ქართველია, ქართველს კი „უამრავი ნაკლის მიუხედავად, ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს, მთელ სამყაროს დასწვავდა კავკასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს“ (ნ.დუმბაძე,1989:357). დათოს ქცევა თავისუფალი ადამიანის ქცევაა, საკუთარი ღირსების შეგნებისა და ზნეობრივი პრინციპების ხარჯზე.

პედაგოგმა სათანადო აქცენტი უნდა დასვას მწერლის ნიშანდობლივ სტილზეც. „აღსანიშნავია, რომ ნოდარ დუმბაძეს შეუძლია ყველაზე ძნელი და ტრაგიკული განმუხტოს და სევდიანი თხრობის დროსაც იუმორი გამოურიოს“ (რ. მიშველაძე, 1990: 437) ზოგჯერ კი პირიქით, ერთი შეხედვით მხიარულად, იუმორით დაწყებულ ამბავს მოულოდნელად სერიოზული მიმართულება მისცეს. რაც ასე ცხადადაა გამოკვეთილი „კორიდაში“. სიცილით, ნახევრად ხუმრობით დაწყებულ ამბავს დათო მოულოდნელად ამთავრებს. მწერალი წერტილს იქ არ სვამს, სადაც მკითხველის ალღოსა და ინტუიციის მიხედვით მოსალოდნელი უნდა იყოს. თხრობას აგრძელებს და საკითხს პოლემიკურად შლის. დიდ ზეგავლენას ახდენს დათოს ნაამბობი თავის მეგობრებზე, მათთვის მოულოდნელია ლაზღანდარობით დაწყებული ამბის ამგვარი დასასრული. მხოლოდ პირველ ეტაპზე აღწევს დათო თავის მიზანს – გადასდოს მეგობრებს იმგვარი ემოცია და განცდა, როგორიც მას ჰქონდა კორიდაზე ყოფნისას, შემდეგ კი მოულოდნელად აღმოჩნდება, რომ ყველა ასე არ ფიქრობს.

დათოს შეცდომა ისაა (თუ შეიძლება ამას შეცდომა ვუწოდოთ), რომ იგი თავისი შეხედულების ტყვეობაში მყოფი, არა მარტო გამოთქვამს პროტესტს ამ სანახაობის მიმართ, არამედ ამ ტრადიციის არაჰუმანურობაზე დაყრდნობით, უარყოფს ესპანეთის სიდიადესაც. „ვიდრე ჩვენი გემი ესპანეთს გარშემო უვლიდა, ნაპირზე არც ერთხელ არ გადავსულვარ და ესპანეთის მიწაზე ფეხი აღარ დამიდგამს“, – ასრულებს თხრობას. მისი პროტესტი მიმართულია არა მხოლოდ ამ სანახაობისადმი, არამედ იმ ქვეყნისადმიც, რომელმაც კორიდა გამოიგონა და თავის გასართობად აქცია. ამგვარი ხედვა კი, ცალსახა და უკიდურესობამდე მისული, არ შეიძლება ბოლომდე მართებული იყოს. სწორედ ამიტომ უპირისპირებს მას ავტორი განსხვავებულ თვალსაზრისს. ავტორი –პერსონაჟი თვლის, რომ თუ კორიდა ბარბაროსობაა, არც ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული ხარისადმი დამოკიდებულებაა ბოლომდე ჰუმანური. ასე რომ, არ შეიძლება ტრადიციების ნეგატიური მხარე ქვეყნის დამაკნინებელ ნიშნად ვაქციოთ. რადგანაც, ნებისმიერ ტრადიციას თუ ჩავუღრმავდებით და გაკილვის საგნად ვაქცევთ, აუცილებლად აღმოვაჩენთ არაჰუმანურ მარცვალსაც. ავტორ –პერსონაჟს უყვარს ესპანეთი „თავისი ბასკებით, ანდალუზიის ღამეებით, კარმენსიტებითა და დონხოსეებით, კასტანეტებითა და ალეგროებით, მცხუნვარე მზით, რესპუბლიკანელებით, „ბანდერა როსათი“, გარსია ლორკათი და ქვეყნიერების მამით, სერვანტესით“ (ნ.დუმბაძე,2005:197), იგი მისი ბავშვობის ყველაზე ლამაზი სიზმარია, დათოს მონათხრობის შემდეგ კი გრძნობს, „როგორ ეკარგება ეს ტკბილი ზმანება სადღაც,“ ამიტომაც ცდილობს გაამართლოს თავისი მსჯელობითა და სათანადო არგუმენტებით კორიდა და მასში მონაწილე ტორეადორი. მისთვის დათოს ნაამბობი „ბითურობაა თავიდან ბოლომდე“, დათოს საქციელი კი – „ფსევდოჰუმანიზმი“, რადგან თვლის,

რომ არანაკლები კანიბალიზმია ქართული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, ხარს ჯერ უღელში შეაბამენ, ათი წლის მანძილზე მუხლს და ქედს არ გაამართვინებენ, მიწას ახნევინებენ, ათესვინებენ, ალეწვინებენ, ქვასა და ღორღს აზიდვინებენ, სახრის რტყმევით ზურგზე ტყავს ააძრობენ, მერე დაბერებულს, დაჩაჩანაკებულს, ვენებდაბერილს, გაძვალტყავებულს ყელში დანას გამოუსვამენ, გაატყავებენ, დახლზე თავუკუღმა დაჰკიდებენ, ასო-ასო აქნიან და გაყიდიან.

ამ განსხვავებული თვალსაზრისის მოსმენა ჯერ აკვირვებთ, შემდეგ კი აფიქრებთ მოთხრობის სხვა გმირებს. იგი ცხარე კამათის საგნად იქცევა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი ნანა შოთა ნიშნიანიძის საოცარ ლექსს წამოიწყებს და ამით ყველაფერი ცხადი გახდება.

„ქორწილი იყო... ვაიმე, მტკიოდა გული საღადრე,
წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი გამოგაღადრეთ...
ცხედარიც მიპატიოსნე აღაპ-ქელეხის წესებით...
დავჯექ და ჩემს მარჩენალზე ტირილით ვწერე ლექსები“.
(შ. ნიშნიანიძე,1989:281).

მოთხრობაში ნაჩვენებ ადამიანის დაუნდობელ ბუნებას, მის უგულობას, გულგრილ დამოკიდებულება ხარისადმი, რომელიც ესპანეთის მაგალითზე გამოჩნდა, ქართულ სინამდვილეშიც ჰქონია ადგილი. ამაზე განსაკუთრებით მეტყველებს ერთი ეპიზოდი ნაწარმოებიდან:

„– სიგარეტი გაქვს? – მკითხა მაღაზიიდან გამოსულმა ერთ-ერთმა მუშამ და შეციებულ ხელებზე დაიორთქლა.
–გაყინულია? – ვკითხე მე და სიგარეტი მივაწოდე.
– თბილი მინდორში ბალახობს! – მიპასუხა მან და ახლა ცეცხლი მთხოვა.“
(ნ. დუმბაძე,2005:197)

მოთხრობის პერსონაჟებისათვის სადავო ხდება ის საკითხი, რომელია უფრო მეტი კანიბალიზმი, კორიდა თუ ქართულ სინამდვილეში არსებული „ფსევდოჰუმანური“ დამოკიდებულება ხარისადმი?! ამ კითხვაზე ობიექტური პასუხი არ არსებობს. ჩვენი სუბიექტური აზრით კი, კორიდა – ადამიანის გასართობად მოგონილი სანახაობა, ვანდალურია თავისი არსითა და ამას ისევ ქართული „ფსევდოჰუმანური“ დამოკიდებულება გვირჩევნია. აზრის სიცხადისათვის, თუ ღვთის მიერ სამყაროს შექმნას გავიხსენებთ, მოვიგონებთ იმასაც, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად თვისად, ცხოველები და ფრინველები კი მათ დაუდგინა, რათა დახმარებოდნენ და გამოეკვებათ იგი. ცხოველთა მწვალებლობას ქრისტიანული იდეოლოგია კრძალავს და დიდ ცოდვად მიიჩნევს. კორიდა კი სწორედ ამის მაგალითია – ათასგზის დაჩხვლეტილი, გამწარებული, გიჟადქცეული ხარი ბოლოს დაღლილი და განადგურებული იჩოქებს მატადორის თვალწინ საწყალი თვალებითა და ერთადერთი პასუხმიუღებელი კითხვით: რას მერჩი, ადამიანო? ეს არის კითხვა, რომელიც ასე აწვალებდა ვაჟა-ფშაველას შვილს ნუკრს, იასა და მთის წყაროს, ადამიანის სისასტიკისა და უგულობის შემყურეთ.

და მაინც, რა არის კორიდა, ხელოვნება თუ სისასტიკე? ამაზე დავა შესაძლოა დიდხანს გაგრძელდეს. ჩვენი ხედვით კი, თუ შესაძლებელია ხელოვნება თავისი არსით იყოს სასტიკი, მაშინ კორიდა ხელოვნებაა, ოღონდ დაუნდობელი და სასტიკი ხელოვნება. ადამიანის მარჩენლად მოვლენილი ხარი ფუნქციაშეცვლილი ბრბოს წუთიერ აზარტს, ველურ ჟინს ემსახურება.

მწერლის მიერ დასმული ხარის პრობლემა – ზნეობრივ-ეთიკური პრობლემაა და იგი არ არის ნაწარმოებში ბოლომდე გადაწყვეტილი. ამ პრობლემამ დააფიქრა და ნაღველი მოჰგვარა ნაწარმოების პერსონაჟებს. მათგან ერთ-ერთს კი ფილარმონიის გაჩირაღდნებულ სასახლესთან შეჩერებულს, მკვლავებგაშლილმა მუზამ უკარნახა აბსოლუტური გარდუვალი კანონი ბუნებისა – „რას იზამ, ჩემო ბატონო, ასეა ქვეყანა მოწყობილიო“. საქართველოში მეგობრად, მარჩენლად ნაგულევ ხარს ბოლოს წამოაქცევენ და დაკლავენ, ესპანეთში კი ხალხის გასართობად მოუწყობენ კორიდას.

მწერალი საკითხის პოლემიკურად გაშუქების შემდეგ საბოლოო დასკვნის გამოტანას მკითხველს ანდობს. მისი მიზანია კიდევ ერთხელ დააფიქროს ადამიანი თავის ნაკლოვან მხარეებზე და ამით ზნეობრივად გაზარდოს იგი.